პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი ორი შაური

# ტარტაროზი

№ 59 — კვირა, 1 აგვისტო, 1926 წ. — № 59



ერთი მოქალაქე (მეორეს): ხედავ ტარტაროზს? რამდენი ხანია არ მინახავს, ასე მეგონა: საზღვარგარეთ იყო... ნეტავი სად მიდის.?

მეორე: სად მიდის და სოფლად და აგარაკებზე. ყველგან რევიზია და დათვალიერება უნდა მოახდინოს... თანაც უნდა გაიგოს: ყველამ გამოიწერა თუ არა „მუშა“ და „ტარტაროზი“...

# „აშენდა საქართველო"

„ზაფხულობით ბევრი მოსწავლე ახალგაზრდობა აწყდება სოფელს და ეს მდგომარეობა ჩვენ უნდა მოვიხმაროთ სოფლის გაკულტურებისათვის".
(ერთი გაზეთიდან).

ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა, ჩვენი ახალი „ინტელიგენცია" თავისი ცოდნით და მომზადებით დიდ ღირებულებას ვერ წარმოადგენენ კულტურულ მუშაობისათვის როგორც სოფლად, ისე ქალაქში".
(მეორე გაზეთიდან).

ტფილისის უნივერსიტეტის სტუდენტი—ვარდენ თავკვახაძე საქართველოს მივარდნილს და „ყრუ" ადგილიდან არის. იმ მხარედან ერთად ერთია ვარდენ... ალბად იმიტომაც არის, მის მშობლებს მეზობლები „ასეთი კაი შვილის პატრონს", „ბედნიერს" უძახიან.

სოფელსაც დიდი იმედი აქვს ვარდენის.—ინჟინერი იქნება და მატარებელს მოიყვანს ტფილისიდან,—ასე ეუბნება სოფლელებს ვარდენის დედა.

—

როცა ვარდენმა ცხრაწლედი დაასრულა, მას არ ეტყობოდა მომავალში დიდი ვარგისობა. პირიქით: მაშინ, რომ თქვენ გენახათ, მოგაგონდებოდათ: „აბუზული წიწილა სდგას" იაკობ გოგებაშვილის პირველი ნაწილი „დედაენიდან".




მოგაგონდებოდათ მამლაყინწას, რომელიც გამოხატული იყო უწინდელ ვაქსის ყუთის კოლოფზე.



მოგაგონდებოდათ: „აბუზული წიწილა"

მაგრამ ორ სამ თვის შემდეგ რაც ტფილისში ჩამოვიდა, თავკვახაძე ისე გამოიცვალა, რომ არა თუ თქვენ, თავის მშობლებს რომ ენახათ, ისინიც კი ვერ იცნობდენ უცაბდ თავის შვილს. მთლად გამოცვლილიყო, „გაკეთებულიყო". ახლა მოგაგონდებათ არა „აბუზულ წიწილას", არამედ ამაყ, ყანჩასავით გრძელყელიან მამლაყინწას, რომელიც გამოხატული იყო უწინდელ ვაქსის ყუთის კოლოფზე. აქ გასაკვირი და არაბუნებრივი არაფერია; პირიქით: სრული ჩვეულებრივობა და ბუნებრივობაა: აბუზული წიწილა გაიზარდა და გახდა ამაყი მამლიყინწა.

—

ჩვენ არ ავიცით: დადიოდა თუ არა თავკავახაძე უნივერსიტეტში. გარეგნობით კი ყოველმხრივ ეტყობა, რომ იგი მომავალი „ფილოსოფოსია", ან „პროფესორი" (ყოველს შემთხვევაში „ინჟინერი მაინც). ლამაზად აცვია, პაპიროს სწევს.

ქალებისათვის ხელზე კოცნა ისწავლა და მალე ისე დაწინაურდა, რომ ხელებიდან ტუჩებამდი მიაღწია.

—

თავკავაძე თვითონ არ ისმენდა უნივერსიტეტში ლექციებს, მაგრამ, სამაგიეროდ: ყოველს საღამოს „ვერის პარკში" და ვაკეში თვითონ უკითხავდა ლექციებს შეყვარებულებს. ლექციების კითხვა თავში ნაცვლად მუცელში შეუვიდა მის შეყვარებულს და იქ გამოილო „ნაყოფი", რომელიც ცხრა თვის განმავლობაში დამწიფდა.

—

ჰო-და, ამ ამბავმა აქნევინა თავკვახაძეს „ჰირი სოფლისაკენ". ეს მოხდა სწორედ მაშინ, როც უნივერსიტეტში სწავლა შეწყდა და ზაფხულის არდადეგები დაიწყო.

ვარდენს მამა შუა გზაზე შემოეგება. შვილის ბარგი-ბარხანა მამამ წამოიკიდა ზურგზე და სახლისაკენ გაუდგენ გზას.

თავკვახაძე მეორე დღესვე შეუდგა კაპიტალურ შრომას. მას განზრახვა ჰქონდა ახალგაზრდა „საქმის კაცებისათვის", ე. ი. მომხსენებლებისათვის და ადგილკომების ხელმძღვანელთათვის შეედგინა ლექსიკონი.

— ყოველ მოხსენებას, ყოველ კრებას, ყოველ მსჯელობა-კამათს სჭირია თავმჯდომარე და მდივანი. ყველა ეს ძალიან ხშირად ხდება და იმართება ქართულ-რუსულ ენაზე. მაშასადამე: საჭიროა ქართულ-რუსული ლექსიკონი, რომელიც ორივე ეროვნებას გაუადვილებს მუშაობას.—ასე ფიქრობდა თავკვახაძე. და მან დაიწყო ქართულ-რუსული ლექსიკონის შედგენა.

### ქართულიდან რუსულად

**თავჯდომარე**: ქართული სიტყვაა. შესდგება ორი სიტყვისაგან: თავი და ჯდომა. რუსულად ისე იხმარება:

თავი—голова; ჯდომა—сидеть. მაშასადამე: თავმჯდომარე რუსულად იქნება: **наголовосидящий**.

**მდივანი**: სავარძელი, кресло.

**ნიმუში**: ამხანაგებო, გთხოვთ აირჩიოთ თავმჯდომარე და მდივანი. (ესევე რუსულად). Товарищи, выбирай наголовосидящий и кресло.

### რუსულიდან ქართულად.

**ПРЕДСЕДАТЕЛЬ**—შესდგება ორი სიტყვისაგან: пред (იგივე перед) წინ და седать—ჯდომა. მაშასადამე: председатель ქართულად იქნება: **წინმჯდომარე**. (სწორია. მართლაც თავმჯდომარე კრების წინზის).

**СЕКРЕТАРЬ**—სიტყვიდან: **Секрет**—საიდუმლოება. მაშასადამე, **секретарь** ქართულად იქნება: მესაიდუმლე.

**ნიმუში**: Товарищи, выбирай председател и секретарь. (ესევე ქართულად) ამხანაგებო, აირჩიეთ წინმჯდომარე და მესაიდუმლე.



წამოიკიდა ზურგზე და სახლისაკენ გაუდგენ გზას.

რამდენიმე დღის შემდეგ სოფლის კრება იყო. სოფლელებმა „ქვეყნის ამბების“-ს თხრობა სთხოვეს თავქვახაძეს. აბა როგორ გააწბილებდა! თანაც ხომ უნდა ეჩვენებინა სოფლისათვის თავის სწავლა... და მან დაიწყო: საერთაშორისო მსოფლიოს მდგომარეობა კარგი ხანია რაც ჩარჩოსავით სდუღს, მაგრამ მისი დაშუშება, როგორც ლომის, კიდევ ვერ შესძლო მომენტმა.

— რომელი დომენიტა, ნეტა?—იკითხა ვილაცამ, მაგრამ გარშემო მდგომებმა ჩააჩუმეს:

— ალბად ვილაც დიდი კაცია!

— ინგლისში გაფიცვებია, კარგი ხანია რაც დაიწყო და დღემდი გრძელდება... თქვენ თანახმა ხართ თუ არა, რომ გაფიცვები განაგრძონ ინგლისში მუშებმა და მხარს უჭერთ თუ არა გაფიცვაში?..

აი, ასეთი უნდა სოლიდარობა; თქვენი ხმა აქედან იქ მიესმება ბურჟუებს და ისე დაფრთხებიან, რომ წასდებიან...

— ა? ნუ თუ ასე ახლოა ის რაღაც ინგლისია, რომ აქედან იქ მიესმება ჩვენი ხმა?—გაიკვირვა ერთმა მოხუცმა, მაგრამ კითხვა ვერ გაბედა.

— ამხანაგებო, არც საფრანგეთშია კაი მდგომარეობა. მათი ფული უფროდაუფრო ეცემა. საფრანგეთი ყველის ვაჭარსავით ელინჭილება ამერიკას სესხი მისცეს, მაგრამ ამერიკა ყოყმანშია... ამხანაგებო, მისცეს თუ არა ამერიკამ სესხი საფრანგეთს?—ეკითხება ორატორული ექტაზით გატაცებული თავქვახაძე.

— მისცეს...

— არ მისცეს...

— მისცეს...

— არ მისცეს...

— დაიცადეთ, ამხანაგებო, რადგან საქმე ასე წავიდა, კენჭი უყაროთ. ვინ ხართ მომხრე, რომ მისცეს... კარგი... ეხლა ვინ ხართ წინააღმდეგი... კარგი... ამხანაგებო, ხმის უმეტესობით მიღებულია, რომ ამერიკამ საფრანგეთს სესხი არ მისცეს...

— კი მარა, ჩვენ ვინ გვეკითხება ამას?—დააპირა ვილაცამ დაძახება, მაგრამ თავქვახაძემ განაგრძო სიტყვა.

— სხვა ქვეყნებშიც ვერ არის კარგად საქმე. ამერიკაში ვილსონი თავის სურვილისამებრ განაგებს იაპონიას, სადაც რესპუბლიკაა და პრეზიდენტად სუნ-იატსენია. ჩინეთი კიდევ არ დამწყნარებულა. ინგლისი ბალტიის ზღვიდან მიადგა და განადგურებით ემუქრება. გერმანიაში მთავრობა ისევ პუანკარემ შეადგინა. ხოლო ჰინდენბურგი პარიზიდან მტრულად უცქერის პუანკარეს მთავრობას, რადგან მისგან ახსოვს ომის დროს ბევრი რამ. მიუხედავად ასეთი მტრული განწყობილებისა, გერმანია-საფრანგეთს შორის მაინც არსებობს დამოკიდებულება და ყოველდღე ბერლინ-პარიზს შუა დადის სამგზავრო და საბარგო მატარებლები და გემები...

— ოი, შენ გენაცვალოს, დედა; მთელი ქვეყანა თავის ხუთს თითსავით იცის—ხშირად წამოიძახებდა ქალებში თავქვახაძის დედა, რომელიც „ორატორ“ შვილს სიცილით მიშტერებოდა.

— თუ კი ასეა უცხოეთის მდგომარეობა, სამაგიეროთ ჩვენი მდგომარეობა დღითი-დღე წინ მიდის. ჩვენს ქვეყანაში არ იყო ცივილიზაცია და ახლა უნდა შემოვიდეს.

— რაო?! რაო?! რა სთქვა?—ეკითხებოდენ ერთმანეთს სოფლელები.

— რაღაცა ცილიზაციაო?

— მერე რას ნიშნავს მაგ?

— რა ვიცი მე.. სიდაური სტუდენტი ვარ, რომ ყველაფერი ვიცოდე!

— უკაცრავად, უკაცრავად,—დაიძახა შუაში ერთმა და ხელი ასწია,—თქვენ რომ ბრძანეთ: ცილიზაციო...

— ცივილიზაცია ვსთქვი მე,—განიმეორა თავქვახაძემ გაბრაზებით.

— .ო-და, რაღა ცმაგი ცილიზაცია არის,—ერთი იგი ამიხსენი,—ცხენების მობილიზაციას ხომ არ ჰქვია ცივილიზაცია?

— ეჰხ! რა შეუგნებელი ხართ... ცივილიზაცია არის კულტურა...

— ა? რაო? რაო? მგელ-ტურების მეტი რა არის ჩვენში და კიდევ გინდათ შემოიყვანოთ და გაამრავლოთ?... ქათმებს ახლა გააელო მუსრი და მაშინ რაღა იქნება?...

— ჰერიჰაა! რა ძნელია ასეთ ხალხთან მსოფლიო მდგომარეობაზე მოხსენების გაკეთება,—გაიფიქრა თავქვახაძემ და განუმარტა:—ამხანაგო, ცივილიზაცია, კულტურა ნიშნავს განათლებას... გაიგეთ ახლა?

— ჰო-და, მე დალოცვილო, უწინ გეტყოდი ასე ქრისტიანულად...

— უკაცრავად, მაგრამ, გადაჩვეული ვარ და დიდი სიტყვები თუ ვერ ვიხმარე, ისე შეუძლებელია ლექციის წაკითხვა.

— როგორ? ლექსს კითხულობდა, ნეტა? მე ვერაფერი შევატყვე?—გადაუჩურჩულა ერთმა მეორეს.

—მაგრამ საერთაშორისო სიტუაცია, ნათლად ააშკარავებს, რომ ხდება კაპიტალისტურ-იმპერიალისტურ კონტინენტების გადაჯგუფება და მათი პარლამენტარული წესწყობილების დიფერენციაცია, რაც ამტკიცებს, რომ მოახლოვებულია კატასტროფიულ-ტრაღიკული ფინალი მათი არსებობისა. ამ გარემოებას ხელს უწყობს ერთმანეთის შორის ინდიფერენტიზმი... ასე რომ მოახლოვებულია მსოფლიო საერთაშორისო რევოლიუცია... ჩვენ აქ უნდა გამოვიტანოთ რეზოლიუცია, რომელმაც უნდა მოახდინოს მსოფლიო რევოლიუცია... თანახმა ხართ თუ არა, რომ მოხდეს მსოფლიო რევოლიუცია და დაიფერთხოს ყველა მეფეები და ახლანდელი პრეზიდენტები და მინისტრები?..

გაუმარჯოს რევოლიუციას და ჩვენს რეზოლიუციას... გაუმარჯოს სოციალიზმს... ძირს ნიკოლოზ... უკაცრავად; წამცდა; ნიკოლოზი მკვდარია... ძირს... ძირს... ნეტა ვინ?... ძირს... ძირს...

— ძირს თავქვახაძე!—დაიძახა ერთმა და ყველა მას აჰყვა...

---

თავქვახაძე და მისი დედა ერთად მიდიოდენ კრებიდან სახლში.

— შვილო, არვარგა დიდი კაცების გადაკიდება? კაცი კაცს კი არა, მთა მთას შეხვდება. ვინ იცის, იქნებ სადმე შეგხვდენ... მით უფრო, რომ ევროპაში წასვლას აპირებ... შენ კი მოჰყევი და, რაც ქვეყანაში მეფეები და პრეზიდენტებია, სუყველა უდმოყარე ძირს... რომ გეიგონ, ხომ ეწყინებათ?...

— არავითარი კომპრომისი მათთან...

— არა, შვილო, არა... თუ კომპრესი გჭირია, მე გაგიკეთებ სახლში...

ისელი

## ორი მეგობარი



## იერ



ბუზების და ბაღლინჯოების რაზმი თავს ესხმის მოქალაქეს და იერიშზე გადადის.

## გირვანქა ყველი

ნუ იყიდი კოოპერატივში იმას,
რისაც ყიდვა შეგიძლია სხვაგან.
(ლოზუნგი უკუღმა).

ერთხელ, როდესაც (უკუღმართ საათს)
ნაცნობ დუქნისკენ ავიღე გეზი,
უეცრად ჩემს წინ გაჩნდა ვილაცა
ამ უსაშინელ ამბის მიზეზი).

შემომაჩერდა მე იგი მკაცრად,
და შემდეგ მხარზე დამადო ხელი...
მე დაღუპულად მიმაჩნდა თავი,
მე არსაიდან არ მყავდა მხსნელი...

და იყო ცაზე მზე რისხვით სავსე.
უცნობმა ნერწყვით დაილბო ყელი.
მითხრა უეცრად:—საით მიდიხართ,
განა მუშკოპში არ არის ყველი?..

ხედავთ წარწერებს. ხედავთ ლოზუნგებს
თქვენ კი კერძოსკენ გიქნიათ პირი.
რისთვის ხართ წევრი და მოქალაქე,
რისთვის გაღვიძებთ დილას საყვირი?!.

დაჩუმდა. სთქვა ეს სტრიქონი ექვსი,
და მიიმალა ვით ავი სული.
მუშკოპის დახლთან ვიდექი უკვე;
ჯერ არც კი იყო წუთი გასული.

მოსჭრეს, ასწონეს და გამიხვიეს
ოთხჯერ თუ ხუთჯერ გირვანქა ყველი,
და შემდეგ როცა მომცეს პატივით
მე სიხარულით დავავლე ხელი.

მივდივარ; ვფიქრობ, ახ, რა კარგია,
როდესაც სხვებთან შენცა გავს წონა...
ახ, ეს დახვედრა და ეს პატივი...
ახ, რომ იცოდეთ, რა მომეწონა!..

—

ჩემს წინ მაგიდა, წინ კიდევ ყველი,
აქეთ ლავაში და იქით წყალი.
ასეთ სადილზე, მითხარით ერთი
განა რომელი იქნება მწყრალი.

დალოცოს ღმერთმა (აწდა მარადის)
იმ ზრდილობიან ნოქარის ხელი.
და მხიარულად ტკბილ მოლოდინში
ქაღალდებიდან გახვსენი ყველი.

შემდეგ რა მოხდა არ მახსოვს კარგად.
თავიდან სადღაც გაქრენ აზრები,
და როგორც ეხლა ვრწმუნდები უკვე,
მგონი თავდასხმა იყო გაზებით.

თითქოს ოთახში ვილაც უჩინარს
ეკმია რაღაც სხვა საკმეველი.
მე რატდასხმულმა საამო სუნით
კვლავ ქაღალდებში გავხვიე ყველი.

დიდის სიფრთხილით, როგორც წამალის,
მხოლოდ ნამცეცით გავსინჯე გემო...
ასეთ ნამცეცში ათი შაური
ვის აულია, მუშკოპო ჩემო!..

ამ ნაჭერს მთელად ვერც კი მიიღებ
თუ ათას ნამცეცს აილებ ერთად...
მაშასადამე გირვანა ყველი
მე დამჯდომია ხუთას მანეთად.

დიდის რისკით გამოყენებული 1 ნამცეცი—50 კ.
გამოუყენებელი დაახლოვებით 999 ნამც.—50 კ.X999

499 მ. 50 კ.

სულ 1000 ნამც. (1 გირვ.)—500 მ.

დევს მაგიდაზე წყეული ყველი
და ვირთხებიც კი გარბიან კარში.
საით წავიღო და გადავაგდო?!
შიშის ეკლები მივლიან ტანში.

უნდა უშველო სანამ დრო არის,
არ მოდებია სუნი მთელ არეს...
კარში მდგუმურები დადიან რაღაც
მეძებრევივით სუნავენ ჰაერს.

და როცა იმათ ჯიბეში ვვებით
მე ჩაუარე ბანდიტის მსგავსათ,
ვსთქვი, ასეთ მტრებით გარშემორტყმული
მე გასაქცევი აღარ მაქვს არსად.

მიცქერენ ეჭვით სავსე თვალებით,
ო, მათ უთუოდ რაღაც იციან...
მზომავს დვორნიკი (მისთვის „ნა ჩაი"
მე არასოდეს არ მიმიცია).

# იში



ამავე დროს მოქალაქის ცოლზე აგარაკზე იერიშით მიდიან
და ლამობენ მის ადებას, რაც მეტად ადვილი საქმეა.

მივდივარ... მოდის დვორნიკიც უკან.
(ციხე ყოველთვის გატყდება შიგნით)
ვიცი ნამდვილად, მეორე მხარეს
ჩემზე საჩივრად წავიდა იგი.

წავიდა იგი კომბალით ხელში...
მაგრამ იმედი ჯერ არის კიდევ.
და როგორც ქურდი-რეციდივისტი,
მე ტროტუარის მივყვები კიდეს.

—

ქუჩის კუთხეში ზის მათხოვარი.
„უბედურისთვის გაიღეთ წვლილი!..
გუშინ მე იგი ვნახე უფეხო,
დღეს დავსებია თვალები წყვილი.

— დალოცვილებო, კაპიკი მხოლოდ...
შეუმსუბუქეთ ბრმას მწარე ბედი!..
საწყალი კაცი... მე მათხოვრისთვის
ვერ ამილია გულმშვიდათ გვერდი.

დღეს იგი ბრმაა და ჟუსინათლო.
ხვალ იქნებ კიდევ გაუჩნდეს კუზი.
ვინ იცის ეხლა დალანდრულ გულში
რამდენი ფიქრი და სევდა უზის.

ზეგ კიდევ დამბლა, და მაზეგ კიდევ
მას წაერთმევა ხელი და ყური,
იქნება ფიქრობს: შენ ყველა მიგაქვს,
მე კი არ მაქვს ნაჭერი პური.

— მომხედეთ ხალხნო, გახსენით გული,
ნუ გენანებათ კაპიკი ერთი...
მოგვეცით რამე და შეგეწევათ
შაბათის ლოცვა და მამა-ღმერთი!—

ცრემლმორეული ვდგები მე მის წინ.
ვაძლევ, თან ბუზებს ყველიდან ვდევნი,
წაიღე, ჭამე შეგარგოს ღმერთმა
და კიდევ მოგცეს ასი ამდენი.

მოიხსენიე თომა, ვასილი,
მატრონე, მართა და კიდევ ლუკა.
შეევედრე, რომ თავისი ძმებიც
თან გაიყოლიოს სანქართო უკან...

ილოცე კიდევ, რომ ხვალინდელი
მე გამითენოს მშვიდობით დილა...
სამაგიეროთ ეს ოყა ყველი
მიჩუქებია, შეირგე ტკბილად...

ნუ გეწყინება და მაპატიეე
თუ ვერ მოგეცი კაპიკი-ფარა...
მე მათხოვარმა დამლოცა ბევრჯერ
და შინისაკენ წავედი ჩქარა.

საწყალი კაცის ხელის მომართვა
მე ბევრჯერ მსურდა, მინდოდა სულით,
და ეხლა ჩემში გარდასხდილ ვალით
კმაყოფილება სუფევდა სრული.

რა ვუყოთ, ერთხელ თუ შომიხდება
გამხმარი პური შევჭამო ხმელად...
ხუთას მანეთად ნაყიდი ყველი
მე გაჭირვებულს ვაჩუქე ხელად.

აწი ვერავინ მეტყვის ვერაფერს
(ან აქამომდის ვითომდა რისთვის)
სასამართლოში მივცემ მე დვორნიკს
ცრუ „დონოსისთვის“ და სიყალბისათვის.

ეხლა გაბედონ შეხედვა ეჭვით...
ეზოში გავლამ არ შემაშინა.
მე შეიდიურად ავხედე მდგმურებს
და თავისუფლად შევედი შინა.

წყალმა წაიღოს ათი შაური.
ასეთ მცირეზე შევწუხდე რაზე...
მე ვუჯდებოდი მაგიდას ისევ
როს მათხოვარი მომადგა კარზე.

მას ახელოდა უკვე თვალები...
და გვერდში ედგა წესრიგის მცველი.
ხელში ნაგანი ეჭირა ფეხზე
და მეორეში ჭირვანქა ყველი.

და იყო ხედვა მისი საზარი,
და როგორც ტყვია სიტყვები ნელი...,
მე დალუპულად ვიცანი თავი...
მე არსაიდან არ მყავდა მხსნელი...

და შემიყენეს ოქმი ასეთი,
(რა ცუდი ბოლო, რა კარგი თავი)
რომ მათხოვარის მსურდა მოწამვლა
და მედო გულში ზრახვები შავი.

გაჩნდა დვორნიკიც სასწრაფოთ იქვე.
და იმან საქმე უფრო არია.
მასაც სცოდნია. რა არის თურმე
ჯანმრთელობა და სანიტარია.

მე არ მაშინებს კიდევ იმდენად
ეს მათხოვარი და მილიცია.
მაგრამ დვორნიკი... მისთვის „ნა ჩაი“
მე არასოდეს არ მიმიცია...

ტყუილი იყო მართლება თავის
— რა ყველი, ძმაო, ხომ არ ხართ აურად...
და ეხლა როგორც მავნე ელემენტს
მე მასახლებენ ბინიდან სწრაფად.

მათხოვარი კი მიჩივის „სუდში“
(გაზეთებიდან გაიგებთ შედეგს )
ვითომ მოწამვლა მინდოდა მისი
რომ გამეცარცვა ადვილად შემდეგ...

**სინემატოგ[raf]**



# „ელემენტები“

(საქოს გულის დარდები).

— ასტუ ბაროვ, პარუნ ფარსადან! სკოლკა ზიმ, სკოლკა ლეტ, მი დრუღ-დრუღ სიფათ ნი პავიდალსა!... შამოდი, შიგნით შამოდი, ამ ტაბურეტკაზე დაჯექ. ერთი ძველებური მასლაათი ვქნათ, რაღა, გულის ბოლმები რაზდელენია გიზამ, უტეშენია იქნება....

ახარ, პარუნ ფარსადან, გავიგე, დიდი კურსონიკი რამე გამოსულხარ, თურმე ჩვენი ჰამქრის ხალხსა პაჩოტი უშვრები, იმათი ნათქომები სულ „ტარტაროზში“ აგდეფ რაღა, ქვეყანას აგებინებ ჩვენი გულის დარდებსა. კარგი ხელობაა, ჩემი სიყმის მზემა! ღმერთმა ბარაქა და მუშტარი ნუ დაგილიოს. ჰო, იმას გებნებოდი: სწორეთ ყისმათმა მოგიყვანა რაღა, ეხლა ძალიან კრიტიწკი პალაჟენიაში ვარ და შენისთანა კაცის სავეტი ზიარებასავით მჭირდება.

გაიგებდი იმ მიწაგასახეთქ შუშანას ამბავსა, ამ სიბერის დროს რამდენი აბიდა მაჭამა: მამჭრა რაღა თავი—ჰამქარში აღარ გამესვლება! შუშანას ხო იცნოფ, აი ჩვენი ყიყვიან სანდროუას ნაცოლარსა?—იმას გებნები! ვა, ვა, ნამდვილი აფთარი ყოფილა რაღა ეგ ქოფკის დანარჩენი ეგა! ერთი საიდუმლო არ შამინახა, ყეენივით გამამაჭენა საქვეყნოთ ეს დარბაისელი კაცი და ბოლოს სუდის პირშიც ჩამაგდო.

ერთი პაღრობნათ გიამბოფ ამ ჩემ პრიკლიუჩენიასა და, სიყმე ნუ მოგიკვდება, ერთი სავეტი მამეცი, თუ როგორ მოვიქცე:

ფარსადანჯან, შენც ხო კარგათ იცი, სამი წელიწადია ცოლი დავმარხე, ველარ გაუძლო ცხონებულმა ამ ჰუჟმურ დროებას, ტვინის პარალიჩი მოუვიდა, გული გაუსქდა რაღა—ტრაღიჩესკათ გამამეცალა ხელიდან! იმ დღიდან სულ მარტო ვიყავი, მუდამ კვირაძალზე ვანქში დავდიოდი, სახლში სანთლებს ვანთებდი, მაყალში საკმელსა ვყრიდი და ჩემი თალიკოს სულსა ღმერთს ვავედრებდი იმ საიქიოს!

დიდმარხვის ლოცვებზე საზიარებლად დავიწყე სიარული სუფსარქისში და ტერაცუაც ვერ მიმისწრებდა ხოლმე საყდრის კარებზედა. ჰამა ერთხელ ძალიან სკუჩნათ ვიყავი და პირდაპირ დუქნიდან წავედი თალიკოს საფლავზე, ქვაზე ჩამოვჯექი და ვფიქრობდი მილეთის რამეებზედა:—დაილოცოს ღმერთოჯან შენი სამართალი! ეს რა ზაკონზე გაგიჩენია ქვეყანა. დღესა ვართ, ხვალ კამფარასავით გავქრებით! მორჩა, წავიდა! როცა აჯალი მოვა, მოვა რაღა, ბევრიც რო იჩალიშო, ვერას გახდები. არა, შე დალოცვილო, რას ერჩოდი იმ სულით განათლებულსა, რომ კიტაიცკი ბოლოკივით ამააძრე სული? გაგიჩენია,—თოლ, იცოცხლოს რაღა, უყუროს მზიან ქვეყანას! მერე, როგორ უყვარდი და, სულ სარაჯოვის პესნაზე მიმღეროდა ხოლმე:

— „პრიოსკაი, პალასკაი, საქოჯან-ო!“

ძილშიც ჩემ სახელსა ბოდამდა და, თუ არ ეძინა, გადმამძახებდა ხოლმე კრაოტში:

— საქოჯან, გძინავს?

— არა, რა იყო!

— ჰა. გადმოვბრუნდე?

— რათა?

— ისე, სკუჩნათა ვარ და ერთი შენებურათ ისემე მიყავი—უტეშენიაო, მემასლაათეო, იქნება, დამეძინოსო. ეგრე შაქრათ ებერდებოდით რაღა ორთავენი ჰამა, რომ აღარ დაგვაცალე, ღმერთო-ჯან, შე დალოცვილო მეთქი! ცრემლები მამივიდა და ხმამაღლა ტირილი დავიწყე. ბოლოს ისე ნეჩაინათ მაღლა აიხედე: მაგრამ რას დავინახამ: ერთიც ვნახოთ, თავზე წამამდგომია ერთი შავკაბიანი ქალი! შავხედე, მაგრამ თვალი ველარ მოვაშორე რაღა; ლამაზი, ლამაზი, თარსათან, რომ ენით ვერ გეტყვი—აი ისეთი რაღა—ჩვენი ბაგრატა რო მღერის ხოლმე გრამაფონში ერთ პესნასა:

— „ლოყაზე ხალი, შავი თვალი,—ნუ მამკალი, კარგო-ჯან!...“

— ვაი-ქი, რა გულის მურაზი დაგიკარგავს, რომ ასე სტირიო! სირცხვილისაგან სტალბნიაკი მამივიდა, ენა დამება და ძლივს უპასუხე:—ცხონებული ჩემი ჯალაბი მარხია აქა, ძველი რამეები მამაგონდა და გული ამიჩუყდა მეთქი.

გულს არ უნდა აჰყვეო, დარდი ჩაგივარდება, პაროკ სერცა მოგივა და შენც თან გაჰყვებიო. მეც ჩემ ცხონებულზე ბევრი ვიტირე, მაგრამ ბოლოს გავიგე, რომ ყველაფერი პრივიდენია ყოფილა და, რაც წასასვლელია, წავა, ჩვენი ქულული ველარ უშველისო. ჩვენ რაღაზე ვიხოცამთ თავებსა, რასაც გავიხარებთ, იმის მეტი არაფერი შაგვრჩებაო!

ცოდო გამოტეხილი სჯობია და, ანგარიშში რო ჩავაგდე, ჭკვაში მამივიდა იმისი ნათქომები. გავაბით მასლაათი, ფლანი-ფსტანი, კითხულ, კითხულ და ახრიზამანში გამოირკვა, რომ ეს ჩვენი ყიყვიან სანდროუას ქვრივი შუშანა ყოფილა,—აი მიროვოი სუდში აბლაკატათ რო იყო რაღა! რას იცინი, პარუნ ფარსადან, ყისმათს კაცი ვერსად წაუვა. ალბათ, შუბლზე მეწერა—მამეწონა, ისე მამეწონა, რომა სულ თვალებითა ვჭამდი რაღა! ერთი სიტყვით, იქვე დავზნაკომდით და დიდხანს მადიანათაც ვიჭუკჭუკეთ. შინაური კაცი ხარ და ყველაფერს ატკრავენათ გებნები, ფარსადანჯან. მაგრამ, თუ პურმარილის მადლი გწამს, მეც „ტარტაროზში“ არ ჩამაგდო ცალგვერდა აკოფასავითა!

ორი კვირის შემდეგ გალიცინივით სულ პადრუჟკით დავყვებოდი და ღამეები აღარ მეძინა იმის ეშხითა. ისიც ძალიან მადიანი რამე გამოდგა და მაძლევს და მაძლევს ზაკაზებსა: ეს აჟურნი ჩულქებიო, ეს შოლკოი პადუსკებიო, ეს ვიშივნოი კომბინაციაო და ათასი დავიდარაბა,—ვინ მოსთვლის,—გეგონება, მანანა ორბელიანის მზითევს იკეთებსო! რას დაუჯერდი, ჩემი სამი წლის მოგება შიკალატებში და პეროჟნებში შავაჭამე.

წითელი პარასკევი დღეა. საღამოს ვიზიტათ მიველ შუშანასთან, მიუტანე ნუყლი, ფსტა, ალჯანაბადი და ვეკითხები:—შუშანჯან, პასკების ზაკაზს ხომ არ მამცემ მეთქი. იმან თუ:—პასკები რათ გვინდა, სააღდგომოთ ექსკურსიანზე წავიდეთო! გული გამისქდა. ვფიქრობ: საწამ ახალგაზდა ვიყავი, ერთი კურსიც არ გამითავებია და ამ ბემურაზმა სიბერის დროს ექსკურსიანი ატესტატი არ მამთხოვოს მეთქი. ვებნები:—შუშანჯან, ხუმრობ?—რის ექსკურსიანი, რაღა დროს ჩემი კურსებია მეთქი! კურსები რა შუაშია, ექსკურსია გასეირნებასა ჰქვიან იტლოგენცკი ენაზედაო, აღდგომა დღე მინდა სეირნობაში გავატარო და ბორჯომისაკენ წავიდეთო!.. ეა, პაჟალუსტა მეთქი.

სწორეთ დიდშაფათ დღესა ორნი ჩავსხედით ვტაროი კლასის მიახკი ვაგონში და იმღამესვე ბორჯომში გავჩნდით! გასტინიცაში ჩამოვხტით და კაი ლაზათიანი ვახშამი გავაშლევინე. თორმეტი საათი რო გახდა, ბაკალი ბაკალზე ამიჯახუნა—ქრისტე აღსდგა, საქოჯანო, და მკლავი გადამხვია. ვა, ვა, ვა! ტვინში უდარი მამივიდა რაღა, დავდნი, ველარ მოვითმინე და ერთი მაგრა ჩავპროშტე.—სიცილით მითხრა,—ჩხირო კუდელს, გაჰბედეო, ძალიან ზასტენჩივი რამე ყოფილხარ და ყველაფერში და მართლაც ექსკურსიანი სწავლა გნდომებიაო. ცოტა ხნის შემდეგ, რაღაც თვალები აერია, მტვრევა დაიწყო და მებნება:—საქოჯან, კარგი ჰქენი, რო ნაბადი წამოიღე, მცივა და ნაბადი დამახურე და ჰამაც თითქო გამათბეო! ვა! ნატვრა თავის-თავათ სრულდება, უარს ხომ არ ვეტყვი! ლისტრიცკი თავის ხელით ჩააქრო,—ასე უფრო თბილათ ვიქნებითო!

# ეღირსათ!



„ძოფილი ადამიანები“ (დაინახეს ქუჩაში ჟანდარმთა რაზმი, რომელსაც კინო-სურათისათვის იღებენ) გ ვეშველა, გვეშველა... დაბრუნდა ძველი დრო...

ერთი სიტყვით, ბორჯომში ლაზათიანი აღდგომა გავატარეთ და იქიდან უფრო კაი გუნებაზე დავბრუნდით. ის „პრილსაკაის“ მღეროდა, მეც ბანს ვაძლევდი.

მაგრამ, ხომ იცი, რაც კარგია, დიდხანს არა სძლებს, და ჩვენც ნედარაზუმენია მოგვივიდა, რევნოსტობა დავიწყე!.. სამი თვე ხმას არა ვცემდით ერთმანეთს და აღარც ვხვდებოდით.

ერთიც ვნახოთ, ამ ორი კვირის წინათ ვიღაც კარებს მიკაკუნებს. ნამძინარევი ვიყავი, პირდაპირ საცვლებიანი გამოველ ბალკონში. ვხედამ—შუშანაა.

— ძალიან სურიოზნი საქმე მაქვსო.

— მაინც, რა საქმეა მეთქი.

— თუო ბავშვი მეყოლა, ზაქსში უკვე ჩავწერე შენ სახელობაზე და ეხლა ელემენტები უნდა მამცეო.

— რა უნდა მოგცე?

— ელემენტებიო!

ვიფიქრე, ეს ელემენტები ალბათ ყმაწვილის ხოშიშია, თავისი შიბაქით, ან სათამაშოები მეთქი. ბან ჩუნის! თურმე ელემენტები ამ ულმერთო ბალშევიკების მოგონილი შტრაფი ყოფილა და, თუ ქალს გვერდზე გაუარე, მერე მშვიდობით! სამუდამოთ შუაზე უნდა გაუყო, რაც გაბადია რამე.

მე სრაზუმათ ატკაზი დავარტყი და ვებნები:—დედაკაცო, შარზე ხომ არა ხარ, ბნელა? აღდგომას აქეთ სამი თვეც არ გასულა და მაგ შენმა ყმაწვილმა ცხრა თვის სავალი საიდან გაიარა. ექსტრენი პოეზდით ხომ არ მიდიოდა მეთქი!... მაგრამ ვინ გიჯერებს? გაჯიუტდა, გაიშრდა, ვირზე შაჯდა და სუდში მიმცა. სუდმა საველტი ქნა და გამომიცხადა:—კაკოი ტამ, ყმაწვილი შენია და ელემენტები უსმველათ უნდა მისცეო! ვებნები:—ღოსპოდინ სუდია, მართალია, ბორჯომში ვიყავით, გასტინიცაშიც ვიქეიფეთ, ჩემ ნაბადშიც დავაწვინე, მაგრამ ეს რა პრესტუპლენიაა, მე სახარების სიტყვები შავასრულე: შშიოდა—გავაძღე, სციოდა—გავათბე. ხელი გაუმართე და თუ ამ ექსკურსიანში კიდევ რამე ერგება, დვაინოი ტაქციით მიიღოს, მაგ ყმაწვილს თავზე რას მახვევთ მეთქი!

— ჩვენ არაფერს არ ვაგიკლებთ და თუ ვინდა, ოკრუჟნი სუდში კასაცია ქენიო. მეც კასაცია ვქენი და ხვალ ვტარიჩნი რაზბორია დანიშნული.

ეხლა ამას გეხვეწები, უსტა ფარსადან, საქმეში ჩახედული კაცი ხარ, მირჩიე, როგორ მოვიქცე, რომ ამ სიბერის დროს სხვისი სჩოტების გასტუმრება მე არ დამჭირდეს და ამ ელემენტებს თავი დავახწიო?

ფარსადან.

# გათომის ქრონიკა

◆ ერთი თვის წინედ გაიხსნა ცირკი
სახელწოდებით ცნობილი: „ზოლო“.
მრავალს შეახმო მან კუდის რიკი,
აძახებინა: „შვილო და ცოლო!“

◆ ზღვაში მდგარ გემზე ცეცხლმა იფეთქა,
ცამდი ავარდა იქ შავი ბოლი.

◆ ციდან ქვა მოსწყდა, მიწაზე ბეთქა.

◆ კოტემ გაუშვა მეშვიდე ცოლი.

◆ კატიუშამ გუშინ მოიკლა თავი.

◆ ქურდმა გაქურდა ვასილის ბინა.

◆ სამი წლით ციხეში აკვრიეს თავი,—
ვინც შეაცდინა ლამაზი თინა.

◆ „ზაგსში“ გატარდა ჩვიდმეტი წყვილი,
შეუღლებისა დასწერეს აქტი.
ასს განშორებას ჰქონდა ადგილი
(და ასეთი კი მეტია ფაქტი).

◆ გამოუწერა სოფელს გაზეთი
კეითლმა სანდრომ ნაცვალიშვილმა.

◆ შემოიტანეს ვაგონი ზეთი

◆ დრამა დასწერა ბეყვიაშვილმა.

ბლიკვი

# „რქიანი მა…



## ქლენად ტფილისელ ქმრებს

დაცხა, სიცხე ტვინში
ნემსებივით აჭერს.
ხან ვიფარებ ზეწარს
და ხან ტილოს ნაჭერს.

ძილი მინდა, ძილი,
ტკბილათ ვხუჭავ თვალებს,
მაგრამ ერთი რწყილი
რბილში მკიდებს ბრჭყალებს.

ტკივილით და ფხან…
თვალებს ისევ ვახელ…
ისე მცხელა, ველარ…
ვამბობ ნაცნობ სახე…

ძილი მინდა… მინდა…
გვერდზე გადავბრუ…
მაგრამ ვხედავ აშლ…
ბაღლინჯოთა გუნდ…




ტფილისის სა…

# ა რ ე ბ ე ლ ი“



ახლა ომს გავმართავ,
მაგრად ვქიმავ კუნთებს...
ვამბობ: მწერის ჯარი,
რისთვის ამიბუნტეს!?

ცოლი მესიზმრება
აგარაკზე მჯდომი...
ვიღაც ხელს ხვევს... ტვინში
იმართება ომი.

ხელს ხვევს, ეუბნება
სიტყვებს მეტად უშვერს...
მაგრამ დახე ქალიც
ვნებით ხელებს უშვერს.

ვბორგავ ვეღარ ვუძლებ,
ისევ ვახელ თვალებს...
ჯავრისაგან მთელი
ტანი მიკანკალებს....

„მაწონ-მაწონ“ ამ დროს
იძახიან კარში
„ბუბლიკ“, „ლობი“, „ქეგლეი“.
იკარგება ქარში...

აღარ შემიძლიან
ავიტანო მეტი...
თავში ჯარა ბრუნავს—
მემართება რეტი...

ვიცმევ... უწინ ჩაცმას
ხუთი წუთი ჰყოფდა...
ბიჭოს ეს რა არის.
—ჩემი ცოლის კოფთა.

ვიხდი, ვაგდებ... ვიცვამ
ჩემს ჭუჭყიან ხალათს...
მსურს გავექცე ოთახს,
აუტანელ-ჯალათს...

უკვე მივქრი,-თავშიც
სხვა აზრები ჰქრიან...
და მივყვები „დაჩის“
მატარებელს „რქიანს“.

ნიახური.





...ხაშურთან

# ეშველა!



მოქალაქე (რომელმაც აიღო სამგზავრო ბილეთი, ალტაცებული გამორბის სადგურიდან); ჩემისანა ბედნიერი სხვა იქნება ვინმე განა?

# საზანდარი

**დელი, დელი, დელია,**
**საქმე შემომელია...**

მოვრჩი ყანას, დავისვენე,
მინდა ტკბილად ვილილინო.
ცა ქუდად მაქვს, მიწა წალად,
და ქვევრში კი ბევრი ღვინო.

ის აღარ ვართ, რაც ვიყავით,—
ქვეყანაა მუშის, გლეხის;
ჩვენ ორივე ერთ ძალღონით
დამცემი ვართ მტრებზე მეხის.

გვეყო დღემდის რაც ვიტანჯეთ,
აღარ გვინდა კიდევ იგი.
ვინც გვტანჯავდა, მათ იტანჯონ,—
ახლა არის მათი რიგი.

რაკი მიწა ჩვენი არის,—
ვინ წაგვართმევს აწი იმას;
თუ გაბედა, - ვაი მის ტყავს:
გავაწვიმებთ სისხლის წვიმას.

—

**თქვენ მოისპეთ გვარადა:**
**ვარადა, ვარადა.**

ჩვენ გვიყვარდნენ მურისავით
ჩემბერლენი და ბოლდავინი.
ჯკუა მაინც ვერ ისწავლეს,
ალბად თავში არ აქვთ ტვინი.

პუანკარე კვლავ წამოდგა,
გამოვიდა ის სცენაზე.
„ფრანკს, საფრანგეთს მე დავიხსნი"
აკერია მას ენაზე.

ერთად ექვსი პრემიერი
ამზადებენ აჯაბსანდალს;
მალე უნდა მოველოდეთ
იმათ შორს ჩხუბს და სკანდალს.

პილსუდსკი და მუსოლინი
ძმა-ბიჭები" შენაფიცი
რაც ხანია ცხვირს მოიტეხს;
როგორც დედის ყრჩი კვიცი.

—

**გაუსვი და გამოუსვი**
**ვითომ ჭიანურია.**
**მეზობლის ცოლს ხელი ახლე**
**ისიც შინაურიაო.**

ალმასკომის თავმჯდომარე
ნაქებია ღვინის სმაში.
სამი ფუთი თეთრი ღვინო
ალბად ჩავა ნაღდად მასში.

როგორც იქნა მოვიშორეთ
მღვდელ-ბერი და დიაკონი;
სასაცილოდ გავიხადეთ,
მათ აღარ აქვთ კუჭზე ქონი.

მაგრამ ახლა იმათ ნაცვლად
წამოგვაჯდა თავმჯდომარე.
ალმასკომში მას ვერ ნახავთ,
უნდა ერქვას: შინმჯდომარე.

ნათლობაში ნაქეიფარს
მეორე დღეს თავი სტკივა,—
(თუმცა მიკვირს, რადგან თავში
ჭკუის ნაცვლად მას აქვს თივა).

**ნინინაო, ნინინაო,**
**ნეტა რამ დაგაძინაო.**

როგორც იქნა ბედნიერი
გაიხდით კოოპერატივით.
საქონელი ბევრი მოდის
რკინის-გზით და გემით, ტივით:

მაგრამ მაინც შიგ ვერ ნახავთ
თქვენ საჭიროს ვერაფერსა
გამგეს, ნოქარს დარდიც არ აქვთ...
მადლი ღმერთს და ფერი ფერსა

თაროები ცარიელი
აწ გამსდარან მინდვრათ თაგვით.
მისი გამგე ბუზებს იჭერს,
ძილისაგან დახლს დააკვდა.

არც მარილი, არც ასანთი
ვინ იკითხავს ნარმას, აბა?!.
რა ვქნა, რა ვქნა აღარ ვიცი,
ცოლს შემოსძვრა ტანზე კაბა.

**ვაიმე, დედავ, გვერდები,**
**ლოგინიდან ვერ ვდგები**

საექიმო პუნქტი გახსნეს
(თუმც გაგვაძრეს შრომით სიქა).
უნდომთათვის რამდენიმე
ლოგინები დადგეს იქა),—

მაგრამ რაა?! ზედ რომ დაწვე,
გადიქცევა ძვალი რბილად
და ერთხელაც ავათმყოფი
ვერ იძინებს მშვიდად, ტკბილად.

ვისაც გინდათ (თუმც არავის):
კაგადმყოფი გახდე ავად,—
იქ დაწევი და სურვილი
აგიხდება თავის თავად.

თუ გინდ იწვე იქ ერთი თვე,
ვერ მიიღებ მაინც წამალს,
და ექიმი მაშინ გნახავს.—
თუ მიუყვენ სახლში მამალს.

„ვიზინტი".



# გაჭირვება ჰქმნის „შეგნებას"



ერთი (მეორეს): ვაჰ! შეხედე: ჩვენი გამგე,, მისი ცოლი და დედა როგორ იწერენ პირჯვარს და ღმერთს ლოცულობენ! დახე! მორწმუნე ყოფილა!

მეორე: ალბად აგარაკზე მიჰყავს ცოლშვილი... და ღმერთს ევედრებიან, რომ სამგზავრო ბილეთი აილონ და მატარებელში მოთავსდენ.

# საავარაკო

ცხელა, თავი ჩემი
ჰგავს დათვების ბუნაგს,
და მივყვები ფიქრებს
ისევ შმაგს და მსუნაგს...
ჩემი ცოლი ეხლა
დასეირნობს ცემში...
ცხელა ტვინში, გულში,
ცეცხლი ბრუნავს ჩემში...
ვერ ვისვენებ. თავში
ერთი ფიქრი დამაქვს:
— ჩემს ცოლს ეხლა ტყეში
ვინ უმძიმებს გამაქს...
ყაბინეტში ვზივარ,
ზანტად ვფურცლავ „საქმეს".
თუ შემდეგ არ ვარ
რას ვაკეთებ აქ მე.
თავში აშლილ ფიქრებს
ვერ ვუკეთებ „ბალანსს"...
მგონი სჯობს, რომ თავზე
მე ვიგლეჯდე ბალანს...
წავალ... შაბათს... წავალ...
გული ველარ მიძლებს...
უსათუოდ მოვკლავ,—
ჩემს თავს უდებ ნიძლავს.
შაბათს მივალ, თუნდა
წარღვნა დამხვდეს გზაში.
ჩქარა ვნახო ჩემი
ცუგრულემა ბავშვი...
მაგრამ ფიქრი ისევ
გაეხვია შავი
და კვლავ უცნაურად
მიღიტინებს თავში...
ორშაბათს ხომ ისევ
უნდა წამოვიდე—
და დავტოვო ცემში
ცოლი მარტო კიდევ...
შაბათს შვილი უნდა
ტკბილად შეხვდეს მამას,—
ორშაბათ კი „ძია"
დაავიწყებს ამას...
და შეარჩევს ნელ-ნელ
„ტიხო" „კამაც-კამაც"...
დედასაც და შვილსაც
„კონფეტების" ჭამას...
თავში მაინც ფიქრი
იერიშით მიდევს...
ვერ ვისვენებ, ული
ბოლმას ველარ იტევს...
მოვკლავ, მოვკლავ, მოვკლავ—
ჩამჩურჩულებს ყურში...
რისთვის იყო ასე
ჯიუტი და ურჩი.
ცხელა... გული ღელავს,
თვალებს ველარ ვახელ....
ვწყევლი „დაჩას"... ვწყევლი
ექიმების სახელს...

ნიახური.



# მეგობრული შარჟი

ოო, ზღვაო, ზღვაო! რომ შეიძლებოდეს
შენი მკერდში ჩახუტება!..
ლევ. მეტრეველი.



ზღვა: მართალია: შენ არ ძალგიძს ჩემი ჩახუტება, მაგრამ... მე ჩაგახუტებ.

# დედა და შვილი



დედა (შვილს) ჩემი ბიჭი... ჩემი პიონერი...
შვილი: ლატომ პიონელი?
დედა: მოკლე შარვალი და ხალათი გაცვია.
შვილი: სენც პიონელი კოფილხარ, დედა! სენც ხომ ყველაფერი მოკლე გაცვია?!

# „ედემი" ფუნიკულიორზე




მოქალაქე (რომელსაც უსადილია): გამცარცვეს, ტყავი გამაძვრეს და კიდეც მომწამლეს... ეს თუ ედემია, ალარ ვხლაფორთობ ცხონებისათვის; სულერთია: ედემიც ჯოჯოხეთი ყოფილა.

# „კისრის მოტეხა"

## გურული სცენა (ნიგვზიანისათვის).

როცა მენშენიკები გეიქცენ ევროპიაში, ჩვენს თემში ეძებეს, ეძებეს კომუნისტი, მარა ხეირიანი ვერაკაცი ნახეს. მენშენიკებმა გევიბლუზეთ განზე—აწი სხვამ იტეხოს თავიო. აქეთ ვეცი, იქით ვეცი, ყველა მენშენიკი ვნახე და ვუთხარი: ჩემო ბიძია, შენ ეზოში რომ რამე გქირია, იმიზა ნურაკაცს დააბოიკოტებ მეთქი... ვინ დაგიჯერა; ყველა ჯორზე იჯდა... ამფერ დროზე გევიხედე და ქე არ ამოყო თავი სერგიამ ჯერ რევკომში და მერე ალმასკომში! მაშინათვე ეთქვი, რომ ჩვენი საქმე წასულია; სერგიე იმფერი გამოსინჭისინებულია, რომ არ გაგვეყრება და თავსაც ვერ დავიხსნით, სანამდი კუდის რიკამდი არ გაგვთლის მეთქი, მარა ვინ დაგიჯერა;--რაზე მოგეთლება, შე გამხმარო ბერიკაცოო?! ახლა იცოცხლე, ყველამ შეიტყო, რომე თურმე იქინეც კი მეითლება, სადაც არ ფიქრობ.

როცა მთავრობა ყაჩაღებს ეძებდა, იგინი სერგიესას იყვენ. აძლია და აძლია თავისიანებს ქაღალდები და ძურწეს ფულები.

გაგვიწვია ტყეში... გვახევია თხემლაის ძელები—სახალხო სახლი ავაშენოთო; დავამზადეთ მასალა, ამოგვათრაქვია ტყიდან ზოგი ზურგით, ზოგი ურმით... უსტის მეტი არაფერი გვაკლიაო... და დედავ, გევიხედე და აი მასალა სერგოს თვითონ წაუღია და დიმიტრაის დატოვებულ ჯარგვალაის ადგილზე გამოუჭიმია ოდა. მასალა იოლად შეიძინა, მარა ახლა იმას არ მკითხავ, ოდის ასაშენებელი ფული სად იშოვა?!

ოდის აშენებაში სულ იოლათ გამოვიდა: ნატანებოზურგეთის რკინისგზის შავი მუშაობისათვის ყველა გაგვიწვიეს... გამწვევი სერგიეი იყო. მეც წაველი ბერიკაცმა. ჩვენ, რომ ამფერი საქმე გადაგვწყდა, სერგიამ უსტაუსტა კაცები შამეინახა და სამაგიეროთ ათ-ათი დღეი მის საოხრე სახლზე ამუშავა.

ეხლა ყველამ შეიტყო, რომე; თურმე სერგიას ფარა არ ენდობა და არც საზოგადო საქმე, რავარც კატას კუპატი.

უთმინეს, უთმინეს და მერე ვინცხამ ყველა აგი მისი სიავე სდღლიზა გაზეთში. ყველას შიუშინა:—დეილუპა დამწერიო, მარა დამწერის რა მოგახსენო და სერგიეი კი ბიძგი-ბიძგით გამოაგდეს ჯერ ალმასკომიდან და მერე ააქუცეს მანდატი:—აგი პატიოსან კაცს ეკუთნის,—შენდა შეცდომით მოუცემიანო.

ვიცოდე, ვინ გასწერა გაზეთში, კეკალ შუბლზე ვენთხვევი, მარა ვერ შევიტყვე: ზოგი ამბობს:—მუშკორიაო, ზოგი— გლეხკორიაო, ზოგი—პარტკორიაო და ზოგიც—ახკორიო. ამფერი ჯვარის კაცი ჩვენს სოფელში რომ არ არის, აგი ქე ვიცი, და ჩემი დაბნევა უნდებიან... შეიძლება, სერგიეის ჩაჩუტიც ვგონივარ ვინმეს.

არა, სასაცილო იგია, რომ მაინც არ იქნა და არ მოშორდა. რაცხა წიგნის ყდა აქვს იმას; გეიხედავ და ქი აქვს ღლიავში გამოკვეხებული.

აგი ყოლიფერი კაი, მარა საკვირველია: რეიზა დეივგიანა ამდენ ხანს ვინცხა კანტროლია?—უცდით და არ იქნა მისი მოსვლა; მარა ალბათ კიდევ ბევრი დააგვიანდეს,—სერგიეისნაირი საკანტროლო ცოტა ხომ არ იქნება ამ ცოდვილ ქოყანაზე?

„ტურა-კუდურა".



# ბინის კრიზისის მოგვარება



# ცნობათა მიღება

„მეჩისტე“-ს (ახალციხის მაზრაში). თქვენი გამოგზავნილი მასალა არ გამოგვადგა. მოგვაწოდეთ ცნობები ადგილობრივ ცხოვრებიდან და ილიუსტრაციები, როგორიც იყო თქვენს პირველს წერილში.

**ხასანას** (სამება). თუ კიდევ არიან ისეთი ბრიყვები, რომ ძველბეურად პატივს სცემენ მღვდელ-დიაკონს, ჩვენ არაფერს ვეუბნებით

**მღვდელ ეფანე ხონელიას, რომელსაც**
**დაუვარცხნია წვერია**
**და ამბობს: უნდა ვიგემო**
**ინდაურისა წვენია.**
არც ის არის საკვირველი, თუ:
**სამსონი ხალათს ისწორებს,**
**ის ძველი დიაკონია.**
**კვლავ გავსუქდებით, შევიძენთ,**
**რაც დაგვეკარგა ქონია.**

ასეთივე ხვედრი ხვდა თქვენს დანარჩენ წერილებსაც.

ტლაკვი-ლიპურტაძეს (ვანი). თქვენ გვწერთ, რომ:

**ლადიკო მუშებს უთითებს:**
**— იაგორთან წაბრძანდიო...**
**თვით იაგორ-ლადიკოსკენ:**
**— ლადიკოსკენ წაბრძანდიო.**

ჩვენ მივუთითეთ თქვენს წერილს:—**შენ გოდორში ჩაბრძანდიო.**

ეპსილონს (საჯავახო, ვაზის-უბნის სანერგე). თუ კი თქვენი გამგე, რომელიც

**სახლებს ათს ქირაობს მთებზე და ვაკეზე**
**და სუყველას იხდის ტრესტის სახელზე,—**
მაგრამ, მიუხადავად ამისა,
**სამკითხველოსათვის უარი უთხრა მუშებს**
**და მათრახით ხელში უჩვენებდა მუშტებს...**
**უარი უთხრა გაზეთს; საწყობებში ყრიან,**
**სადაც წაუკითხავს მას თაგვები ღრღნიან,—**

თქვენც აიღეთ და მასეთი გამგე სადმე შორს გადარგით.

ახალგაზრდა ციგანს (კვინცხი, ზუგდიდის მაზრა).

**ალმასკომის თავმჯდომარე**
**ზაქარია სახურია.**
**კაცი სწორედ იგი არის,**
**ქუდიც იმას ახურია.**

მაგრამ ეს თქვენი თავმჯდომარე მარტო ლექსში ყოფილა რითმისათვის მოსახმარი და სხვა კი არაფერში.

ბიჭუნას (ბახვი). მივიღეთ, მაგრამ არ დაიბეჭდება.

**ყანწის** (ლაგოდეხი). ჩვენც გეთანხმებით, რომ სკოლის გამგეს, რომელიც დათვრება და

**მაგიდას ფეხებს დაამტვრევს,**
**ტახტის ფიცარი ტყდებაო,—**
**ასეთსა სკოლის გამგესა**
**პანღური მოუხდებაო.**

ნიჩაფი (ქუთაისის მაზრა, სოფ. სიჩხეთი). კარგათაც მოქცეულა მამაო თადეოზ, თუ მამას, რომელმაც

**გამოზარდა თადეოზი და ხუცური შეასწავლა**
**რომ სიბერის ჟამსა მისთვის მიერთმია ცოტა ტაბლა.**
**მაგრამ ეხლა თადეოზი მამას უცბად გამოეყო,**
**რადგან ცოტა ტაბლა მისცეს და თვითონ მას აღარ ეყო;**
**ნაკვეთ მიწის გაყოფაზე მოუვიდათ ლაპარაკი**
**და სწორედ ამ ნიადაგზე მოხდა ცოტა ფათერაკი:**
**მღვდელი მიწის კაი ნაჭერს სულ თავისთვის იტოვებდა,**
**მოხუც მამას კი მაგივრად კლდე-ხრიოკებს უტოვებდა.**
**მაგრამ მამამ არ ინება მიწის ასე გაყოფა**
**და ამიტომ თადეოზმა თოხით თავი გაუროფა.**
**სტირის ნიკო: ახი არის... ხუცური რად შევასწავლე...**
**თოხით მკლავდა მოხუც მამას... მას ვეგონე ალბად**
**სავლე *).**

---

**გეხვეწები, ტარტაროზო, მაგიერად მიმსახურო**
**და თადეოზს ამისათვის ზურგი როზგით გავუხურო.**

დაიცადეთ, თადეოზის შვილი შეასრულებს თქვენს სურვილს.

*) სავლე მოციქულია, რომელიც ქვით ჩაჰქოლეს.

პ. სევდიანს (ახალს-ენაკი). ტრიფონ უტვინოშვილი, რომელსაც თქვენ დასცინით, თქვენი თანამეგვარე უნდა იყოს; ამას სამტკიცებს თქვენი წერილი.

„ვერმიცანის" (ქუთაისი). არ გვინდა გიცნობდეთ. ასოები მართლაც რომ ვერ ვიცანით. სიცრუეს გრძელი ფეხი აქვს.

ვერსტატს (აქ). თქვენს წერილს დავბეჭდავთ, თუ კი თქვენ თან გაჰყვებით მას ყველა ჩვენს მკითხველთან და წაკითხვის დროს შეეხვეწებით გაიცინონ თქვენს წერილზე.

ოლოლეს (ფოთი). შე კაი კაცო, დამჯდარიყავით სახლში! რა მოგაბრძანებდათ. სიმშილით ვიხოცებითო... თუ კი თქვენი მდგომარეობა მაგრეა, რაღა სიცილის თავი გაქვთ!

ბუტა-რაჭველს (აქ). ნახეთ ჩვენი პასუხი ვერსტატისადმი (თქვენს ზემოდ მეორე) და მიიღეთ ცნობათ. ზარალს აგინაზღაურებთ: რედაქციაში შეგიძლიათ მიიღოთ რვა გვერდი ქაღალდი, რომელიც თქვენ ასე უმოწყალოთ გაგიფუჭებიათ. ცნობა დასამუშავებლად გადავგზავნეთ უფსკერო გოდორში.

მეხის (ფოთი, ნახუტური). სრული უფლება აქვთ ქალებსაც; მათ შეუძლიათ დათვრენ და იჩხუბონ. განა მამაკაცებზე ნაკლებ ისახელეს თავი ერასტის ქორწილში?

იმათ შორის აქ ივლიტემ თავი ისახელა.
ყმაწვილს თავი გაუტეხა მიპარებით ნელა.
და ნუ იტყვით: ანეტასაც ჩხუბის ჰქონდა ხოში,
ჩვენს არსენას დარდიმანდათ ყბაში არტყა ქოში.
გულმსოუულმა არსენამაც ხელი სტაცა ქალსა.
ჩხუბი გაჩნდა ხელჩართული, ვერ ვასწრებდით თვალსა.
ბაბულიმ და ჩვენმა ანნამ ხელი იკრეს თმაში
და ამ ჩხუბში ჩაერიენ, ხალხს ტუფლს სცემდენ თავში.
და ბოლოს კი გაიმარჯვა ჯგუფმა ჩვენი სიძის.
(ან რა გიჭირს, თუ იმედი გაქვს ძმისა და ბიძის),
ულოცავდენ გამარჯვებას: გამარჯვება, „ზრასტი",
აწ ლეკური დაუაროთ, ჯან სიძევ ერასტი...

მხურვალე მონაწილეობა მიუღიათ ქალებს და რაღას ერჩით! ვერ დავბეჭდავთ.

ზღუდრისუბნელს. კარგად გცოდნიათ, რომ:

რუსთაველი დიდია
სიგრძით, სიგანითა...

და სწორედ ჩვენი გოდორიც მაგის მსგავსია. თუ არ მოგვეშველეთ, რითი ავამსოთ!?

ჯოჯოხეთს (სორმონი). ტყვილად გგონიათ, რომ ტარტაროზს მღვდლები უყვარს ჩასახრამუნებელად. ლამპალ ლეშს ზაფხულობით საზიზღარი, მიუკარებელი სუნი აქვს.

ბ. ჭანტურიას (სუფსა). ვადასტურებთ, რომ ჟურნალ „ტარტაროზი"-ს № 57-ში ოლოლეს ფსევდონიმით მოთავსებული ცნობა არ გეკუთვნის თქვენ და ავტორი სხვა არის. ჩვენც ვუკრძალავთ მას სხვისი ფსევდონიმის მითვისებას.

ფიჩხის-ჯვარელს. არ დაიბეჭდება.

მჯილს. გაუგებარია წერილის შინაარსი. სად ხდება ეს ამბავი? არ დაიბეჭდება.

გურულს (ჭვენო-ბანი). კარგადაც მოქცეულა. ყველა რომ „კომსომოლისტკა"-სავით მოიქცეოდეს, მაშინ მარჩიელი ტყავს არ გააძრობდა სოფელს.

**შეცდომის გასწორება:** ჟურ. „ტარტაროზი"-ს წინა ნომერში (58) მოთავსებულია ეს სურათი წარწერით: „ზუგდიდი-ქუთაისის დილიჟანი. უნდა იყოს.

# ხონი—ქუთაისის დილიჟანი



შეცდომა გაკეთებულია კორექტორის დაუდევრობით, თუმცაღა იგი ამტკიცებს, რომ შეცდომა განგებ გაუშვა, რადგან ზოგიერთი შეცდომა (და ამ შემთხვევაში ესეც) სახუმაროა და ამიტომაც მისაღებია.

აგვისტოში ყველამ გამოიწერეთ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# გაზეთი მუშა

# და

# ჟურ. ტარტაროზი

## თვეში ღირს თოთხმეტი შაური.

ტარტაროზი

აგვისტოში გამოვა -ს. ხუთი ნომერი,

აგვისტო 1926 წელი

| კვირ. | ორშ. | სამშ. | ოთხშ. | ხუთშ. | პარ. | შაბ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 |
| 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 |
| 29 | 30 | 31 | | | | |

ასეთი მოვლენა იშვიათად ხდება. ისარგებლეთ შემთხვევით.

## გაზეთზე ხელისმოწერა კიდევ მიიღება

პროვინციებმა და დაბებმა მიმართეთ ადგილობრივ ჩვენს განყოფილებებს და რწმუნებულებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრ. კომიტ. სტამბა, კამოს ქ. 6 8.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი ორი შაური

# ტარტაროზი

№ 60 | კვირა, 8 აგვისტო, 1926 წ. | № 60

## ყოველმხრივ მომჭირნეობა

„...გაუკეთებია, თუ არ გაუკეთებია რამე მომჭირნეობის გასატარებლად, მომხსენებელი იმდენს ლაპარაკობს თავისი მუშაობის დასახასიათებლად, რომ აუტანელი ხდება მისი მოხსენების მოსმენა".



ეს ვაჟბატონი ტყვილა-უბრალოდ ხარჯავს მოხსენების დროს აუარებელ სიტყვებს... და ამიტომაც ტარტაროზმა მას ენაზე ბოქლომი დაადვა.

# „მ ო ტ ი ვ ი“

პარასკევს



დღეს მე ღვინოს იმიტომ ვსვამ, რომ ძალიან ცუდს ხასიათზე ვარ... გაზეთში ჩამწერეს და ლოთი მიწოდეს... ღვინო ბლომად უნდა დავლიო, რომ დარდები გავიქარვო.

შაბათს



დღეს მე ღვინოს იმიტომ ვსვამ, რომ ძალიან კარგს ხასიათზე ვარ... დღეს მე ჯამაგირი მივიღე, ცოლშვილი სოფელში სიმამრთან გავისტუმრე და მარტოდ დავრჩი... მარტო ყოფნა მომწყინდა და აქ ჩამოვედი, რომ ღვინო გადავკრა და ვიმხიარულო.

# ექსკურსანტის დღიურიდან

ეს ნაწყვეტები შემთხვევით სადგ. ავჭალაში ვიპოვეთ ერთ-ერთ საბარგო ვაგონზე. დაწერილია ისინი უბრალო ბლოკ-ნოტის ფურცლებზე. როგორც მკითხველი მიხვდება, ზოგიერთი ფურცელი დაკარგულია. ალაგ-ალაგ დაწერილის გარჩევა შეუძლებელი იყო. ასეთი ადგილები იძულებული ვიყავით ან მთლად გამოგვეტოვებინა, ანდა შეძლებისდაგვარად აღგვედგინა ისინი. თუ რამ აიძულა ავტორი ეს ფურცლები ბლოკ-ნოტიდან ამოეხია, ამის გამორკვევა ნაწყვეტებიდან შეუძლებელი ხდება. მოგვყავს ეს დღიური:

---

პარასკევი, საღ. 10 ს. კიტრს ვთლიდი, როდესაც კარებზე დააკაკუნეს. მე ვიცოდი, რა ვაჟბატონებიც მეწვეოდენ და გათლილ კიტრს გაზეთი გადავაფარე. შემდეგ ტუჩები მოვიწმინდე, რომ ცოდვაში არავინ შემეყვანა და კარები გავაღე. შემოვიდენ: თინა, მარუსია, ვალიკო და სილოვანი. კამპანია უკეთესი არ იქნება. მცხეთაში რომ ვაშლი იდოს, ტფილისში ეცემათ სუნი. არც კი მიმიპატიჟნია, ისე დაიკავეს სკამები. მე ტახტზე ჩამოვჯექი. ვალიკომ დაანება პაპიროსს თავი და ჰაერს დაუწყო სუნვა. მე ოფლმა დამასხა და, რომ სხვა მხარისკენ მიმემართა სტუმრების ყურადღება, ვსთქვი:

— ასეთ სიცხეში კარგი იქნებოდა ექსკურსიის მოწყობა სადმე ქალაქ-გარედ.—ყველანი დამთანხმდენ.

(ლაპარაკში დიპლომატიურად ჩავურთე, რომ მეზობლები დღე და ღამე კიტრს სჭამენ და მთელი სართული კიტრის სუნითაა აშყრალებული-თქო).

გადავსწყვიტეთ კვირას მცხეთაში გავგზავრებულიყავით. მე კიტრი უკვე გადარჩენილი მეგონა, როდესაც თინამ წყალი მთხოვა. დარწმუნებული ვარ, ვალიკოს დარიგებით. ვალიკომ კარგად იცის, რომ მე წყალი სახლში არასოდეს არა მაქვს და, როცა მომწყურდება ხოლმე, ონკანისაკენ გავრბივარ ეზოში ჭიქით).

გზა არ იყო,—წყალი უნდა მომეტანა.

როდესაც დავბრუნდი, არაფერი შემინიშნავს. მხოლოდ ვალიკო რაღაც უხეიროდ სწევდა პაპიროსს.

ყველა საორგანიზაციო საკითხები გადავდევით მეორე დღისათვის. ამის შემდეგ სტუმრები აიშალნენ და მხიარულად გამომემშვიდობენ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ კიტრი გაზეთის ქვეშ აღარ იყო.

შაბათი, დღის 5 ს. საორგანიზაციო საკითხების გარჩევის დროს მარუსიამ ქათინაურით გადაკრა, რომ შეუძლებელია სამი ვაჟის და ორი ქალიშვილის გამგზავრება. ცხადია: ქვა ჩემს ბოსტანში იყო გადმოსროლილი.

# მოსტყუვდა



მოქალაქე (რომლის ოთახში შესულა ქურდი): ვინა-ხარ, მანდ?... (ძილს თავს ვერ ართმევს).
ქურდი: მე ვარ, მე... ნუ გეშინია...
მოქალაქე: ჰოო! მე სხვა მეგონე... (განაგრძობს ძილს).

---

მე შაურაცხყოფილად ვიგრძენი თავი და კატეგორიულად განვაცხადე, რომ, თუ ექსკურსიაში ვიღებ მონაწილეობას, ეს მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერულ და ფიზკულტურულ თვალსაზრისით და ყოველი სხვა მიზანი ჩემს თავმოყვარეობისათვის სათაკილო იქნება მეთქი. ამ განმარტების შემდეგ მარუსია და ვალიკო გაიბუტენ.

(რა საძაგელი პიროვნებაა ეს ვალიკო! კიტრზე ცრინტიც კი არ დაუძრავს).

შერიგების შემდეგ საკითხი გადავიდა საგზალზე.

გადავსწყვიტეთ დავკმაყოფილებულიყავით მცირეთი. საკმაო კამათის შემდეგ. შევიმუშავეთ ასეთი სია:

| | | |
|---|---|---|
| 1. | ღვინო | 7 ბ. |
| 2. | ლიმონადი | 5 ბ. |
| 3. | კონიაკი | 1 ბ. |
| 4. | ძეხვი | 5 გირვ. |
| 5. | ყველი | 4 გირვ. |
| 6. | პური | 10 გირვ. |
| 7. | მწვანილი | 1 მანეთის |
| 8. | კიტრი | 20 ცალი. |
| 9. | ქლიავი | 7 გირვ. |
| 10. | სხვადასხვა ტკბილეულობა ქალებისათვის | 6 გირვ. |
| 11. | ჭიქა წყლის | 1 |
| 12. | ჭიქა ღვინის | 5 |
| 13. | დანა | 1 |
| 14. | ფოტოგრაფიული აპარატი თავისი მოწყობილობით. | |

ავირჩიეთ სურსათის შემძენი კომისია, რომელსაც ჩავაბარეთ თანხა. კომისიაში შევიდენ კაცებიდან სილოვანი და ქალებიდან—თინა. ღამის 12 საათამდე ველოდებოდით მათ, ბოლოს, როგორც იქნა, მოვიდენ დატვირთულ მუშით. ანგარიშის გასწორების დროს სილოვანმა განაცხადა:

— გვიანი დროის გამო ყველაფერი მამასისხლად ვიყიდეო.

მისი ჩვენებით, გირვანქა პური აბაზათ ძლივს იშოვეს. ცხადია, გაფლანგვასთან გვქონდა საქმე, მაგრამ არაფერია... მცხეთაში კიდევ გავასწორებთ ანგარიშებს...

**კვირა, დილ. 6 საათი.** ბილეთის ყიდვა მე მომანდვეს. 5 საათიდან ვდგევარ რიგში. სულიერი მდგომარეობა აუწერელია. დარწმუნებული ვარ, როდესაც მე აქ გული მიმდის, იქ კარში გრილ ნიავზე ჩემი ამხანაგები სურსათს ანახევრებენ. ყოველ შემთხვევაში, ხილი არ დარჩებათ ხელუხლები.

— ღმერთო, შენ გაუჭირვე გაჭირვებულს!—იძახის ვიღაც უკან და ისე აწვება რიგს, რომ მე და ერთი ჩემს ზედში მყოფი პრობკასავით ვარდებით რიგიდან. როგორც იქნა, ავიღეთ ბილეთები... მეორე ზარი დაკრული იყო, როდესაც ვაგონში შევცვივდით და მატარებელიც დაიძრა.

**8 ს. 15 წ.** მიქრის ჩვენი მატარებელი. როგორც ფეხმოტეხილი რაში, და ბრუნავენ მინდვრები. მე ოცნებით ვაცქერდები ტელეგრაფის ბოძებს... ამაოდ... აქ რომ იმერეთი იყოს, ყოველ ხუთ ბოძზე ერთი ერქანის კუდი მაინც ეკიდებოდა. მიჰქრიან ავჭალის გადამხმარი ველები. რომელმა მადლიანმა ხელმა გადაგბუგათ ასე, მინდვრებო!

თინა უყრის სილოვანს მკლავში ხელს და ვაგონის ბოლოსკენ მიათრევს. ვალიკო და მარუსია მტრედებივით

ქლურტულობენ ფანჯარასთან. ყველგან წყვილები, მხოლოდ მე ვარ კენტად...

ვუახლოვდები ზაჰესს და მე მგონია, რომ ეს ზაჰესი კი არა,—ზაგსია...

**10 საათი.** უკვე მცხეთაში ვართ. ჩამოვხტით თუ არა, ვალიკო სადღაც დაიკარგა. თვალი მოვკარი, თითქოს სადგურის ბოლოსაკენ მიდიოდა. არიქა, ჯვარის მონასტრის მადლო, შენ წაამწარე მას ყველა ცოდვები... გახეთქე მუც...

(შემდეგ გაუგებარია. ტექსტის აღდგენა ვერ შევძელით. როგორც სჩანს, რამდენიმე ფურცელი დაკარგული უნდა იყოს).

...ქალებზე ზრუნვამ სული ამოგვართო. ჩხირის გადახტომაზედაც მიხმარება უნდათ. მე უფრო თინას ვეხმარები. ასეთ დროს სილოვანი ოტელოს ცქერით მიცქერის ხოლმე, მაგრამ მე ეს არ მაშინებს. ანგარიშების სრული გასწორება ჯერ კიდევ წინ არის.

როგორც იქნა, ავედით მთაზე. დავიღლიტეთ ხელები, დავგლიჯეთ ტანთსაცმელი და ფეხსაცმელები, მაგრამ მთაზე მაინც ავედით. ჩვენ ამაყათ ვიცქირებით გარშემო.

მთამომავლობაში სახელის დასარჩენათ გადავიღეთ სურათი. გადავიღე მე და, მაშასადამე, იმ სურათში მე არ მოვხვედრივარ.

საერთოდ, ფოტოგრაფობას ფოტოგრაფ მეგობრის ყოლა სჯობია ათასწილად...

**დღის 1 საათი.** მეორეთ ვისაუზმეთ. შემდეგ ბალახზე გავიშალეთ. მარუსიამ სთქვა, რომ ხალხურ გადმოცემით, აქ სადღაც წყარო უნდა იყოსო. ვალიკომაც დასტური დასცა. წავიდენ წყაროს საძებრად. ვალიკო და მარუსია ერთ მხარეს, თინა და სილოვანი—მეორე მხარეს. ორივე მხარე ტყიანია. მე დარწმუნებული ვარ, რომ მათ ეს წყარო აღმოაჩინეს, თუმცა დაბრუნებისას ურცხვად განაცხადეს, რომ წყარო ვერ იპოვეს.

**5 საათი.** ეს მესამე მთაა, რომ ავდივართ. ქალები გაფიცვით იმუქრებიან. ფეხსაცმელებს უკვე დიდი ხანია გავარდათ ძირი. დასვენებაც ასეთი უნდა. თინა ამბობს, რომ ასეთ დასვენების შემდეგ ერთი კვირის დასვენებაა კიდევ საჭირო სახლშიო. რას იზამთ, ქალი მუდამ კონსერვატორია მთაშიცა და ბარშიც.

სურსათს, როგორც იქნა, მოვუღეთ ბოლო, სამაგიეროდ ღვინომ და კონიაკმაც მოგვიღო ბოლო. ვალიკო საქვეყნოდ აცხადებს, რომ იგი ეხლა სავსებით რწმუნდება დედამიწის ბრუნვაში. სილოვანი ცოტა სხვანაირად უდგება საკითხს. თუ მიწა ბრუნავს,—ამბობს სილოვანი,—უთუოდ ადამიანის გარშემო ბრუნავსო. მაგალითისათვის მოჰყავს ის ფაქტი, რომ ღვინიანი ბოთლი წელან მარჯვნივ ედგა, ეხლა კი მარცხნით უდგას. ცხადია, მიწა შემობრუნებულა.

რამდენად სწორია ეს მტკიცება, მე არ ვიცი, მხოლოდ მეცნიერულად, ეკონომიურად და ფიზკულტურულად ამ ექსკურსიამ ბევრი რამ შეგვძინა ჩვენ.

**საღ. 7 საათი.** რამდენად უფრო ვეშვებით ქვევით, იმდენად უფრო მაღლა იწევს ჩვენი აქციები. მთელი მცხეთა უკან მოგვდევს. არ დარჩენილა არც ერთი კატა, რომელსაც არ გამოეცხადებიოს სურვილი სურათის გადაღების. ჩვენც როლში შევდივართ და ვიღებთ და ვიღებთ (ზედმეტ ხარჯების თავიდან ასაცილებლად უფიროფიტოდ და უქაღალდოთ).

ვალიკოს უკვე კინორეჟისორად მოაქვს თავი, მხოლოდ თინას და მარუსიას—კინო-„ვარსკვლავებად"...

სილოვანი ჯავრობს, რადგან მხოლოდ „პომრეჟისორობა" ხვდა წილად...

**საღ. 10 საათი.** ყველა მატარებელმა გაგვასწრო. არ ვიცი, რატომ... ისეთ გუნებაზე ვარ, თითქოს ვიღაცას ვცემე, ან მცემეს... მგონი, ეს ვიღაცა ვალიკო იყო, შეიძლება სილოვანიც... შეიძლება ორივე... რას მიხვდები ამ არეულობაში...

**ღამის 12 საათი.** ცხადია, საბარგო მატარებელს უნდა გავყვეთ ყურდღლებად... მე ეს ძლიერ მომწონს. თუმცა ქალების წუწუნს არ აქვს „სტანცია". რა არის ის ექსკურსია, რომელსაც თან არ ახლავს რაიმე თავგადასავალი. ვაგონებში ვიმალებით... რუბიკონი გადასულია... მივდივართ... ლაპარაკი არ უნდა, ქალების თეთრი ტანთსაცმელი დაგვღუპავს...

**1 საათი.** ავჭალაში ჩავედით... ჩვენსკენ ვიღაც მოდის ფანრით... ოხ... ეს ქალები... თუ გ... (გამოურკვეველია). თითოზე 4 მან. 40 კაპ. ჯარიმა...

კარგი თანხაა, თქვენ ნუ მომიკვდებით... კაპეიკი ფული არ გაგვაჩნია... ეჰ... თვალი დაუდგეს ნაკლებულობას... მივყევართ... ქალებმა დაგვღუპეს, ქალებმა უნდა გვიხსნან... ვალიკო და სილოვანი გაპარვას აპირებენ და ქალების ჩემზე მიტოვებას... მაგრამ მე ისინი მაგრად მიჭირავს ხელებში... ვნახოთ, რა იქნება... მეტი წერა შეუძლებელია...

მშვიდობით... ძალიან საწყენი კი იქნება. თუ ეს ჩვენი მეცნიერული ექსკურსია ასე ურიგოდ დამთავრდა...

(შემდეგ კიდევ რამდენიმე სტრიქონია, რომლის ამოკითხვა შეუძლებელი გახდა).

**სინემატო.**

# გააცურეს

სოფელ ცივწყაროს შეფმა მშვენიერი ქოხ-სამკითხველო მოუწყო. ორი ურემი ჭრიალით ძლივს მიგორდა თემალმასკომის ეზოში წიგნებით, ავეჯეულით და სხვა მოწყობილობით დატვირთული.

მას აქეთ შეყვა აღარ... მოგონებია სოფელი ცივწყარო. მიუხედავად ამისა, საქმე თანდათან წინ მიდიოდა და სამკითხველო აუარებელ გლეხახალგაზრდობას იზიდავდა... განსაკუთრებით საღამოობით ჭიანჭველასავით ირეოდა ხალხი—სამკითხველოს შენობაში, შინა და გარეთ...

ერთ დღეს, როდესაც ცა ბრაზისაგან სკდებოდა და კოკისპირული წვიმა დედამიწის წალებას ლამობდა, ცივწყაროს თემალმასკომის თავჯდომარემ ამხანაგმა კოლოტაძემ ცალთვალ გამომძვრალ ეტლიდან წიწილივით ამოზუზული, თავით-ფეხამდი სველი შეფი ჩამოიყვანა, რომელსაც უარესად უძნელებდნენ სიარულსა „დაცხრილული ქოლგა, წყლით სავსე კალოშები და გაგუდული გამხმარი „ბრეზენტის" „პლაშჩი"...

ამ მოწყობილობაში—პატივცემული შეფი გუნება წამხდარი, ნაპეპლ ინდაურს ჰგავდა.

—თინა, თინა... უსათუოდ ჩქარა ჩამოდი სამკითხველოში...

—ეხლავე... ეხლავე...

მოესმა შეფს, როდესაც ეტლიდან თავი აღმასკომის დერეფანს შეაფარა...

—საკვირველია: ამ საშინელს წვიმასაც კი არ შეუძლიან ხელი შეუშალოს ხალხს,—რომელიც წიგნისა და სინათლისაკენ მიისწრაფის... მიმართა ნასიამოვნებმა შეფმა კოლოტაძეს, რომელმაც ამაყად ამართა თავი...

—თქვენი ამაგი განუზომელია, პატივცემულო ამხანაგო... ხალხი პირდაპირ იძირება განათლების მორევში... სამკითხველო გათენებამდის ღიაა და განუწყვეტელი მეცადინეობაა შიგ გახურებული...

წვიმა ისევ უშხაპუნებდა...აქუხდა და დედამიწა ქანაობდა... შეფმაც ვეღარ აიტანა ლოდინი და ამხ. კოლო-



## შეფის მოსვლამდე

ტაძეს სთხოვა სამკითხველოში გაჰყოლოდა... მანაც, რასაკვირველია, უარი არ უთხრა—და წინ გაუძღვა.

როდესაც შეფი სამკითხველოს მაღალ კიბეზე ავიდა, მისი ყურადღება გაავებულ ბუნების სანახაობამ მიიზიდა და გარედ დაიწყო ცქერა; კოლოტაძემ კი შეალო სამკითხველო და რა დაინახა:

— საამაყოა, საამაყო, ყმაწვილებო, თქვენი მუშაობა...—დაიწყო აღფრთოვანებულმა შეფმა,—სწრაფი ნაბიჯით მიდიხართ წინ და თუ ასე განაგრძეთ, ჩვენს მიზნებს რაღა გადაელობება, რა დააბრკოლებს?.. ეხლა კი დავრწმუნდი, რომ ჩვენი ახალგაზრდობა გაამართლებს მასზე დამყარებულ იმედებს... ამხ.კოლოტაძე,—მიუბ-



## შეფის მოსვლის დროს

სამკითხველოს კუთხეში მოზრდილი ჯგუფი ახალგაზრდობისა „აჩკოს“ თამაშობდა; ისმოდა „კარტის“ ტკაცუნი და ხურდა ფულის ჩხრიალი... მეორე კუთხის ფანჯარაში ერთ ახალგაზდა ვაჟს თვალ ეუეუნა გოგონა ჩაესვა კალთაში, ჩაებღუჯა და კოცნიდა, ვიღაცა „ჩიმ ჩაირას“ ღიღინებდა, სამკითხველოს გამგე კი გიტარას „თავო ჩემო ბედი არ გიწერია“ დამღეროდა...

ამხ. კოლოტაძეს, თავში—სამკითხველო, წიგნები, გიტარა, კარტი, კოცნა და „ჩიმჩაირა“ ერთმანეთში აერია, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ენა დაება და თვალები გადმოსაცვივნად მოემზადა... ის კი იყო შეჰყვირა:—თქვე მამაძაღ.... მაგრამ მაშინვე შეჩერდა, რადგან ძვირფასმა სტუმარმა სამკითხველოში შემოსდგა ცალი ფეხი.

ამ დროს ახალგაზდობა უკვე წამოშლილი იყო, ზოგი წიგნს ეცა, ზოგი გაზეთს, ზოგმა შკაფში შეყო თავი... ფანჯარაში მჯდომი “პაროჩკაც“ გამოერკვა და საალერსო სიტყვებიდან—„სოციალიზმზე“ და „პოლიტიკაზე“ გადავიდა... ერთი სიტყვით ყველაფერი რიგზე იყო...

რუნდა თავმჯდომარეს,—აი ეს ათასი მანეთი სამკითხველოსათვის... და შემდეგშიც არ დავიზარებთ თქვენზე ზრუნვას...

კოლოტაძე-კი... ქანაობდა... ხან წითელი და ხან ყვაგაცივდებით, ავად გახდებით... წამობრძანდით... ეხლა აიტანა, მიუბრუნდა,—

— ძვირფასო სტუმარო... ერთიანად სველი ხართ, გასცივდებით, ავად გახდებით... წამობრძანდით... ეხლა დაისვენეთ და ხვალ დილიდან შეუდგეთ საქმის კეთებას...

შეფი დათანხმდა, ცოტა არ იყოს მუცელთანაც პირშავად იყო და მეორე დღემდე გამოეთხოვა მუყაითს და მოცადინე ახალგაზრდობას...

როდესაც დაღამდა, და შეფი კოლოტაძის სახლში გემრიელად ვარიის კურტუმს შეექცეოდა, სამკითხველოს ფანჯარაე ორი ლანდი ქანაობდა და ისევ მხიარული „ჩიმ ჩაირა“ ისმოდა...

**ნიახური**

# „ყოჩალი ბერიკაცი"

## ნამდვილი ამბავი

ალმასხან ოთხმოცი წლის მოხუცია, მაგრამ ბევრ ახალგაზრდას სჯობია სიყოჩაღეში. მეტსახელად სოფელი „ყოჩალ ბერიკაცს" უწოდებს მას. ხუმარაა. ყოველივე ამბავს ხუმრობით ამბობს. ალბად ამიტომაც უყვარს იგი სოფელს. ალბად ამიტომაც იყო რომ სოფელმა იგი დელეგატად აირჩია ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

—

— ხალხნო! სად მაგზავნით ამ ოთხმოცი წლის ბერიკაცს?!

— ტფილისში გაგზავნით დელეგატად...

— ჰოო, მე მგონია, რომ საიქიოს მაგზავნიდით და უარი მინდოდა მეთქვა, რადგან ჯერ არ მცალია: ყანა მაქვს ასაღები... რაკი ასეა, თანახმა ვარ; რა გაეწყობა!—

—

მესამე დღეს ალმასხან ტფილისში იყო.

დაათვალიერა გამოფენა. ქალაქშიც გაიარ-გამოიარა. ინახულა ბევრი ადგილები. ჰაეროდრომიც კი არ დაუტოვებია უნახავი... და როცა რამდენიმე დღის შემდეგ სოფელში დაბრუნდა, მეზობლებს „მოხსენება" გაუკეთა:

— ხალხო, მადლობელი კი ვარ, რომ პატივი მეცით და გამგზავნეთ, მარა საყვედურიც უნდა გითხრა:

ბერიკაცმა ახლა დავინახე, თუ რა ყოფილა ცხოვრება... აწი სიკვდილი აღარ მინდა. თქვენ დალოცვილებო, ამდენხანს გექხათ აი სიკეთე სანამ ჯერ კიდევ არ ვიყავ ასე მოხუცი... ქვეყანა თუ ასე მშვენიერი იყო რომ ცოდნოდა, ჯერ კი არ მოვხუცდებოდი... ანდა სად იყო ახლანდელი ჩვენი მთავრობა, რომ ამდენხანს არ გარეკა მუქთახორები? მოსულიყო ეს დალოცვილი ორმოცი წლით უფრო ადრე?!

— საყვედურს დაეთხოვე, ალმასხან, და იგი გვითხარი, თუ რა ნახე ტფილისში?..

— ჩემს თვალებს რომ ჩვენი ალმასკომის თავმჯდომარის ენა ჰქონდეს, მაშინ ყველაფერს კიაჭბობდი, მარა ეს ასე არ არის... რა ვნახე და, რა არ ვნახე, კაცო?! პირდაპირ ცოდვას ჩავდივართ, რომ მშიერს და გამხმარ ხარებს ყანას ვათესვინებთ. რაღაც „ტრახტორი" ყოფილა, რომ დაადგა მინდორს, ისე დაღრღნა, რომ ისიდორეს მსუნაგი ღორი ვერ შეედრება მას... არც ხარები უბია შიგ, არც ცხენები, ზიხარ ზედ და არხეინათ დასეირნობ მინდორში...

— კიდევ რა მოგეწონა, ალმასხან?

— მარა „ტრახტორზე" უკეთესია ფულის მჭრელი **მაშინა.** სდგას რაღაც ყანთარსავით და ორ შაურს რომ ჩააგდებ გამოჭრილში, მაშინვე ვერცხლის აბაზიანს გამოგიგდებს... თუ შეგიძლია კაცს, იგი უნდა იყიდო,-და შენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

მარა ეს რა არის? ყველაზე უფრო მშვენიერია ჰაეროპლანები. ჰაეროპლანების „სტანცია"-ში ვიყავი. გაგორდა, ისე აფრინდა ცაში, რომ გეგონებოდათ—მიმინომ თებრონეს წიწილა წაართვა და წაიღო... დაიკარგა სადღაც ცაში, საიდანაც ყრუ ღრიალი ისმოდა.

მაშინ მე სოფელი მომაგონდა. გახსოვთ უწინ ერთხელ ჩვენს სოფლის თავზე ჰაეროპლანი გადაფრინდა, ჩვენ გაბრიელ ანგელოზი გვეგონა. ყველა ქალა-საყდარს გაიქცა სალოცავად, შესაწირავები წაიღეს. იქ იყო დიდი მუხა ირინეს, და იმ მუხაზე დაჯდებაო გაბრიელ ანგელოზი... მარა შენც არ მომიკვდე; ეშმაკმა იცის, სად გაფრინდა.

ქალებმა ორი დღედაღამე გაატარეს მუხის ძირში გაბრიელის მოლოდინში და გაბრიელ ანგელოზი რომ არ ჩამოფრინდა მუხაზე, მერმე ასე ამბობდნენ:

— გაბრიელ ანგელოზი ნაწყენია ხალხზე, რადგან ვიღაცას ცული შემოუკრავს მუხისათვის მოსაჭრელად... იმ კაცს ანგელოზმა მარჯვენა ხელი გაუხმო და ხელგამხმარი დადის ახლა.. ვერ ჩამოჯდა ანგელოზი ძირ მოჭრილ მუხაზე... შეურაცყოფილი ისევ ღმერთან წავიდა. ღმერთი გაბრაზდა ხალხზე;

— როგორ თუ არ დაიცავით გაბრიელ ანგელოზის დასაჯდომი წმინდა ხე?—

ის იყო დიდი ომი დაიწყო... შემდეგში ის მუხა მოსჭრეს და ცხემლის ხიდზე ხიდად გადვეს მდინარე ნატახებზე. ამაზე კიდევ უფრო გაბრაზდა ღმერთი; რევოლიუცია მოახდინა, ნიკოლოზი ჩამოაგდო და ქვეყანა ჟინაზე ურჯულო ბოლშევიკებს ჩაუგდო ხელში... მერმე ნატანები გადიარა და იგი ხიდი წაალებია შავ ზღვაში...



ჰო-და ასე გვრწამდა ჩვენ; ეს ზღაპარი და თქმულება ყველამ კარგად იცით, მარა ყველაფერი ეს სიცრუე და სისულელეა... გაბრიელ ანგელოზი კი არა, ჰაეროპლანი იყო და, აბა, როგორ ჩამოჯდებოდა ჰაეროპლანი ხეზე?!

ქალაქში ყოფნის დროს, რაღაც „ავიოქიმია" არისო, ჰაეროპლანი,იმის სასარგებლოდ ფულებს ჰკრეფდენ. მე ისე მომეწონა იგი რაღაც ჰაეროპლანია, რომ უკნასკნელი ერთი მანეთი მქონდა და ისიც მას შევსწირე.

ყველამ უნდა შევეწიოთ მთავრობას, რომ ბევრი ჰაეროპლანები გააკეთოს.

— შე დალოცვილო, ჰაეროპლანი ჩვენ რაში გამოგვადგება?!

— როგორ თუ რაში გამოგვადგება? თუ კი ბევრი ჰაეროპლანი იქნება, მაშინ, როცა მოკვდები, საიქიოში ჰაეროპლანით წაგიღებენ და გზაში ღმერთთან მისვლამდი ბევრი არ დაგაგვიანდება.

ყველას სიცილი წასკვდა... და მხიარულები თავთავიანთ სახლებში წავიდენ.

„ვიზინტი"

# „მოდნა“

ვა, ეს რა საზანივით ყირამალა გადატრიალდა ცხოვრება, ქრისტიანებო! ლამის არი, ტვინის რემატიზმა გამიჩნდეს რაღა ამდენი ფიქრითა. ახარ, ჩოთქში აღარ გამოდის და! ანგარიში აირია, დროება გაფალშივდა და ხალხიც პირუკულმა წავიდა რაღა!.. ეს ქვეყანა ბაბილონსკი ბაშნია გახდა, ერთმანეთისა აღარავის არაფერი ესმის, კაცი კაცს აღარა ჰგავ და დედაკაცი დედაკცსა! პურმარილი და ნათელმირონობა ხომ ერთ კონა ისპანახის ფასათ აღარა ღირს! მოდი ახლა შენ და იცხოვრე!

ყველაფერს კიდევ ჯანი გავარდეს, ეს მოდნა მაინც ხომ შამეელოთ გიჟური და! საითაც გაიხედავ, ყველა გაშიშვლებულა და ქუჩაში ტიტლიკანები დარბიან, თითქოს მთელი ქალაქი მირზოევის აბანო იყოს! ჯერ პატარა გოგო-ბჭები დააშიშვლეს—ესაო პიონერცკი დვიჟენიააო, მერე ჯეჰელი ბიჭები დაშიშვლდნენ—ეს სპარტაკიაო,—მერე პუჰუზ! ქალებიც არ ააცუნცრუკეს! ამ დედაკაცებს ხომა ეხლა ცოტა რამე უნდათ: დაინახეს, მორჩა! ვისაც კი რამე ეცვა, ყველაფერი თითქმის გაიხადა რაღა. ვა, ქრისტიანო, მე მოდნა გამიგონია, როცა ყველაფერს იმალავდნენ, როცა ქალები ტყავიდანა ძვრებოდნენ, რომა თავისი კაბა დაენახვებინათ ხალხისათვისა, ეხლა კი ტანისამოსიდანა ძვრებიან, რომა ხალხს—თავისი ტყავი დაანახონ! ვა, გატიტვლება რო მოდნა იყოს, მაშ ადამ და ევა პირველი მოდნი ხალხი ყოფილა, რაღა!.. არა, ეს მიწაგასახეთქი ჩემი ფეფელოც რო მოდნას აჰყვა და! კვირა არ გავა, რომ თითო ტრებოვანია არ მიყოს და ყალ-მაყალი არ გამიმართოს. თუო ბრუტიანი ყასაბ-ღალუაც კი ხალხში რევს თავის ცოლსა და შენ კი ძველ ფანცი-ფუნცებში მატარეფო! ვებნები: დედაკაცო, მოდნა რომელია, ერთი ამ ჩვენ დახლში ჩაიხედე და თაგვების აკადემიათ გადაქცეულა მეთქი. ის მაინც თავისას გაიძახის:—გეოჯან, ეს პასლედნი კრიკია და ჩემი ჰამქრის ქალებში ნუ გამამარჩევ, შენი სახელიც იქნებაო. ავანაანთას ერთმა ურიამ კანტრაბანტი რამეები მაიტანა და ერთი კრიპდინცკის კაბა მიყიდეო. უარზე ვიყავ ჰამა, ბოლოს ისე მამთაღლა, რო გაუღე დახლი და მივეცი.

ამ სიცხეებში აიტეხა თუ, ფუნიკულიორზე წავიდეთ და ერთი კაი მაროჟნი ვჭამოთ, მთელი ქალაქი იქ დადისო! ვებნები: დედაკაცო, ესეც ხო მოდნა არ არი, მაროჟნი თუ გინდა, ყოველდღე გრიშკა მალაკანს აქეთ არ დააქვს თავისი ნასილკით მაროჟნი?—იყიდე და ჭამე რაღა, პორცია რვა კაპიკი ღირს მეთქი!

შენ შენი მეშჩანცკი პასტუპკები არ მაიშალეო! ჰამა იმისთვის მინდა, რომ განათლებულმა ხალხმა დაინახოს და ჩვენც მარაქაში გავერიოთო. გავბრიყვდი და გავყე რაღა კვირა საღამოსა. წასვლის წინ სპალნაში შავიდა და მებნება თუ: დამიცადე, ჩავიცვამო. სამი საათი მაცდევინა და ბოლოს ძლივს ელირსა გამოსვლა!

შავხედე, თითქმის დედიშობილაა, გეგონება—საჭიდაოთ გამზადებული კულა გრდანელიაო: ერთი რაღაცა პოლორწიკა კაბა შაუკერია—მუცელსა და ბეჭებს ძლივს უფარამს რაღა!—აბა ეხლა კი წავიდეთო! ვებნები, ადამიანო, წახვიდე რომელია, სპალნაში ჩასაცმელათ შახვედი შენ გაგიხდია და ისე მოდიხარ, საბანაოთ ხო არ ემზადები მეთქი! თურ „კრიკ-მოდნა“ ეს არიო! ვა, ჯიგარი დააღნეს მაგ თქვენ მოდნის მამგონსა მეთქი, რომ ამ სიბერის დროს დარბაისელ ადამიანებს ტიტლიკანას გატარებთ!

წავედით. კარგი ლაზათიანი მაროჟნი ვჭამეთ, მერე პალიანკაზე კრუგი დავარტყით და მწვანეზე დავსხედით. ახლათ ბინდდებოდა რაღა, ლისტრიჩესკი ასვესჩენია ერთბაშათ გაანათეს და მთელი ქალაქი ისე ალაპლაპდა, გეგონება ფეთხაინში ჰაღები აუნთიათო. კარგი სანახავი იყო და ჩვენც ეშხი მოგვივიდა! ფეფელო მებნება:—გეოჯან, აფსუსი არ არი, ამისთანა პრიროდას ვაცდენთ და სახლში ვსხედვართ ხოლმეო. ის არა სჯობია, ასე ხალხში გავერიოთ, ჩვენი ქეა გავახაროთ. დავეშუროთ, ვინ იცის, დღესა ვართ, ხვალ ფეხები ვფშიკოთო.



ვააჰხ!!!

ჩვენს გარშემო პალიანკა აივსო ხალხითა, ქალები და ჯეჰელი ვაჟები სულ წყვილ-წყვილათ ეყარნენ ჰეროხებივითა! თვალს არ დაენახვებოდა რაღა, ენით არ ითქმის, რაც იქ სანახავი ვნახე, ჰამა რას იზამ, მოდნაა! იტყვი— ისევ შენ გამოხვალ მტყუანი და უცოდინარი.

უცბათ ვილაცამ ყვირილი დაიწყო თუ: ჰარიქა, ღამურა დაფრინავს და ტანისამოსში არავის შაგიძვრეთო! ქალებმა დაიწყეს წიოკობა, ჰამა კავალრები ზედ ისე ეფარებოდნენ, რომ იმათ ღამურა კი არა, რწყილის შასაძრომიც კი არსადა ჰქონდათ!

მე იმათ უყურეფ და ჩემთვის უდიელენიასა ვშვრები რაღა! ვამოფ:—ვა, თქვე ბემურაზებო, თუ ღამურის შაძრომა არ გინდათ, ეგრე რას გაშიშვლებულხართ მეთქი! ამ ფეფელოს კი ელეთ-მელეთი მოსდის და ბუზის გაფრენაც კი გულს უხეთქამს. ერთიც ვნახოთ, პირდაპირ ნესჩასტია არ მოხდა: უცბათ ამ ფეფელომ ისე დაიკივლა, გეგონება საახალწლო ღორსა ჰკლამენო!

— გეოჯან, მიშველე, მეც შამიძვრა, ღამურა მეც შამიძვრაო! და თან ტანისამოსს იგლეჯდა. ერთი ორი დაკივლების შემდეგ გული წაუვიდა და გაფიჩხდა რაღა! გული გამისქდა, ვყვირი: მიშველეთ, ნესჩასტია ხდება მეთქი! ხალხი შამოგვეხვია და ზოგი შუბლს უსრესამს, ზოგი ტანისამოსსა ხდის! ვა, სირცხვილით ცალკე ვიწვი და თან ბრაზი მახრჩობს. ვყვირი:—ტრახტინჩიკ, ჩქარა ცივი წყალი მაიტა მეთქი! დახლიდან ბიჭი მეძახის თუ:—ზელწკი გნებამთ, თუ ნარზანიო! ვებნები: ვა, ახმახ! მაიტა რაღა, წყალი კი იყოს და გინდა ესენდუკისა იყოს მეთქი.

მაიტანეს ყინულში გაციებული წყალი და აღარც კი დამაცადეს,—ამ გაშიშვლებულ დედაკაცსა ასხამენ და ასხამენ! მაშინვე მობრუნდა და ისევ წამოჯდა. მე გარშემო უვლი და ხან ერთ კალთას ვაფარეფ, ხან მეორეს, ჰამა თითქმის მთლათ გახდილი იყო და მე რას ვეყოფოდი ამ ზორბა დედაკაცსა?

ტირილით მებნება თუ:—ჩქარა სახლში წამიყვანე, მცივაო, სულ კბილი-კბილს აცემინებდა რაღა სიცივითა!

იმ ღამეს ორმოცი გრადუზი სიცხე მისცა და სამი-ოთხი დღე ჰბოდამდა! აბა, ჩემს სიცოცხლეში დოხტურე-ბის ფირი არ ვიცი, ჰამა, როცა ძალიან გამიჭირდა, წავე-ლი და ქუჩა-ქუჩა ვათვალიერებდი ჰექიმის ვივესკებსა. მკალავებიანს ქუჩაზე ვცხოვროფ რაღა და იქვე კუთხის პა-დიეზდზე წავიკითხე: „ვეტერინარნი დოხტურ სკოტო-ბოინსკი". დაუბრახუნე კარები და გამოვიდა ერთი ხაშა-ლი რიჟა კაცი—საიქიოს მესანთლესა ჰგავდა რაღა! დოხტურრი მინდა მეთქი.

— მი სამი დოხტურ, შტო ხოჩიშ? კაკოი სკატინა ბალნოი, ლოშად ილი კაროვაო!

ვებნები:—უსტა ჰექიმჯან, სკატინა რა შუაშია, ცო-ლი გამიხდა ნეჩაიანათ ავათა და სახლში უნდა გთხოვოთ მეთქი!

— თუო ჩვენ საქონლისა ვართ, მაგ საქმეს მედიცინ-სკი დოხტური უნდაო. მედიცინსკიც ვიშოვე, მოვიყვანე ერთი ბემურაზი ჰაკარაკი ვინმე გამოდგა, რაღა სულ ისეთ რამეებს ეკითხებოდა ამ ფეფელოს, რომლის კი-თხვაც მე ლოგინშიც კი შამრცხვენია რაღა!—თუო, რისა გრცხვენიან, ეს ნაუკაა და ყველაფერი თავის სახელით უნდა სთქვაო. თავიდან-ფეხებამდე ხელითა ზილამს, თი-თებს უტყაპუნებს და ხან სად მიადებს ყურსა და ხან სად—ისუნთქეო. ბოლოს ბრაზი მამივიდა და ვებნები:

— უსტა ჰექიმჯან, ახარ ხელით რა უნდა გაიგო, ერთი ტრუბკა დაადე რაღა, ვზდისაიტი აქნევინე, ლიოხ-კების ჩიხოტკა ხომ არა აქვს მეთქი. ტრუბკითაც გაშინჯა და თქვა თუ:—პუსტოი ტრევოგაა, კუჭი აქვს მოშლილი და სასაქმებელი დაალევინეო. ეს კაფსოლებიც გადა-აყლაპე და ხვალ ფეხზე იქნებაო.

ეხლა ამ აფთრიაქხანაში რეცეპტი მიმიცია და ოჩე-რედს უცდი რაღა, როდის მამცემენ წამალსა! ღმერთმა ქნას, მორჩეს!

ეს სულ მოდნის აყოლამდა სხვების პადრაჟენიაშ მიყო რაღა! ახარ ყურუმსაღ, რაღა დროს შენი მოდნაა, საიქიოს ბაშფორთი გამზადებული გაქვს, იცხოვრე რა-ღა, როგორც ათადან-ბაბადან გიცხოვრია! მოდნის აყო-ლა რა ხეირს მოგცემს?!..

ფარსადან.

# მეტეხში

**ციხე. გამფლანგველი იყურება ფან ჯრიდან, დარაჯი წინ მიდის-მო-დის. გამფლანგველი მღერის:**

თავო ჩემო ბედი არ გიწერია,—
მე მეგონა: ფლანგვა არაფერია,—
ეხლა კი აქ ყელიც მომიღერია.
ვინ არ იცის რომ აქ ჯდომა მწარეა,
და ეს ციხე ჩემთვის შავი სამარეა.

(გამოჩნდება თმებ-გაწეწილი ქალი)

**ცოლი**

მეტეხისა ციხეო
ვაი-უით გნახეო;
ჩემი ქმარი მად არის,
კარგად შემინახეო.
ვაიმე, ქმარო, სულიკო,
ჩენში ფული სულ იყო...
აღარ მექნეს სადამდის?

**გამფლანგველი**

ვაიმე, ცოლო, ათ წლამდის!..

**ცოლი**

ო, წყეულო ჩეკაო,—
შენ ვინ გამოგჩეკაო?!
რად წამართვი ქმარიო,—
ეხლა აქ რომ არიო!..
ვაიმე, ქმარო, გენაცვა,—
ვით შევძლო შენი დაცვა...
მეტეხისა ციხეო,
ქმარს რად მიე სიცხეო.

**გამფლანგველი**

ო, ეს დღეც ხომ ვნახეო,
ვინ დამიგო მახეო!..

**დარაჯი**

ხალხის ფულს რომ ფლანგავდი,
იყავ მოქალაქეო,
ავტომობილში ჯდომით
თავი ბევრჯერ აქეო...
გიყვარდა ქეიფობა,—
კაზინოში ჯდომაო:

თეეში
არ გიყ

ქმარო
უშენო

ეცადე

# ერთა ლი

„ერთა ლიგამ გამოჰყო კომისია,
თა ლიგის იდეების გასატარებლად"



# ...ის სკოლა

...რომაც უნდა შეიმუშაოს გეგმა და მეთოდები სკოლებში ერ-
(დეპეშებიდან).



...ეშში ...ოლს იცვლიდი,
... გიყ... შრომაო...
ცოლი
...მარო ...რალა ვქნა,
...შენო ...ო?
...მფლანგველი
...ეცადე... ...რაჯი.
მოქ... ...ოგორმეო...

დარაჯი
მეტეხო—მტერთა მხევარო,—
შენს დაცვად აქა ვდგევარო
გამფლანგველი
ალარსაიდ იმედი,
დავილუპე ეხლაო,—
ველარაფერს მიშველის
შუბლის კედელს შეხლაო.

დარაჯი
აბა მაშ რა გეგონა
სალაროს რომ აღებდი?!
დღე-ღამ ქეიფობდი,
ფულებს კარტში აგებდი!
გამფლანგველი
ვიყავი ხელ გაშლილი,
და მიყვარდა „არტო“;
ეხლა კი აქ ათ წელსა,
უნდა ვიჯდე მარტო...
ცოლი
მეტეხისა ციხეო,—
ვაი-უით გნახეო;
ჩემი ქმარი მანდ არის,
კარგად შემინახეო...
დარაჯი
მეტეხისა ციხეო,
სურვილითა გნახეო...
გამფლანგველი მანდ არის,
დიდხანს შეინახე...

ტანკა.

## კულტ-ჯიხაში

უნდა ავილო კვლავ სტვირი,
დავალიღინო ნელაო,—
რადგან ეხლავე სჭირდება
ჩვენს სოფელს მისგან შველაო.
პირველად მოვინახულოთ
განათლებისა დარგია.
კულტკომისია რომ ქვია
და ხალხს რომ არას არგია.
წარმოდგენები ხალხისთვის
შეიქმნა უცხო ხილია
მას შემდეგ, რაც რომ დაიწყო
კულტკომისიამ ძილია.
ვერ გავაღვიძეთ ლიღინით,
დასჭირდა „სპერამენტია“,—
მაშინ ტარტაროზს შეუთვლი
რომ გაუშინჯოს ტვინია.
თან მოიყვანოს იქედან
მან დოსტაქარი ფრთხილია.
თუ არა,—აქ გვყავს სტუმრადა
თოდაძე გამოცდილია.
და ამასვე მივანდოთ
„ოპერაციის“ მსვლელობა.
თუ ვერ უშველოს იმანაც,—
სხვა მხრივ დავიწყოთ მსჯელობა.
მივმართოთ პლატონ თეთრ წვერას
ავაგებინოთ წესია.
კულტკომისიას ჩვენთვისა
მეტი რა დაუთესია?
მერე წავიდეთ, ქამანჩავ,
მე მარტო შევალ მრცხვენია,
და ვინახულოთ ის ნაზი—
კბილის ექიმი ჩვენია.
მეორე დღისთვის იბარებს
ტკივილით განაწამებსა.
„ეხლა სალამოს ჟამია;
ხვალ კი ჩაგაცხებ წამლებსა
ასე ამრიგად ბრუნდება,
ავადმყოფები ვინც არი,
რადგანაც დროს გადაცილდ
თურმე საათის ისარი.
კმარა, გავჩერდეთ, ქამანჩავ;
ვიხმაროთ მომჭირნეობა.
შემდეგისათვის ვინახოთ
ენერგია და მხნეობა.

ბაბაიკა.

# აგარაკის ბრალია

პარმენს არშიყობაში თავიდანვე „პიატი“ ჰქონდა,—ხოლო როცა დაცოლშვილდა, თითქოს დაპატიოსანდა და ქალებში იქით-აქეთ თვალებს აღარ აცეცებდა; პირდაპირ მიდიოდა ქუჩაში. ამბობდენ—ცოლმა მოთვინაო.

მაგრამ, თურმე ადამიანში გრძნობები კი არ კვდებიან, არამედ სადღაც კუნჭულში იმალებიან და მოხერხებულ დროს უცდიან, რომ ისევ წამოყონ თავი.

ასე მოუვიდა პარმენსაც.

ცოლი აგარაკზე გაამგზავრა. ოცი მანეთი საკუთარი ფული ჰქონდა; ოცი მანეთი კი დამზღვევ სალაროდან ისესხა,—და ამ ფულით გაისტუმრა ცოლი.

— შენ ჭკუით იყავი, შარშანდებურად ქალებში ძრომა არ დაიწყო, თორემ კი გავიგებ და როცა ჩამოვალ, ვაი შენი ბრალი; პირდაპირ „ზაგში“ წაგიყვან, იცოდე.

— ზაგში ნეტა ახლა წამოხვიდოდე და გამანთავისუფლებდე,—გაიფიქრა პარმენმა, მაგრამ ცოლს ასე უთხრა:

— არა, გენაცვალე, არა—და ხელზე აკოცა.

როცა მატარებელზე ცოლი გააცილა და პარმენ სადგურის დარბაზიდან გამოდიოდა, კარებში ნაცნობი ქალი შეხვდა და უსაყვედურა:

— ვინ იყო, ყმაწვილო, ის ქალი რომ გააცილე?

— ის?.. ის ჩემი ამხანაგის ცოლი უნდა იყოს... რაღაც საყიდლები ჰქონდა და გავაცილე—დაიბნა პარმენი, რადგან მის წინ იდგა ქალი, რომელთანაც უწინ „სხვაფერ“ ჰქონდა საქმე.

— ნუ მიმალავ, ყმაწვილო; მე მითხრეს, რომ ის შენი ცოლია?!

— თუ კი იცი, რაღას მეკითხები—ცივად მიუგო პარმენმა და თავის გზას გაუდგა, რადგან დარწმუნდა რომ „ხეირი“ არ იყო ამ ქალში—ფუი, ეშმაკს; ცოლს არ უღალატებ... არ შევხედავ ქალებს—გაიფიქრა პარმენმა და სახლისკენ მოუსვა.

— რაც იქნება იქნეს,—ამბობდა ერთს მშვენიერ საღამოს პარმენ.

კარგად გაატარა ღამე სტუმრად მოყვანილ ქალთან პარმენმა. ხოლო დილით შეხვდა ცოტა უსიამოვნობა. სტუმარი ქალს, როცა დილით ადრე წავიდა, რომ მდგმურებს არ დაენახა.—თან წაეღო პარმენის საფულე. (ალბად საწყალს ფული ეგონა შიგ, მაგრამ ფულის ნაცვლად ოთხ ფხვნილ ქინაქინას ნახავდა).

მაგრამ პარმენს ეს არც ისე დიდად სწყენია, რადგან წამალი დამზღვევ სალაროდან იყო გამოტანილი უფასოდ.

— თქვენ დიდი უზრდელი ვინმე ყოფილხართ—სახლიდან გამოსვლისთანავე მიახალა მეზობელმა ქალმა პარმენს.

— რატომ, ქალბატონო?—

— რატომ და-წუხანდელი თქვენი საქციელისათვის.. თითქოს არ იცით?!.

— ვინ იყო, ყმაწვილო, ის ქალი?

— როგორ გეკადრებათ ოჯახის პატრონ კაცს ასეთი საქციელი?

— არა, ეს დიდი უზრდელობაა.

— დიდი სირცხვილია.

— ეს ჩვენი შეურაცხყოფაა—უძახდენ აქეთ-იქიდან ქალები პარმენს.

— თქვენ რა შუაში ხართ? თქვენ რამ გაგლანძლათ? რით ხართ შეურაცყფილი?—უკვირდა პარმენს ქალების საყვედური.

— როგორ თუ რით ვართ შეურაცყოფილი? ჩვენ აქ ვცხოვრობთ, არაფრად გვთვლი, ოთახში ქუჩის ქალი მოგყავს... ჩვენ აქ ქალები თუ რანი ვართ, რომ არაფრად გვაგდებ?

— თქვენ? თქვენ?.. როგორ გაგიბედავდით... დიდ ბოდიშს ვიხდი... მე არ ვიცოდი, თუ ეს თქვენი შეურაცყოფა იქნებოდა, და რაკი ასეა,—აწი არ განმეორდება ეს ამბავი.



ქალები ცოტათი დამშვიდნენ... პარმენი სამსახურში წავიდა:

— ეს რა კაი წესი ჰქონიათ ჩვენს ქალებს? შეურაცყოფად თვლიან გარეშე ქალის მოყვანას.—ასე ფიქრობდა სამსახურში პარმენ და იმის რჩევაში იყო, თუ ამაღამ რომელ მეზობელ ქალს სტუმრებოდა.

საღამომ მოაწია. პარმენმა ეკატერინესთან მისვლა ამჯობინა.

— თქვენზე კაი წრმოდგენის ვიყავი—დაიწყო ეკატერინემ—მაგრამ წუხანდელ ამბის შემდეგ, შეხედულება გამომეცვალა.

— კიდევ ბოდიშს ვიხდი... ეს რომ მცოდნოდა, არ გავბედავდი. ჩემი დანაშაულების გამოსასყიდად მოვედი თქვენთან—ამბობდა პარმენი.

დიდხანს ისაუბრეს. სათმა თორმეტჯერ დაჰკრა

— აბა, ეხლა დრო არის მოვისვენოთ—სთქვა ეკატერინემ და ლოგინის გაშლას შეუდგა.

— მე დიდი ხანია მინდოდა მაგის თქმა. მაგრამ ვერ ვბედავდი, რადგანაც დღეს მეტის-მეტად სასტიკად მომეპყარით.

— კარგია, მეორეჯერ ვერ გაბედავ—და ეკატერინე ლოგინზე ჩამოჯდა.

ამან გაათამამა პარმენ; მივიდა, ეკატერინესთან ლოგინზე ჩამოჯდა და ხელები მოხვია...

— გენაცვალე, ჩემო სიცოცხლევ—მხოლოდ ამის თქმა მოასწრო პარმენმა, რომ ყბაში ეკატერინემ სილა გააწნა.

— გაეთრიე აქედან, შენ უსინდისოვ—და პარმენი გარედ გამოაგდო.

ეზოში ჩოჩქოლი ატყდა. მილიცია სწრაფად გამოცხადდა და... პარმენ საბრალდებლო სკამზე წამოსკუპდა სასამართლოში.

— ბატონო მოსამართლევ! როცა მეზობლებმა საყვედური მითხრეს უცხო ქალის სტუმრობაზე. მე ვიფიქრე, რომ მათ უნდოდათ მათთან დამეჭრა „საქმე“.. ამიტომ იყო, რომ ასეთი ამბავი დამემართა... მე არ ვიცოდი... მე არ ვიცოდი... მე მეგონა თვითონ ისინი... რა ვქნა! ცოლი აგარაკზე მყავს და ფულს მითვლის... მასთან წასვლა მინდა... გთხოვთ გამანთავისუფლოთ...

სასამართლომ პარმენ გაგზავნა... „აგარაკზე“—ორთაჭალის „დასასვენებელ“—გამასწორებელ სახლში.

**პ. ობოლი.**

# ორპირი

კარგია ძველი წესები,
და ძველი „დღეობებია!“
თუ კეტებით და ქვებითა
არ დაგვამტვრიეს ყბებია.
ხიდები, ღობის სარები
ქვებიც ხომ იარაღია,
მაგარი მკლავით ნათხლეშმა
ბევრს დააჩნია დაღია.
ყველა გაძღება, დათვრება,
თავს მოიყრიან ველზედა.
ჩხუბი და აყალ-მაყალი
კიდია მეარღნეზედა.

ერთმანეთს თავპირს ამტვრევენ
(რა აქვთ აქ გასაყოფია?!)
ილიკომ დანა იშიშვლა
და ბეჭში ჩასცა ვანოსა;
აწ დედა მისმა—მატრონამ
შეუხვიოს და ბანოსა!
მატრონამ ეს არ იკმარა,
აილო სარის ნატეხი,
და ისე მოსცხო ვაჟეპსა,—
მოსტეხა მკლავი და ფეხი.
მეარღანე კი გარბოდა
თავის არღანით ტყეშია;
მელტონის ტრიალ-ტრიალმა
ჩააგდო ღელე-კლდეშია.
მეორე დღეს კი სუყველა!
დაბეგვილი აქვს ლეშია;



—„სტანცავი“ იცის მუდრეგმა
მან უკეთესი ჩემზედა...
ავიღებ ქვასა და ვთხლიშავ
დაბრანცულ თეძოებზედა—
ასე მსჯელობენ „გმირები“
დამთვრალი, გალეშილები...
ფუთ ნახევარი გამოვა
ჩხუბში ნამტვრევი კბილები.
ხალათები, თუ პერანგი
სისხლითა გათხიპნილები.
მეგიორგობე ხალხია
მუშტკრივში გამოწვრთნილები.
„ახალკვირეს“ ხომ მეტია
ასეთი მუშტკრივობია,

ვის ჩამტვრევია კბილები,
ვის თავი გადუხლეშია.
„ალავერდობაც“ არ არის
ჩამორჩენილი ჩხუბშია;
აქაც კეტების ტრიალი
შეიქნა ერთ-ერთს ჯგუფშია.
მოხუცი ბესარიონიც
აგორეს სისხლის რუშია;
კამოედევნენ ერისშანეთს
იძახდნენ:—„ხელი უშვია!“
„ქაშვეთობ-პეტრე-პავლობას“
წვიმამ უშალათ ხელია,
თორემ აქ მეტი მზადება
რომ იყო უეჭველია.

ჭოლოკი.

# ჩოხატაური

დაბა ჩვენი შეიცვალა,
სულ სხვაა რომ ინახულო,
ეს არც არის გასაკვირი,
სეზონია საზაფხულო!..
სნეულები ვინც კი იყო
განიკურნენ თავის დროზე
და ჯანმრთელ ხალხს, რაღათ უნდა,
რომ იხტუნონ „ბახმაროზე“?!.
ექიმს უნდა დაუმადლოთ,
სამსახური ეგზომ დიდი,
„ღვაწლი“ უდევს ხალხში და მით
არის კაცი მოსარიდი...
მარა ეხლა გვიყო „შტუკა“,
რა ვეხვეწეთ არ დაბრუნდა—
(ალბათ იქ მეტს „გააკეთებს“)
ბახმაროზე წაბრაგუნდა!!.—
უექიმოთ კი აქ გაჩნდა
უცნაური რაღაც სენი,

ფრიად ზეიოზული და,
ფრიად ძნელი მოსარჩენი!..
ამისთვის კი საჭიროა,
ტარტაროზო, შენი „პიკი“,
რომ მუცელი დაუჩუტოთ
და წავგლიჯოთ კუდის რიკი!..

მოგახსენებთ, რომ დაბაში,
წინ-წინ მიდის ჩვენი „ეპო“
ხალხი ისე მიიზიდა,—
საქონელი აღარ გვეყო!..
ჩარჩებს თვალი დაუბნელა,
ქვა კუდებით ათამაშა,
ამიტომაც მისი გამგე
ისე დადის, როგორც ფაშა!..
დღეს კი „ეპო“ ყველას უყვარს
ყველას: მჭლეს და თუნდაც მსუქანს;
განძრახვა აქვს,—ასე ვფიქრობთ,—
მალე დასწვავს სიმონ დუქანს!..

იქნებ ბევრმა, არც კი იცის,
რომ გვაქვს აგროტეხნიკუმი,
(აბა ვინ რას გაბედავდა...
შიგ არ ყივეს გამგე ყუმი!..
სულ ჩხუბია მის გარშემო,
ყველა წლების დასასრულში,
„შეკვეთილში“ მიაქვს მაზრას
და ლანჩხუთლებს—„მოხრანგულში“
აღმოსავლეთ გურიაში
ესლა დაგვრჩა მარტო თვალი
შიგ არ ყივის გამგე ყუმი!...)
განა არის სამართალი?!.

ხიდისთავი „გაპარიჟდა“
შეადგინა თავის რუქა
და ის მოჰყავს სისრულეში,
რაც წინაზე დაიბუქა...
მოგვშორდა და „ეპო“-ს აღებს
ჩვენ გვიმღერა უკვე მარში...
(ალბათ მიტომ, რომ ერასტომ
ველარ გასძლო ნაგომარში!..)
გაგვიგრძელდა მოხსენება,
აქ შევჩერდეთ ძმაო. რაღა!
და შემდეგში კვლავ სხვას გეტყვით

წაველა და ოსმან-ალა.

# ამაღლება

ჩამოდეგით! განი! განი!
წინ მიიწევს ამაღლება;
შურით სკდება სხვა სოფლები
ზომლეთ-ვანი და საშება.
გზები! მერე რა გზებია!
მოკენჭილი გატკეცილი;
პლატფორმამდი ახლა უკვე
გაიყვანეს გზატკეცილი!
გლეხკომმა ხომ ტრაქტორები
შეიძინა ბარე ორი!
აღმასკომის აივანზე
არ სეირნობს კიდევ ღორი!
ყოველ ღამეს თეატრია
(კულტსექციაც ამას ცდილობს)
ანეტა ხომ „გაარტისტდა“
და ვანუაც მესხიშვილობს!
სისუფთავეც დაცულია,
გვანსაც ყრიან თავის ალაგს.
ეხლა გზაში ვერ შეხვდებით
გადმოჭიმულ ფეხისალაგს.
აქ სახალხო სახლი უკვე
ააგეს და დაფნით რთავენ;
სამკითხველოში კი ეხლა
გაზეთს აღარ იპარავენ.
კოოპერატივს ბდღვირი გააქვს,
ბლომათ არის შიგ ფართალი.
აქ ვაჭრობას იაკობამ
დაანება უკვე თავი.
ცამდი აღწევს სიხარული
წინსვლის ლამპარს ვინ ჩაგვიქრობს!
აქ ვარდენი (ტყავს გვაძრობდა!)
ახლა აღარ ბაქი-ბუქობს.
სკოლის ეზო მორთულია
ნაირ-ნაირ ყვავილებით
და სტკბებიან სურნელებით
მოსეირნე ვაჟ-ქალები.
რომ ჩანგალი ვთხოვო მკვეთრი...
ტარტაროზთან მიველ კრძალვით
**თქმული საბჭოს ოცნებაა,**
**სინამდვილე კი არც ერთი.**

**ივანე.**

# მეცნიერება და ტექნიკა

## ლევარსი როხროხაძის მეცნიერულ-ისტორიული გამოკვლევა.

ვინ არ იცის, როგორ აწუხებენ ზაფხულში ადამიანს მწერები, რომლებიც ყველგან ბევრი მოიპოვებიან, მაგრამ სასადილოებში მათი რიცხვი უამრავია. ისინი თავგანწირულნი ებრძვიან ადამიანს. წარმოიდგინეთ თქვენ, რომ სიცოცხლესაც კი არ იშურებენ. მაგ: თქვენ სადილობთ სასადილოში. მოგიტანეს კერძი (ვსთქვათ: ბორჩი ან სუფი) მსახურს თან მოსდევს ბუზები გუნდობით და როგორც კი მსახური თქვენს წინ კერძს დადებს, ბუზები მაშინვე შიგ ვარდებიან და თავს იხრჩობენ. ამის შესახებ, სასადილოების პატრონებს რომ ჰკითხოთ—გიპასუხებენ: დარდი ნუ აგქვთ; ჩვენ ვართ თქვენს წინაშე პასუხისმგებელი თუ თქვენ კერძში დამხრჩვალ ბუზებით მოკვდებით.პირიქით, კიდევ უკეთესიაო,—და სხვა.. მაგრამ ეს ასე არ არის. ბუზებისაგან ადამიანს საფრთხე მოელის... ამიტომ საჭიროა მიღებულ იქნას ზომები. თუ ალმასკომმა კი მოაწყო მტკვრის ნაპირებზე დახრჩობის მსურველთა გადამრჩენი ბუდკები,—მას მართებს ასეთივე ბუდკები მოაწყოს საინების ერთ მხარეზე, ხოლო მეორე მხარეზე უნდა იდგას ბადით ხელში მებადური: როცა ბუზები თავის დასახრჩობად ჩაცვივიან საინში, უნდა მიეშველონ და ამოიყვანონ.



ამის გარდა მებადურეს უნდა ევალებოდეს: წვენში ხორცის ნაჭერის ძებნა და დაჭერა, რადგან კოვზით მოსადილეს ძალიან უძნელდება ეს. აქ სურათზე ნაჩვენებია მოქალაქე, რომელიც სადილობს და მისი კერძი დაცულია ბუზებისგან. ხოლო ნაჭერი ხორცის დასაჭერად მებადური წვენში ისვრის ბადეს.

## ღმერთი და ადამიანი

ბევრს ჰგონია, რომ ადამიანი ღმერთს ყოველთვის ემორჩილებოდა, ყოველთვის მისი ყურმოჭრილი მონა იყო. ეს ასე არ არის. ქვეყნის გაჩენამდი არსებულ ხელნაწერებს თუ ჩვენ განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ის ამბები და მოვლენები, რომლებიც დღეს ხდებიან თანამედროვეობაში, ხდებოდენ უწინაც.

ერთი რამ აშკარაა: ღმერთი ოდესმე ადამიანის მიერ ციხეში ყოფილა მოთავსებული. ჯერჯერობით არ არის გამორკვეული, თუ რას საქმეზე ჩასვეს ციხეში ღმერთი. ზოგიერთის ცნობით, თითქოს იმიტომ, რომ რევოლიუცია მოხდაო; ზოგიერთის—თითქოს იმიტომ, რომ დიდძალი ფული (ასი ათასი ჩერვონცის მანეთი) გაფლანგაო... მაგრამ ყველაზე უფრო სწორია ის მოსაზრება, რომელიც ამბობს, რომ ღმერთს მიუსაჯეს სამი წლით ციხეში ჯდომა სასტიკი იზოლიაციით და წინასწარი დაპატიმრების არა ჩათვლით ქალწულ მარიამის გაუპატიურებისათვის...

მაგრამ ჩვენთვის ეს არ არის დიდად საინტერესო. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ღმერთიც კი იჯდა ციხეში, რასაც ადასტურებს ადგილ-მდებარეობის სახელწოდება

უფლის-ციხე, რომელიც წარმოსდგება სიტყვებიდან: უფალი და ციხე. რომ ეს ასეა, ჩვენ კიდევ მოვიყვანთ ანალოგიურ შემთხვევას:



აღმოსავლეთ საქართველოში ერთს სოფელს ჰქვია: ტურის-ციხე. ალბად სოფლელებმა დაიჭირეს ტურა და იგი მოათავსეს ციხეში. თუ რატომ მოათავსეს ციხეში ტურა, ეს, მგონი, ყველასათვის გასაგებია და ამას არ უნდა მტკიცება. ცხადია: ტურამ ქათმები წაიღო, მუსრი გაავლო შინაურ ფრინველებს და ამიტომაც ჩასვეს იგი ციხეში... სადაც ეს ამბავი მოხდა, იმ სოფელს შემდეგ დაერქვა: ტურის-ციხე.

## „დიდი სიცხე"

ჩვენს გაზეთებს რომ კაცმა ყური უგდოს და სისტემატიურად იკითხოს იგი, უჭკუოდ ჭკუიდან შეიშლება (რასაკვირველია. მოლა მასრედინის არ იყოს, თუ ჭკუა აქვს) აი, მაგალითად, გაზეთებში სწერია:

„ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობებით ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში უჩვეულო სიცხეების გამო მრავალი ხალხი დაიხოცა. ნიუ-იორკში სიცხე აღწევდა 90 გრადუსამდი. **ცეცხლის მქრობელი რაზმები წყალს ასხამდენ მოთამაშე ბავშვებს**".



საინტერესოა ვიცოდეთ: წყალს რომ ასხამდენ, ბავშვები განაგრძობდენ თუ არა თამაშს? (ეს რომ ვიცოდეთ, ბევრი-რამის გამოკვლევა შეიძლებოდა, და სასურველია გაზეთებმა გაიგონ ეს ამბავი).

მაგრამ, როგორც სჩანს, დიდი სიცხეები ყველაზე უფრო მოქმედობს ადამიანის აზროვნებაზე.

## სტატისტიკა

ალბად ყველას წაკითხული გაქვთ ჩვენი გაზეთებიდან ალმასკომის შემდეგი სტატისტიკური ცნობა: „**ქორწინების მხრივ სარეკორდოა ზამთრის თვეები—განსაკუთრებით კი იანვარი, როცა რეგისტრაციაში გატარებულია ქორწინების 851 აქტი. ზაფხულის თვეში ქორწინების რიცხვი არ აღემატება 200-ს**".

უბრალო მოქალაქეს ეს გარემოება გაუკვირდება და იტყვის:

— საკვირველია; პირიქით: ზაფხულობით მეტი ქორწინება უნდა ხდებოდეს... რა ვიცი რა! სადაც არ უნდა გაიარო როგორც კი შეღამდება, ყველგან ჩახუტებულ შეყვარებულებს შეხვდები. ბუნება ზაფხულობით მშვენიერია... ხელს უწყობს სიყვარულს... მისვლა-მოსვლა... საზაფხულო ტანსაცმელი... ყველა ეს უკეთეს პირობებს ჰქმნიან, რომ ზაფხულობით სიყვარული და, მაშასადამე, ქორწინებაც მეტი იყოს!?

მაგრამ ეს ასე არ არის, და არ არის სრულიად სამართლიანად.





ზამთარში ცივა, ყინვებია და ყველა ადამიანი სითბოს დაეძებს... შეშა ძვირია, მისი ყიდვა არაყველას შეუძლია... მაშასადამე რამე სხვა საშუალება უნდა გამონახოს კაცმა... და ეს საშუალება არის ცოლის შერთვა... და აი სწორედ, ამიტომაც არის ზამთარში მეტი ქორწინება. ხოლო, როცა ზამთარი გაივლის, რაღა საჭიროა მაშინ გამთბობი... ამიტომაც არის ზაფხულში ნაკლები ქორწინება, მეტი განქორწინება.

# კინოში




მოქალაქე (რომელსაც კარებში შესვლისთანავე აწვდიან; ჟურნალებს, სათამაშო ნომრებს და ბედის გამომცხობ ქაღალდებს): აღარ ვიცი, სად მოვხვდი: სამკითხველოში, კლუბში, არტოში, თუ კინოში?!?

## სუფსის საპარკეში

დილა არის. საპარკეში მუშაობენ ქალები და კაცები. საპარკის გამგე უწყრება ქალებს, რომლებსაც პარკი მოუტანიათ გასასყიდათ. ცალ ხელში უჭირავთ გამგისათვის ფეშქეშად მისართმევი: მაწონი, ქათამი, ხაჭაპურები და სხვა სანოვაგე. გამგე მიდის ერთს ქალთან და ეუბნება:

— შენი პარკი პირველს ხარისხში მაინც არ გავა, რადგან შენ ჩემთვის ცოტა ძღვენი მოგიტანია. ყველა უცნობის პარკი რომ პირველ ხარისხში მივიღო, ჯიჯეიშვილი არ გეგონო.

(მეორეს) თუ ჩემს ცოლ—ელისაბედიდან ძღვენის მიტანის „რასპისკას" მომიტან, შენი პარკი პირველს ხარისხში გავა.

(მესამეს) შენი პარკი, თუმცაღა მესამე ხარისხის არის, მაგრამ მაინც პირველ ხარისხში მივიღებ, რადგან შენ კარგი ძღვენი მომიტანე.

(ამ დროს მოდის მისი ცოლი, რომელსაც ეუბნება): ო, ჩემო ელისაბედ... რა ბედნიერი ვართ. დღეს ყველა ჯამაგირებს ავიღებთ, 50 მან. მასწავლებლობიდან; 100 მან. საპარკის გამგეობიდან; 80 მან. ბანკის გამგეობიდან; 40 მან. ლიდაის ჯამაგირი (მისი ქალიშვილია) საპარკეში; 40 მან. მოსეს ჯამაგირი (მისი ვაჟია) და კიდევ 40 მან. ქეთოს ჯამაგირი (მისი ქალიშვილია); სულ: 350 მანეთი. ჯერჯერობით მეტს ვერ გახდები კაცი.

(შვილებს) ცოტა იმუშავეთ; არ დაიქანცოთ მუშაობით... მე ფულის ასაღებად მივდივარ... შვილო მოსე, ჩვენი ინდაურები, ხბოები და ბატები საპარკის ეზოში ჩამოჯეკე საბალახოთ. რამე ისინმაც უნდა ისარგებლონ ამ საპარკიდან.

(მხარშავთან) რაფიელ, ეს ადგილი მე გიშოვნე და ხომ იცი! (თვალს უქნევს და თითების სრესით ანიშნებს).

(მუშებთან) აბა, იმუშავეთ... ეი, შენ, რას გაჩერებულხარ,—მალთაყვის ხიდს რომ მიგიგავს ცხვირი და კისერი?! ფულებს ტყვილა გაძლევთ? იმუშავეთ დაუსვენებლად...

ყვაჭი.

## წერილი ტარტაროზს[*]

ამ წერილის გამოგზავნა რომ დავაპირე, სასიკვდილო კაცსავით გამაჟრიალა, ტანში ჟრუანტელი გამიარა; იმიტომ კი არა, რომ მე ბოროტმოქმედი ვიყო! არა; სრულიადაც არა... არამედ იმიტომ, რომ მეშინოდა: ვაი თუ ეს წერილიც უფსკერო გოდორში (ღმერთი დასწყევლის მაგ გოდრის მომგონს) გადააყირამალა მეთქი. განა გასაკვირველია ჩემგან ასეთი შიში? რვა წერილი მაქვს გამოგზავნილი და შენ ყველას უფსკერო გოდრისაკენ უკამანდრე.

კვირა დღე ჩემთვის მოუსვენარი დღეა. „ტარტაროზს" ველოდები და როცა ვღუბულობ ჩემი გულის ბაქი-ბუქი ორ ვერსტში ისმის... შეშინებული თვალებს გადავარბენ ცნობათა მიღების (იგივე ფოსტა-უფსკერო გოდორი) და როცა ჩემს ფსევდონიმს ამოვიკითხავ, თითქოს ელექტრო-ტოკმა დამკრა თავში,—შევკრთები და მუხლები მეჭრება... შე დალოცვილო! ყველაზე ბევრს ჰყვირი მომჭირნეობაზე... შენც გაატარე მომჭირნეობა და წერილები ნაკლებად გადაგზავნე უფსკერო გოდორში.

ამის გარდა, მე მიკვირს, თუ რატომ არა აქვს შენს სარედაქციო გოდორს ფსკერი! ბაჭყა რომ გოდორის ღობვას დაიწყებდა, თავდაპირველად ფსკერს გაუკეთებდა... ასე, რომ, მე მგონია, შენს გოდორს ფსკერი ექნება და იგი დასაღუპავი რატომ აღარ ამოივსო ამდენხანს ამდენი წერილებით! მარტო ჩემი წერილები ამოავსებდა შუამდი...

თუ მართლა ფსკერი არა აქვს და ამიტომ აღარ ელირსა გავსება, შემატყობინე და მე გამოგიგზავნი ბაბუას მიერ დაწნილ ახალ გოდორს, რომელსაც ფსკერი ექნება.

შვიდობით იყავი. შენი ძველი თაყა.

*) ეს წერილი განხილვის შემდეგ „უფსკერო „გოდორში" გადავგზავნეთ როგორც უვარგისი, მაგრამ, როგორც ჰხედავ, ამ გვერდზე გამოჭიმულა. რაშია საქმე! ეს ჩვენთვისაც საოცრებაა. სწარმოებს სასტიკი კვლევა-ძიება.

ტარტაროზი.

# „მემკვიდრე"

ხალხში ასეთი ხმა დადის: თითქოს ალმასკომის თავმჯდომარეს დავალებული ჰქონდეს მღვდლის მოვალეობის და მაგიერობის გაწევა. მღვდლის კაბა არ აცვია, თორემ სხვა მხრივ თემალმასკომის თავმჯდომარე ნამდვილი მღვდელია

(ტარტაროზი № 58)



გლეხი: ე ჩვენი მღვდელი და მისი ფოფოდია ისე დაბრმავებულან, რომ ვერ იცნეს [illegible] ად-გილე—ჩვენი თემკომის თავმჯდომარე და მისი ცოლი

# ცნობათა მიღება

„ენგეროდლი"-ს (ხევი). თქვენი თხოვნა: „ეს წერილი გთხოვთ მოათავსოთ „ტარტაროზი"-ს უახლოესს".. გოდორში, შესრულებულია და ჭკუიდან შეშლილებს იქ მოიყვანენ გონებაზე.

რიჟას (ხევი). ამ თვიდან გეგზავნებათ ორი თვით გაზ. „მუშა" „ტარტაროზი"-თ თქვენს მიერ გამოგზავნილ ფულის ანგარიშში.

კიდევ „ენგეროდლი"-ს ჩვენგან კიდევ ისეთივე პასუხი, როგორც არის პირველი.

სალი-კლდეს (საჯავახო საქამიასერი). სამაგალითო და სანიმუშო (უკაცრავად, თენგიზ!.. როგორც უარყოფითი სამაგალითო და სანიმუშო) მასწავლებელია გყოლიათ თენგიზ, რომელიც

მოსწავლეებს სიყვარულსა უხსნის
და მრავალი მათგანს თეძოში რომ შლის
სამაგიეროს ნიშნით რომ უხდის...

მაგრამ არა ნაკლები ყოფილა ფოსტის გამგეც, რომელსაც

ფოსტაში ერთხელაც ვერ ნახავთ თქვენ...:
საქონელს ზიდავს ის კონდრაბანდებს

ბოლოს კოლაუს თქვენი „მუშტაიდი" აგრონომებს გადავცეთ განსახილველად. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ:

მცენარენი კლუბს მალავენ,
დაუმტვრიე მათ ტოტები,—
იქნებ მაშინ დავინახოთ
გამოსული არტისტები...

ვერ შევასრულებთ, რადგან „არტისტების" დანახვას და მათ წარმოდგენას ჩვენ ვამჯობინებთ მცენარეების ტოტებს.

ტინტრას (ზესტაფონი). ჟურ. „ტარტაროზი"-ს № 58-ში მოთავსებული თქვენი ცნობა (ცნობათა მიღება-ში) ქიათურიდან გადავიტანეთ ზესტაფონში (თანახმად თქვენი წერილისა). „გაუგებრობის თავიდან ახაცილებლად". თხოულობთ იმ „წერილის მთლიანად მოთავსებას" და ამავე დროს დასძენთ, რომ თქვენ „იუმორისტულად არ სწერთ რეჟიმ-ეკონომიაზე".. ჰოდა, სწორედ იმიტომაც გადავუძახეთ თქვენი წერილი უფსკერო გოდორში, რომ იგი იუმორისტულად არ იყო დაწერილი... რაც შეეხება იმას, რომ მთლიანად მოვათავსოთ, ეს შეუძლებელია, რადგან უფსკერო გოდრიდან დაბრუნება ჯერ არ მომხდარა ისე როგორც საიქოდან ჯერ არვინ მოსულა.

სხვებისაგან თხოულობთ „სწორ გაგებას და შემეცნებას" (რა შუაშია აქ შემეცნება) და თვითონ კი ვერ გაგიგიათ, რომ არაიუმორისტულ წერილებს ჩვენ უფსკერო გოდორში ვაგზავნით.

„გუზგუზს". თქვენ გვწერთ, რომ



ღრმა მოხუცი ბებია გარდამეცვალა. ძალიან მიყვარდა. როცა ბავში ვიყავი, ყოველთვის მიცხობდა ყველიან კვერს, რომლის გემო ახლაც მაქვს პირში. გთხოვთ მის საპატივსაცემოდ მომითავსოთ ეს სურათი.

ვათავსებთ... და ვინაწილებთ თქვენს სიხარულს.

საფრანგეთის ახალი მთავრობა პუანკარეს მეთაურობით შესდგება ექვსი ყოფილი პრემიერისაგან. ასეთი „ავტორიტეტიანი" მთავრობა კარგა ხანია საფრანგეთში არ ყოფილა... მაგრამ ფრანკის კურსის გამოსწორებას მაინც არაფერი ეშველება, რადგან სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება. (გაზეთებიდან).




დუმერგი (საფრანგეთის პრეზიდენტი) ფრანკს: აი, ეს წამალი სხვადასხვა წამლების შეზავებაა; ხმარების დროს შეაჯანჯღარე და შემადგენლობა ერთმანეთში აირევა... აუცილებლად მოგარჩენს.

ფრანკი: სათითაოდ ვიგემე და მიღებული მაქვს ესენი, მაგრამ ვერაფერი მიშველეს... და მათგან შეზავებული აჯაპსანდალი უფრო უარესად იმოქმედებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრ. კომიტ. სტამბა, კამოს ქ. 68.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი ორი შაური

# ტარტაროზი

№ 61 | კვირა, 15 აგვისტო, 1926 წ. | № 61

შოფერების დაუდევრობით ამ ბოლო ხანებში მეტად გახშირდა ავტომობილებზე უბედური შემთხვევები



აგარაკისკენ თუ საიქიოსკენ?

# თავმჯდომარის ალმასკომი

—... თუ როგორ გაატაროთ მომჭირნეობა. ამის შესახებ ცენტრიდან გამოგიგზავნით სახელმძღვანელო ქაღალდს.— ასე დაასრულა თავისი სიტყვა ცენტრის რწმუნებულმა, რომელმაც ხელი ჩამოართვა კვახიანის თემალმასკომის თავმჯდომარეს—კვიროსი დოყლაპიაძეს, გამოემშვიდობა და წავიდა.

კვიროსი სიხარულით ცას სწვდებოდა.

— ხელი ჩამომართვა... მე ახლა დიდი კაცი ვარ... რწმუნებულმა ხელი ჩამომართვა... როგორ უთხრა ეს ამბავი ჩემს ცოლს?! რა ამბავს მოვაბა ეს ამბავი ისე, რომ ცოლმა გაიგოს, მარა არ შემატყოს, რომ მე ამას დიდ რამედ ვაგდებ!?! რწმუნებულმა ხელი ჩამომართვა—ასე ფიქრობდა სახლისკენ მიმავალი კვიროსი; იღიმებოდა და ხშირად უცქეროდა თავის მარჯვენა ხელს, რომლითაც მას ხელი ჩამოართვა რწმუნებულმა. ეს ხელი კვიროსის ეხლა უფრო ლამაზი და მშვენიერი ეჩვენებოდა და დიდ განსხვავებას ნახულობდა, როცა მარჯვენა ხელს მარცხენას ადარებდა, თუმცაღა ორივე ერთმანეთს ისე ჰგვანდენ, როგორც, რომ იტყვიან: ერთი ვაშლის ორი ნაჭერი.

ბევრჯერ დააპირა კვიროსიმ ცოლისათვის ამ ამბის თქმა, მაგრამ ვერ გადააბა ეს ამბავი სხვა ამბავს. ფიქრობდა:

— სადილის წინ ცოლს ხელს დავაბანიებ; იგი მეტყვის, შემეკითხება:

— რა დიდი კაცი გახდი, რომ შენით ხელს ვერ დაიბან?!

— როგორ თუ არა: დღეს ცენტრის რწმუნებულმა ხელი ჩამომართვა!!!

მაგრამ კვიროსის ეს აზრი არ დაუჯდა; ეს ხომ მისი პიროვნების დაწვრილმანება იქნებოდა.სხვა კიდევ ბევრი იფიქრა, მაგრამ ვერაფერი გამონახა... ისევ ხელის დაბანას უნდა გამოეყვანა ჩიხში მომწყვდეული კვიროსი.

— ხელი დამაბანიე, თუ ქალი ხარ; ცოტა წყალი მეყოფა... ჭუჭყიანი არა მაქვს ხელი, თორემ ცენტრის რწმუნებული არ ჩამომართმევდა ხელს,— ამის თქმა დააპირა კვიროსიმ, რომ ამ დროს აკვანში ბავში ატირდა და ცოლმა ბავშს მიაშურა.

— არ გაგზარდა ღმერთმა; რა მაინცდამაინც ახლა ატირდი—გაიფიქრა უკმაყოფილოდ კვიროსიმ.




კვიროსი შეღჯდებოდა სალაროზე

სუფრას მოუსხდენ.

კვიროსი მჭადის დიდ ნატეხებს ლობიოში სვრიდა და ზედიზედ მუცელში აგზავნიდა; თანაც განუწყვეტლივ იმის ფიქრში იყო, რომ როგორმე ხელის ჩამორთმევის ამბავი რამე ამბავზე მოება და ცოლისთვის ეთქვა... მაგრამ ამაოდ: ისე გამოძლა ლობიოთი, რომ მუცელზე გიბერა და თქმით კი ვერაფერი სთქვა.

— რა დაგემართა, კაცო?!—რა ამბავია, რომ ორი საინი ლობიო შესჭამე?! — უთხრა გაკვირვებულმა და გულმოსულმა ცოლმა კვიროსის, რომელიც ის იყო ჭამას ეთხოვოდა, მაგრამ რაკი ცოლი გაელაპარაკა, მას უცბად საშუალება მიეცა ამბის თქმისა და ცოლს უთხრა:

— ხა—ხა—ხა—ხა.. ჩემო ცოლო, იმის რ იყოს, რომ დღეს ცენტრის რწმუნებულმა ხელი ჩამომართვა,—ერთი კოვზი ლობიო კიდევ მომიმატე,—მარა არ მინდა არა... ხა—ხა—ხა—ხა...

და კვიროსი საჩქაროთ წამოდგა და გარედ გამოვიდა.

...მიიღო ცენტრიდან მოწერილობა მომჭირნეობის გატარების შესახებ...

... და როცა სოფლელები მივიდოდენ მასთან სასოფლო საქმეების მოგვარების შესახებ მოსალაპარაკებლად, კვიროსი შეჯდებოდა სალაროზე,რომელზედაც ბოქლომი იდვა, ხელში გასაღებს დაიჭერდა და ამბობდა:

— თუ კაცი ხართ, ფულის შესახებ არაფერი არ მითხრათ. მთავრობისაგან ბრძანება მაქვს მიღებული, რომ ერთი კაპიკი არ დაიხარჯოს უბრალო საქმეზე...

— სკოლა და სამკითხველო ინგრევა; ხიდები და ბოგირები სრულიად დანგრეულია, გზებზე გავლა აღარ შეიძლება,—ეუბნებოდენ გლეხები, მაგრამ კვიროსი სალაროდან მაინც არ ჩამოდიოდა და გლეხებიც გაწბილებულნი ბრუნდებოდენ უკანვე.

— მისი საკუთრება ხომ არ არის, რომ კრუხსავით დაჯდომია სალაროს?!

— დაჯდომია, თორემ შიგ რამე აქვს! თუ რამე ფული შემოვიდა აღმასკომში, იგი სალარომდი ვერც კი მიაღწევს, ამბობენ ზოგიერთები.




„კულაკის“ ოჯახს დამგსავსებოდა

# პატაკი



მილიციელი (იძახის): Дворник!
მეეზოვე: მზად ვარ!!!

კვიროსი შეუდგა მომჭირნეობის გატარებას. ჯერ დაითხოვა: საქმისმწარმოებელი; შემდეგ—: მდივანი, დარაჯი, კანცელარიის მოახლე... და მალე მთელს ალმასკომში მარტო კვიროსი დარჩა.

— ყველამ უნდა გავიჭირვოთ... ყველამ ბევრი უნდა ვიმოშაოთ... ყველამ უნდა მოვიკლოთ... თავი იოლად უნდა გავიტანოთ... უბრალო საქმეებზე ალმასკომში ნუ მოხვალთ და ტყვილად ნუ შემაწუხებთ... დრო ფული ღირს. —ეუბნებოდა კვიროსი სოფლელებს, რომლებმა თანდათან უკლეს ალმასკომში სიარულს და ბოლოს მთლად დაეთხოვენ...

ეს უნდოდა კვიროსისაც. მას დარჩა ბურთი და მოედანი.

ერთს საღამოს მან თავისი ცოლ-შვილი გადმობარგა ალმასკომის შენობაში; ანდა რა ამდენი ხლაფორთი უნდოდა მის გადმობარგებას: ერთი ფიცრული ქოხი ჰქონდა, იგი გაყიდა და მასში აღებულ ფულით საოჯახო ნივთები შეიძინა. შემდეგ, როცა „ხელი მოითბო“ და ოჯახი გააფართოვა: შეიძინა ბევრი ნივთები და გაიჩინა ბლომად შინაური ფრინველები და ცხოველები. რომლებსაც გლეხებისაგან იძენდა „დაკლებულ ფასებში“, ანუ „ხელის მოწერით და სახაზინო ბეჭდის დასმით“,— მთელი შენობა დაიკავა.

— მობრძანდით, მობრძანდით,—მიაძახა კვიროსიმ როგორც კი დინახა რწმუნებული. რომელიც გაკვირვებული ათვალიერებდა გზიდან კვახიანის თემალმასკომის შენობას.

— რაღაც ისე მახსოვს, რომ აქ იყო, მგონი, თქვენი თემალმასკომი,—იკითხა გაკვირვებით რწმუნებულმა, და როცა შენობაზე წაიკითხა ნაცნობი წარწერა: კვახიანის ალმასკომი, დარწმუნდა და წამოიძახა:

— ჰო, აქ ყოფილა, მაგრამ ეს რა ამბავია?!

მის წინ შემდეგი სანახაობა გადაშლილიყო:

კვიროსის ცოლი პატარა შვილს ეალერსებოდა. აივანზე იჯდენ კვიროსის მშობლები. სარცვლები გაეკიდათ სვეტებზე. ეზოში პატარა გოგო პეპელას მისდევდა დასაჭერად. შინაური ფრინველები და პირუტყვები ეზოში გამოსულიყვნენ. ქვედა სართული (სარდაფი) კვიროსის ბოსლად გადაექცევინა. ერთი სიტყვით კვახიანის ალმასკომი „კულაქის“ სახლ-კარს დამსგავსებოდა.

— ნუ გიკვირთ, ამხანაგო რწმუნებულო, მომჭირნეობის გასატარებლად მე ასე ვსცადე საჭიროდ. ალმასკომს ხარჯები ძალიან შეუმცირდა: ჩემს მეტი მას არავინ ჰყავს მოსამსახურე. მთელი ჩემი ოჯახით ვიცავ და ვუვლი ალმასკომს; აღარ მჭირია დარაჯი და სხვა მოსამსახურეები. მართალია: ოჯახი გავანადგურე ამისათვის და მთელი ოჯახობით აქ გადმოვსახლდი, მარა რა გაეწყობა; ასეთია საზოგადოებისათვის სამსახური; სირცხვილს ხომ ვერ ვსჭამ, რომ ალმასკომს ვერ მოვუარო... ამაზე უფრო მომჭირნეობის გატარება, ყოვლად შეუძლებელია.

როცა სასამართლოში დაიწყო კვიროსის „საქმე“, გაზეთებში ასეთი სათაურებით იყო სასამართლოს ანგარიში მოთავსებული: „ოჯახკომი“... „**ოჯახის ალმასკომი**“... „თავმჯდომარის ალმასკომი“ (ჩვენც ეს უკანასკნელი სათაური მივეცით ამ ამბავს)...

... და როცა „საქმე“ დასრულდა, სასამართლოს რეპორტიორი ასე ათავებდა თავის წერილს გაზეთში:

**„... და სასამართლომ, რადგანაც კვიროსის აღარ ჰქონდა თავისი საკუთარი სახლი, გამსახლში მისცა უფასო ბინა“.**

**ისელი.**

# სიამაყე



გათოლმელ-ქუთაისელი მოქალაქე (ტფილისში): აქ გადაჩვევენ ქუჩებში ბალის გაშენებას... ჩვენში კი ყველა ქუჩებში უკეთესი ბალახები და მცენარეე ბია, თუმცაღა არავინ რწყავს წყლით.

# რუსთაველის პროსპექტზე

მოსეირნე ხალხში სჭარბობს კოხტად გამოწყობილი ქალები. ესენია უღარიბესი ნაწილი ტფილისის მშრომელი ქალებისა. უფრო შეძლებული ვინც იყო, (მაგალითად პასუხისმგებელ მუშაკთა ცოლები და მისიანები),— საგარაკოდ წავიდნენ. საშუალო შეძლების ქალები „არტო"-ში, ან სხვა საზაფხულო ბაღში, ან კიდევ კინოში დადის. ტფილისის მუშა-მოსამსახურეთა უღარიბესი ნაწილი კი უმეტესად გარედ არ გამოდის. ზოგი მათგანი, რომელსაც მოუხერხებია და გარედ გამოსასვლელი ტანისამოსი შეუკერავს, რუსთაველზე გამოდის საღამობით სასეირნოდ; აქ ისვენებენ შრომისა და სიცხის შემდეგ.

რუსთაველზე სეირნობის დროს ყოველი ჩვენგანი სულ ცოტა 5 ვერსს მაინც გაივლის, მაგრამ დაღლილობას როდი ვგრძნობთ. ასეთია აქაური ჰავის გავლენა.

ერთ საღამოს, ძლიერი სიცხის შემდეგ რამოდენიმე ამხანაგები რუსთაველზე გავედით, აქეთ-იქით ვიარეთ და შემდეგ განაპირებით დავსხედით. პაპიროსს ვაბოლებდით და მოსეირნეთ ვათვალიერებდით. ჩვენ შორის ერთი ხუმარა გაბოც. ის ჩაფიქრებული უცქეროდა ხალხის მდინარეს, განსაკუთრებით აკვირდებოდა ქალებს და ზოგჯერ უშმაკურად გაიღიმებოდა. ბოლოს თითქოს უცბად გამოერკვა, შუბლში ხელი ითხლიშა და წამოიძახა:

— რა ბრიყვი ვარ! რა მეტრუკი ვარ!

— რა მოგივიდა, გაბო, რა აღმოაჩინე— შევეკითხეთ ჩვენ დარწმუნებულნი, რომ გაბომ რაღაც სასაცილო აღმოაჩინა.

— კაცო, ამდენი ქალები დარჩენილა ტფილისში და შეხედეთ, რა კარგად გამოიყურებიან: დღევანდელი პაპანაქება მაგათ არც კი მიჰკარებია. ჩემმა ცოლმა კი დამარწმუნა, რომ ის როგორც ქალი და სუსტი არსება ვერ აიტანდა ტფილისის სიცხეს, უეჭველად მოკვდებოდა და წაღვერში წავიდა დასასვენებლად, თუმცა სამსახური არც კი იცის რასა ჰქვია...

— გამოუცდელი ყოფილხარ, ძმაო, გამოუცდელი! ისე, როგორც გაგაბრიყვა ახალგაზრდა ცოლმა, არ კომუნისტი კაცი. ხომ იცოდი, რომ დამზღვევი კასა ისე არავის გზავნის აგარაკზე, თუ ექიმების კომისიამ არ გადაუწყვიტა. შენაც ავიღებდი და ასე მოვიქცეოდი. მაგრამ არაფერია—ჯერ ერთი წელიც არაა ცოლშერთული ხარ და, შენ ხომ დაკვირვების ნიჭს იჩენ, უეჭველად მალე შეისწავლი ცოლების ყოველგვარ ოინებს.

— ეს ხომ ასეც იქნება, ჩემო ვასო, მაგრამ სხვას რომ ჭკუაზე არიგებ, თვითონ შენ რაღას შვრები—ეს გამოცდილი კაცი, რომელსაც 10 წელი ცოლი გყოლია. შეგესწავლა ცოლის ეს რაღაც ოინები? ნუთუ ასე უნიჭო გამოდექით? თქვენი მეუღლეც ხომ წაღვერში ისვენებს, თუმცა აქ სამსახურში ის არავის უნახავს.

ვასო, როგორც გამოცდილი და სტაჟიანი ქმარი, რომელსაც თავის მოვალეობად მიაჩნია ახალგაზრდებს ცოლების ოინებზე ელაპარაკოს, იტიბარს არ იტეხს;

— უკაცრავად, ამხანაგო! მე ცოლი არსადაც არ გამიგზავნია. მე მხოლოდ ბავშვები გავგზავნე საგარაკოდ და თან დედა გავაყოლე.

— ჰა, ჰა, ჰა!—გადაიხარხარა გაბომ—ეს ძალიან კარგი, რომ შვილებზე ასე ზრუნავ, მაგრამ ერთი ესეც გვითხარი:— ბავშვებმა გაიარეს ექიმების კომისია, თუ მათი დედის დიაგნოზი იყო საკმაო ამ საქმეში?

— ბავშვებს რა კომისია უნდოდა? ბავშვებისათვის რომ აგარაკი აუცილებელია, განა ამაზე კრინტს დაძრავს რომელიმე მამა?!—ირონიით იმართლა თავი ვასომ.

და ამ დროს, თითქოს განზრახაო, რომ გაებათილებინა ეს უკანასკნელი საბუთი, გვერდით ჩაგვიარა ჰადარა პიონერების რაზმმა დროშებითა და ბარაბნით. მათი მხიარული სახე ამტკიცებდა, რომ ტფილისშიაც შესაძლებელი ყოფილა ბავშვების არსებობა ზაფხულობით, მაგრამ თურმე დედებისათვის უფრო საჭირო ყოფილა, რომ ბავშვები აგარაკზე გზავნიდნენ.

ოთხთვალა.

# ტფილისი.



ხშირად...

## შეუსრულებელი გადაწყვეტილება

ერთ დღეს გაზ. „ფუხარა“-ში ასეთი ქრონიკა წავიკითხე:

**ანასტასია გარბუნოვამ იყიდა კუბო, ჩაწვა შიგ და თავის მოკვლის განზრახვით მიიღო საწამლავი. ენერგიულ ზომების მიღების შემდეგ სიკვდილს გადაარჩინეს.**

მოდი და ასეთ დროში კაცმა მოიყვანე სისრულეში თავისი დაგაწყვეტილება! ათასი ვინმე გადაგეღობება წინ. ვის რა საქმე ჰქონდა ამ პატივცემულ ადამიანთან? კუბო და საწამლავი თავისი ფულით იყიდა, და ვის ეკითხებოდა მის საკუთარ საქმეში ჩარევა? რა უნდა უყოს ეხლა იმ კუბოს? გამყიდველი ხომ არ დაიბრუნებს უკან?! დარჩა საცოდავ ქალს კუბო ოთახში. ბაზარში და ქუჩაში ხომ ვერ გაიტანს გასასყიდად და ხომ ვერ დაიძახებს მემწვანილესავით:

— კაი კუბო, კაი კუბო...იყიდეთ ბატონო... იაფად იყიდება, ისარგებლეთ შემთხვევით-ო.

ასეთ ფიქრებში გავერთე,ამ ქრონიკის წაკითხვის შემდეგ.

— ვინ იცის რა მიზნებით აპირობდა საიქიოს წასვლას? ვინ იცის რა იდეა ჰქონდა მას და რას ფიქრობდა ქვეყნისათვის? მოდი და ნულარ იტყვი:

— კომუნისტები ყოველ გზაჯვარედინზე ხელს გვიშლიან.

რომ ასეთი სასტიკი ენერგიული ზომები არ მიეღოთ, ხომ არ დაზარალდებოდა პატივცემული ანასტასია?— არა, ეს კომუნისტები ხალხის მტრები რომ არიან, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ, თავის-თავსაც რომ მტრობენ?! ანასტასია გარბუნოვას კუბო აზარალებს, მაგრამ ეხლა თეითონ იკითხონ რამდენი იზარალეს. ანასტასიას მიზნების სისრულეში მოყვანით იშოვნიდენ ერთ ოთახს, ამ ეკრეჟიმის დროს დღიურად ორი გირვანქა პური და თავისი საჭამადი გადარჩებოდა და მესამეც ის რომ კუბოს ყიდვა აღარ დასჭირდებოდა დამზ. სალაროს.

არ გასულა ორი დღე, რომ ამ გაზეთში კიდევ წავაწყდი ასეთ ცნობას:

**„ელენა ნიკიფოროვას ჩამოეკიდა თოკი ოთახში და თავი ჩამოეხრჩო. მიზეზი გამოურკვეველია“.**

— ვაშა! ეაშა! ელენე,—აღფრთოვანებით დაეიძახე და ტაში შემოვკარი,—ყოჩაღ ქალო. აი ეხლა მიიღონ აბა ენერგიული ზომები !

**„დათიკო ყრუაშვილი თვითმკვლელობის მიზნით ზღვაში გადავარდა, მაგრამ გადაარჩინეს“.**

შეგარცხვინა ღმერთმა... შე ოჯახქორო თავის დახრჩობა თუ გინდოდა, ზღვაში რა მიგარბენინებდა, კინო არტისტი ხომ არ იყავი? ჩამოგეკიდებია თოკი ელენესავით. რაღა კომუნისტების გულის გასახარელი საქმე გააკეთე.

**ზუბიაშვილმა თვით მკვლელობის მიზნით თავი დაიჭრა, დაჭრილი მოათავსეს საავადმყოფოში, ექიმების თქმით ჭრილობა საშიში არაა.**

ეგ მეტისმეტია!—ვიყვირე მე და გაზეთი გვერდზე გადავაგდე.არა,ადამიანებო მითხარით რას გვიპირებს მთავრობა? ამაზედ მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. პირდაპირი და მალული ბრძოლა უნდა გამოუცხადო მთავრობას.—ვთქვი მე დავფიქრდი:

— ერთი გამარჯვება, სამი მარცხი, ელენემ გაიმარჯვა, მაგრამ სხვებმა სირცხვილი სჭამეს. ეს არ შეიძლება; სადაც ელენე,—იქ ყველა, დაეილრიალე და გადავწყვიტე თავი მომეკლა. გადაწყვეტა ეხლანდელ დროში ადვილია, ხოლო შესრულება კი—ძნელი. ჩემი გადაწყვეტილება კი აუცილებლად უნდა მომეყვანა სისრულეში.მაგრამ რა გზით, რა საშუალებებით ამაზე ცოტა არ იყოს დავფიქრდი.

— არა, როგორ მოვაწყო ისე რომ ვერ შემტყონ და ჩემი მოქმედება არ შებორკონ?.. თოკით დაეიხრჩო თავი? სად უნდა ჩამოვკიდო ის თოკი? გარედ ყველა დაინახავს

# ქუჩებში






უფრო ხშირად

ოთახი საკუთარი არ მაქვს, შეხიზნული ვარ სხვისას, რომელსაც იმდენი ბაღნები ჰყავს, რომ თავის დახრჩობას კი არა, ლუკმის გადაყლაპვას არ გაცლიან. ზღვაში ჩავარდე? ვინ დაგანებებს: დამხვჩალი რომ იყო, მაინც გაგაცოცხლებენ... აბა რა გზას დავადგე?

— „რასაც ეძებდე იმას პოვებდე-“ო, ამბობდა ბებიაჩემი ხშირად და ეს მეც ამიხდა.

**„ბათომში იყო შემთხვევები ციმბირის წყლულისა. ავადმყოფობამ ერთი კიდევაც იმსხვერპლა“**—წავიკითხე ერთ დღეს გაზეთში.

— ვენაცვალე ყარყანტოში იმ ციმბირის ჭირს. ეს სწორედ რომ კარგი საშვალებაა. მაგრამ, როგორ მოვახერხო და ვიშოვო ის? მოდი, შევეკითხები ექიმს თუ როგორ ჩნდება და როგორი ძალა აქვს? გადავწყვიტე და ის იყო ექიმთან უნდა წავსულიყავი, რომ წინ ვილაცები შემეჩეხნენ. ერთი ჩემი ნაცნობი გამოდგა.

— საქეიფოთ ხომ არ მისვალთ ბიჭებო?—შევეკითხე მე.

— საქეიფოთ კი არა, კაცო, კომისიაში ვმუშაობთ.

— რა კომისიაა, კაცო? ჯამაგირების მომატების კომისია ხომ არაა?

— არა,ძმაო; ხორცის კომისიაა, ხორცის. ციმბირის ჭირიან ხორცს ჰყიდიან თურმე და უნდა დავკეტოთ საყასბოები.—მე მასდაწვრილებით გამოვკითხე ყველაფერი და გავიგე რომ ციმბირის ჭირი ხორციდან გადადის, რომ იმის მორჩენა ყოვლად შეუძლებელია და სხვა.

— აბა აწი მე მკითხე. მაგაზედ ადვილი რაღაა: ვიყიდი ხორცს და ციმბირის ჭირიც მზად იქნება,—გადავწყვიტე ჩემს გულში. მეორე დღეს ბაზარში რომ გამოვედი, ძაღლები ქვებს ხრავდნენ ძვლების მაგივრად. მიკიტნები და სასადილოების პატრონები თავის ბაყვს იშინჯავდნენ კატლეტათ თუ გამოდგებაო. დიასახლისები, რომლებიც ხორცის საყიდლად გამოსულიყვნენ ბაზარში, პამიდორს ყიდულობდნენ. მეყასბეები ჩამომჯდარიყვნენ დახლზე და ეგიპეტის მუმიებისავით გაშეშებულიყვნენ. ხორცი არ იშოვებოდა.

მოდი და ნუ გაგიკვირდებათ! ხალხს არ აძლევენ საშუალებას თავისუფლად მოქმედებისას, ჯაშუში არ მყოლია რომ ჩემი მოსაზრება ეცნობებია მაგ ოჯახქორებისათვის და აბა როგორ გამიგეს?.. —არა უშავს: მუდამ უხორცოდ ხომ ვერ იქნებიან. ერთი მაგენსაც მიენატრებათ ხორცი და ვნახოთ აბა ვინ დამარცხდება. ესეც რომ არ იყოს, ჯერ მაინც არ მინდოდა სიკვდილი, ზოგიერთი სასწრაფო შესასრულებელი საქმეებიც მქონდა, სხვათა შორის ვერც ისე მოუმზადებლად მოვკვდებოდი. ზოგიერთი რამეებიც იყო საჭირო. თუ სანოვაგეს არ წავიღებდი, სწორი ამბავი მაინც უნდა წამეღო საიქიოს. ხომ იცით იქ ახალ მისულს შემოგეხვევიან და დაგიწყებენ ყველაფრის გამოკითხვას. ეს ცნობები ჩემს მიერ შეკრებილი იქნება არა უგვიანეს 15 დღისა. განზრახულ მაქვს ასეთი ცნობების წაღება:

1) როგორი წესია საექიმო დარგში.

2) როგორ ყურადღებას აქცევს კავშირები უმუშევრებს და საერთოდ თავის წევრებს.

3) როგორ ეპყრობიან სპეცები და გამგეები მუშკორებს და მათ წერილებს.

4) როგორი წესით ეძლევა ბინა უბინაოებს და რომელ შემთხვევაში.

5) როგორ ატარებენ მომჭირნეობის რეჟიმს ზოგიერთები და ვის ხარჯზე.

6) რამდენი ხნის შვებულება ერგება გამგეებს, თავმჯდომარეებს და სპეცებს.

7) როგორ შეიძლება ისარგებლო დასასვენებელ სახლებში წასვლით.

8) როგორ შეიძლება კვალიფიკაციის მომატება და ავანსების მიღება.

9) რამდენი ცოლი შეიძლება შეირთო კაცმა და რამდენი გაუშვა.

10) რამდენ ხელ შეიძლება რომ დასწერო გაზეთში რომ ყურადღება მოგაქციონ.

11) რამდენი თანხა შეიძლება ურთიერთ დამხმარე სალაროდგან გამოიტანო და აღარ დააბრუნო.

პ. ობოლი.

# ზაქოს ბანაობა

— „მონადირეთა კავშირი აპირებს ვერის პარკში მოაწყოს ზოოლოგიური ბაღი".

გაზეთის ქრონიკიდან.

— ვერის პარკთან ცივი წყლების გამყიდავმა მეფარდულემ ორი დიდი დათვი მოიყვანა, რომლებსაც აურაცხელი მნახველები ესევა.

თვალითნანახი.



— გაიგეთ ჩემი ორნი?—ვა, რა ფათერაკს გადავრჩი და! არა, რო ვიგონებ ხოლმე, ეხლაც გულის კანკალი მამდის და ჩემი ცოლი ოსანა კაპლების ბოთლიკას მამადებს ხოლმე ცხვირზედა, თუო:—უსუნე და გაივლისო!... ვა, ვა, ვა, ეს რა იყო ქრისტიანო, იმ ბემურაზმა რამოტელა პირი დაალო და... ის იყო რალა უნდა ჩავეკბიჩე სუფსარქისის წუმის კვერივითა, ჰამა მეც ყოჩაღათ მოვიქეცი, რასტერიატი არა ვქენი და ერთი ისეთი მოვკურცხლე, რომა ყარამან ყათილის რაშიც ველარ მამეწეოდა!...

გადავრჩი რალა, ჰამა, შიში და სირცხვილი კი ბევრი ვჭამე! ჩემა მზემ, ამისთანა ჟუტკი მამენტი ჯერ არ გამამიცდია რალა, გინდა დაიჯერე, გინდა ნუ! შარშან წყალკურთხევა დღესა ნეჩაიანათ ღვეროვიც კი გავაგდე, ჰამა ამ პრიკლუჩენიასთან მაინც ფას ყველაფერი!

ბარემ მოდი და ისევ თავიდან გეტყვით:

წელს ხომ აბრატნი ჩაფხული იყო; სიცივეებმა პირდაპირ ზაპლა წაგვართო და დაჩიდან ისევ ქალაქში ჩამოვედით, ვა, მოდი და ნუ ჩამოხვიდოდი: დუქანში რასხოდი ვშვრებოდით რალა, ისე ციოდა, რომ დაჩაზე ფეჩი გვენთო და დღეში მანეთის შეშის ფული გვეხარჯებოდა. ხანდისხან ისთი მაროზი დაარტყამდა ხოლმე, რომა ლოგინშიც ველარა ვთბებოდით და ოსანა პირდაპირ ტკიპასავით მამეკრობოდა ხოლმე:—ცოტა გაჩუჩუნდი რალა, რა ლედავიტი ოკიანი ჩაგძრომია ჯიგარშიო. ეს ჩვენი გეოს ფიზიჩესკი აფცერნატორიაც აცხადებდა, თუო: წელს სიცხე აღარ იქნებაო და ჩვენც საველი ვქენით რალა:—მოდი ქალაქს წავიდეთ, აქ რაზე ვიფინხებით მეთქი, ჩამოვედით, ცოტათი ძველები გაგვითბა და ისევ ძველ კალოტკაში ჩავვარდით.

ერთიც ვნახოთ, ნელნელა ისევ არ შაუკეთა! დაიწყო რალა ჰაკარაკი სიცხეები და ქალაქში პირდაპირ პაქარი გაჩნდა. დილით ჩემი ოსანა სტოვარს ნახშირით კი აღარ ადულებდა; დასდგამდა ხოლმე მზეზე და ხელათ მზათ იყო რალა. სულ დედაშობილა დავდიოდით, ჩვენ სახლში რო შემოგეხედნათ, ერეკლეს ადამიო გეგონებოდათ.

როცა ამ სიცხეებმა სასიკეთო პირი აღარა ქნეს, მე მტკვარზე სიარული დავიწყე საბანაოთა. ბანაობა კარგათ ვიცი,—ერთხელ ორთაჭალის ხიდიდან სიმთვრალის დროს შიგ შუა მტკვარშიც კი ჩავვარდი და ისე ყოჩაღათ მოვიქეცი, რომ სრაზუმათ არ დავიხრჩე—ვყვირი: მიშველეთ, გამათრიეთ მეთქი!

ეხლაც ისევ მამაგონდა ჩემი ჯეჰელობა და დილა ადრიანათ სატივოზე ჩავედი, ბორნის გვერდით, პატარა ოსტროვზე გავიხადე ტანისამოსი და იქვე წყლის პირში ჩავჯექი რალა! ვა, პირდაპირ ცხონება იყო, სიგრილემ ისე შამიარა ლიოხკებში, რომ სიამოვნებისგან ჩმამაღლა დავიწყე ქაქანი.

ერთიც ვნახოთ, ვიღაცა ახმახი წამამადგა თავზე და თვალების ბრიალით მებნება, თუ: რა პრავა გაქ, რომ მანდ ჩასულხარ საბანაოთაო! ვა, გიჟეს? ვებნები:—ძმაო შენ ეშმაკები მაზურკას ხომ არ გტანცავებენ. ათადან-ბაბადან ეს მტკვარი აქეთ მოდის, შიგ მთელი ქალაქის ფეხისადგილები იღვრება მილეთის ხალხი ისე ხმარობს, როგორც უნდა, ეს ჭუჭყიანი წყალი უდელნი იმენიე ხომ არ გახდა, რომ დამოუხა და ბაჟი დაადონ, შენ ვინა ხარ მეთქი.

თუო მე სპასიტელნი პუნქტი ვარო!—პუნქტი კი არა, თუ გინდა დეზინფექციონნა კამერა იყავი, ჩემს ბანაობასთან რა ხელი გაქვს მეთქი!

— მეო ისპოლკომის დამხრჩობ კამისიისაგან ჩოეზვიჩაინი პრავა მაქვს მოცემული, რომ ვინც ბანაობა არ იცის, მტკვარში არ გაუშვაო. ვებნები: ძმაო, ამ სიცხისაგან ლამის ტვინის პარალიჩი მამივიდეს, კვირაში ერთხელ აბანოში დავდივარ, ბანაობა როგორ არ ვიცი მეთქი. ცურვა უნდა იცოდეო. ვა, ტერპენია გამისქდა ჰამა, რას ურზამდი. ვა, დროებას რა უთხრა და! ნიკოლოზის დროს ძალით მარტო კატრეჟნაში მიჰყავდათ ხალხი, ეს ბოლშევიკები კი ამ სიბერის დროს ცურვასაც ძალით გვასწავლიან! ჩემა მზემ, არ გამიკვირდება, რომ ხვალ ტანცკლასის სკოლაშიც ძალით გამგზავნონ „პოლკა-მაზურკის" სასწავლებლად!

ბოლოს მეც შამეშინდა, ეს რალაც დამხრჩობი კამისია ყოფილა,—შარი არ მამდოს და არ ჩამამახრჩოს მეთქი, და ტკბილათ ვეკითხები:

— მაინც რა გინდა მეთქი!

— თუო აქ არ შაიძლება ბანაობა და ბორნის პირას, სადაც წყალი თხელია, იქ ჩაჯექი და მეც ნაბლუდენიას გიზამ, რომ არ დაიხრჩოვო! ვა, თურმე ჩემთვის სიკეთე სდომნებია და მე კი ვჯიუტობდი! გავყევი და იქვე ნაპირას თხელ წყალში ჩავჯექი. აქ ისეთი პატარა წყალი იყო, რომა, როცა შიგ ჩავწვებოდი ხოლმე, ჭიპი მაღლა მრჩებოდა და მზე პირდაპირ ღვიძლებში მარტყამდა—უდარისა თავზე ბაღდატი გადავიფარე და ხან აქეთ გადავბრუნდებოდი, ხან იქით.

იქიდან ვხედამ; რომა ამ სატივოს პარკის წინ, პატარა ბუტკასთან მთელი მილეთის ბავშვები ირევიან და კივილ-ხივილით პირდაპირ ზაპლა მიაქვთ რალა! ხომ იცით, ამ სატივოს ზვერინეცათ აკეთებენ და ორი დიდი დათვი უკვე მოყვანილია რალა, რომ ხალხი ახლავე შააჩვიონ, იქით რა გამატარებდა, მაგრამა, ვისაც კი უნახამს, ყველა ამოფს, თუ აფრიკანცკი დათვები არიან და თითო კაცი ორ ლუკმათ არა ჰყოფნითო. დიდი ჯაჭვებით უბიათ რალა და შორიდან თურმე თითო პორციაზე თითო ბარკალს უგდებენო. სანახავათ ექსკურსიები მიჰყავთ, რა არი ნადირი ნახონ! ვა, ყურუმსალ, მთელი ხალხი ისედაც განადირდა, ამათ რალა ნადირების ნახვა უნდათ და!

ამ წყალში რო ვწევარ, უცბათ დუხოი მუზიკამ დაუკრა, მე თვალებსაც კი არ ვახელ და მგონია, რომ ვერის სასაფლაოზე ვისმე მარხამენ, ალბათ ამ სიცხისაგან ტვინის მინინგიტი მოუვიდოდა მეთქი. მაგრამ, ვნახოთ ამ ბუტკასთან ატყდა უჟასნი ყვირილი და წიოკობა:—ჰარიქა, თავს უშველეთ, გაბრაზებულიაო,—და თან გარბიან! გავიხედე, ჰამა რას ვხედამ: ამ ღოროტოტოს ხმაზე ერთი

დათვი დამფრთხალა, ჯაჭვი გაუწყვეტნია და პირდაპირ ჩემსკენ მორბის რალა! ვაჲ, თავში სისხლმა პირდაპირ ლიხტრიცკის ტოკივით დამარტყა და ფეხები ამიკანკალდა, სრაზუმ კუჭი მამეშალა რალა!... კიდევ კარგი, რომ ტანისამოსი ზედ არ მეცვა, თორემ შენ სირცხვილი მაშინ გეთ... ახრიზამანში ვილუპები რალა ამ აფრიკანცკი



დათვის ხაშლამათა ვხდები,—ენა ძლივს მოვიტრიალე და ამ დამხრჩობ კამისიას უყვირი:—გამაქცუნეთ, გამაქცუნეთ, თორემ დათვმა შამჭამა მეთქი! ბან ჩუნის! თითონ პირველი გაქცეულა! ეს დათვი კი მიახლოვდება: ვაჲ, მართალი უთქომთ რალა, „გაჭირება მაჩვენე და გაქცევას გიჩვენებთ“! ერთი იყვირი მოვკურცხლე, რომა ეს ჩასაყლაპათ პირდაღებული დათვი სრაზუმ უკან დამჩვდეს. ჩემი ტანისამოსი იქ დარჩა და ტიტლიკან ლავეშვი ამ ვერის ხიდისკენა! უკან ხალხი და გოგო-ბიჭები მამდევენ, ვიღა ვგონივართ რალა, ზოგი იცინის, ზოგი რალაცეებს მაძახის,—ჰამა უკან მიხედვას რა გამაბედვინებს, მე კონკის სტოლბებიც კი დათვები მგონია.

ზემელის აფთრიაქთან რო მოველი, მანდ დეჟორნიკების ბატალიონი დამეხვია:—აქეთ არ შაიძლება გავლა—სტოლბის უკან მოუარეო. აქ ნამდვილი პარალიჩი მამივიდა რალა და დავეცი. მერე, როცა გონებაზე მოველი, მზე უკვე ჩასული იყო, ვიწექი და თავზე ოსანა ტირილით მადგა—თურმე სკორი პომოშჩით ბალნიცაში გამაქანეს!

ეს ორი დღეა, რაც ბალნიციდან გამოველი და ჯერ ისევ პელეთ-მელეთი მამდის, სარკეში რო ვიხედები, ჩემი ატრაჟენიაც კი დათვი მგონია. ჩემი ტანისამოსი იქ დარჩა და ალბათ იმ დამხრჩობმა კამისიამ წაიღო! ერთი, პაჟალუსტა, პატივს დამდებთ და „ტარტაროზში“ ჩაადებთ, რომა იმ ტანისამოსის ჯიბეში ბაშლორთი და რამეები იყო და ის მაინც დამიბრუნონ, თორემ მე ამ ზვერინეცისკენ პირისმქნელი აღარა ვარ, ერთხელაც ყისმათზე გადავრჩი!

ფარსადან.

# „ლიტერატურული გასამართლება“

## გურჯაანი. აშკრა სინამდვილიდან

შვიდ წელიწადში ერთხელ გაიღება ჩვენი სახალხო სახლი, რომელიც ინვალიდია და ყავარჯნებით სდგას ჯერ-ჯერობით კიდევ.

ამას წინად (ალბათ შვიდი წლის თავზე) ეღირსა ჭვლავ-კარების გაღება.

ერთ მშვენიერ დღეს ასეთი განცხადება გამოაკრეს:

**პარასკევს გურჯაანის სახალხო სახლში ლიტერატურული გასამართლება „როსკიპი“-სა.**

ზღვა ხალხი მოაწყდა... ყველას უშინოდა სახლში შესვლა—ვაი თუ თავზე ჩამოგვენგრესო და ამოგვსწყდეთო, მაგრამ მაინც გაბედეს შიგ შესვლა. დარბაზში მეფობდა ეკონომიის რეჟიმის სული: სკამებს ოთხი ფეხების მაგიერ, სამი ან ორი ჰქონდა, ფანჯრებში მინები ზედმეტად ეცნოთ და გამოეღოთ. (თუმცალა რა საჭირო იყო, როცა იქ ფახს იშვიათად დაადგამდა ადამიანი, ვითარცა უდაბნოსა შინა). ამ მდგომარეობას ხალხი ყურადღებას არ აქცევდა და გულის ძგერით მოელოდა ფარდის ახდას. არც ისე დიდი ხნის ლოდინი დასჭირდათ: ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, როცა ფარდა აიწია; ოთხი ხელმარჯვე ბიჭი ძლივს მიათრევდენ.

საქმე დაიწყო. დაკითხულ იქნა მოწმე, რომელიც ისე შევიდა აზარტში, რომ თვითონაც ვერ გაიგო თუ როგორ მიისაკუთრა ბრალდებულის როლი. აღარც დამცველმა იკითხა, თუ ვინ იყო მისი მოპირდაპირე. დაიწყო კამათი. ამ დროს თვითონ ბრალმდებელი ზის და ამთქნარებს, რასაც ძილის იშტაზე მოჰყავს სასამართლოც...

მაგრამ მოგეცეთ ლხენა დამცველმა ბევრი ილაპარაკა. ამ უკანასკნელმა გააცნო ხალხს მთელი მწგნობრობა. წიგნები მაგიდაზე ეწყო. წაუკითხა ხალხს ვეფხის-ტყაოსნიდან რამოდენიმე ფურცელი, შემდეგ ვისრამიანი, აგრეთვე ციტატები მოიყვანა ბიოლოგიის და მათემატიკის სახელმძღვანელოებიდან. იქვე ედვა აგრეთვე სამზარეულოს წიგნი, მაგრამ საზოგადოება კმაყოფილი იყო და მისთვის ხელი არ უხლია. სიტყვა ასე დაასრულა:



— მაშასადამე: ბრალდებულს უნდა მოეხსნას ბრალდება.

და ეს ისეთი რიხით წარმოსთქვა, რომ სასამართლოს გამოელვიძა... და ბრალდებული გაამართლა.

სულეიმან ბეჴერგანი.

# ზღვაზე



— ჩემი ნაცნობი მოდის აქეთ! ვაი, თუ შემნიშნოს, რომ შარშანდელი ქუდი მხურავს!

## ფოთი

(ერმილეს სიმღერა)

მე ვარ და ჩემი ნაბადი
გამთენებელი ღამისა.
თვითმშრომელთ კავშირს მივადექ,—
მიღება მსურდა დრამისა,—
მაგრამ იქ მიშა დამიხვდა
მთქმელი ათასი რამისა...

გამაპანღურა... საჩემოს
ვერაფერს გავკარ კბილია,
და დავწანწალებ, თუმცა ჯერ
ველარსად ვირგე წილია...
(დუმაა მთელი ქვეყანა
სახრავად ერთობ ტკბილია!)

ჩვენში დარჩეს და ერთხელ მე
საქმე გავაწყე მსხვილია:
საბჭოთა საწყობებიდან
გამოვალაგე ფქვილია,—
და ბედის ჩარხი პირწალმა
შემოვაბრუნე წბილია...
მაგრამ სულ მალე მიჩვენეს
ჩეკის სარდაფი გრილია...
ეხლა ვარ თავისუფალი
ალარაფრის მაქვს შიშია,
ღმერთმა ამრავლოს ყველგან
ჩემი გვარი და ჯიშია.
ველარ დამაკლებს ვერაფერს
ათიც ჩამიდგეს ჟინშია;
ნათელ-მირონის ჭირიმე,
რომ მშველის გასაჭირშია.

ვის რა საქმე აქვს,—თუ შეგირდს
ცხრაფა ტყავს ვაძრობ და ვძღები?..
ვანოა ჩემი მწვრთნელი და
ტკბილი სიმღერის დამწყობი...
პლატონ, სოლომონ, არშაკიც
ჩვენი ჯგუფის არს ნალები,
ესენი მიპატრონებენ
თუ შემომაცვდა წაღები...
მაშ გზა მიტიეთ... ვერ ითმენ
მოწინაღმდეგეს სულია;
ხანში შესული კაცი ვარ
დრო და ჟამს გადასულია..
არ მინდა ვნახო მარცხითა
სიცოცხლის დასასრულია...
მტრებო!.. ოხ, მტრებო, ისევ ვარ
მე თქვენზე გაბასრულია!...

ატრუა

# ელექტრო-შუშა

მას შემდეგ რაც დაცოლშვილდა ყარამან, ერთხელაც არ ყოფილა სოფელში. მშობლები ხშირად სწერდენ შვილს და უცნობ რძალს და სთხოვდენ სოფელში ჩასვლას, მაგრამ ყარამან მაინც ვერ ახერხებდა თავის და მშობლების სურვილის ასრულებას—სოფელში წასვლას.

ახლანდელი ქალები ოჯახში არ შაძეიშვება... შვილი დამიკარგა და წამართვა რძალმა,—ამბობდა ყარამანის უკმაყოფილო დედა-მმა.

ლუკამ—ყარამანის მამამ გადასწყვიტა თვითონ წასულიყო ქალაქში და ენახა დაცოლშვილებული შვილი. ცოლმა ხურჯინში ჩაულაგა ძღვენი რძლის და შვილისათვის მისართმევი და ლუკა გაუდგა გზას.

მოულოდნელი იყო მამის სტუმრობა. მაგრამ სირცხვილი მაინც არ უჭამია ყარამანს მამის წინაშე.

ლუკა ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე უთვალთვალებდა რძალს და, როგორც ცოლმა დაუბარა, მისხლობით სინჯავდა მის საქციელს. მიხვრა-მოხვრას და საქმიანობას.

არც ისე ურიგო ქალი ყოფილა. როგორც ჩვენ გვქონდა წარმოდგენილი,—ფიქრობდა ლუკა სუფრაზე სა[illegible]. როცა რძალმა ჩაი [illegible] სიდამ[illegible]



ლუკამ აიღო და ქიქა ისე ათიოდე ნატეხი შაქარი ჩაყარა. მას უნდოდა გაეგო: კრიჟანგი იყო თუ არა ქმრის მშობლების მიმართ რძალი. თუ კრიჟანგი იქნებოდა, მაშინ სიმამრის ასეთი საქციელი ეწყინებოდა რძალს და რამეს ეტყოდა... მართლაც არ მოსტყუვდა ლუკა თავის ფიქრში.

— რა ამბავია, ბატონო, რომ ჩაიში ამდენი შაქარი ჩაჰყარეთ?!—გაკვირვებით და გულუბრყვილოთ შეეკითხა რძალი.

— ამ მდუღარე წყალს შაქრის ხათრისთვის ვსვამ თორემ წყალს ჩემს ეზოში ცა-და ქვეყაყნას მიაქვს—მიუგო ამაყად ლუკამ რძალს და კოვზი აამუშავა ჭიქაში. ეს იყო პირველი გამოცდა.

როცა ჩაის მორჩენ და ივახშმეს, ლუკამ ყარამანის ნაყიდი პაპიროსი ამოიღო და ელექტრო შუშას მიადო ცეცხლის მოსაკიდად.

ყველას სიცილი წასკდა.

— მამა, ეს სხვანაირი ლამპაა და პაპიროსს ცეცხლს მაგით ვერ მოუკიდებ,—უთხრა ყარამანმა და ასანთს გაუქნია.

— კი მარა, ვინაც ასეთი კაი საქმე გამოიგონა, ბარემ ისე გამოეგონებია, რომ შესაძლებელი ყოფილიყო პაპიროსის მოკიდებაც... ისე ურიგო საქმე კი არ არის... აი ერთი ლამპა უნდა გამატანო სოფელში; ნავთი არ დამ-



ჭირდება და „სფიჩქა". ჩამოვკიდებ კუთხეში და მთელ სახლს გაანათებს.—

ამაზეც ბევრი იცინეს, მაგრამ ლუკა მაინც ვერ დააჯერეს, რომ შუშა იქ არ გაანათებდა, რომ ამისათვის საჭიროა ელექტრონის ენერგია.

— შენ მომეცი და თუ არ გაანათებს, ქე დაინახავ მაშინ... თქვენ სოფელს მასე ნუ უყურებთ... აქ თუ ანათებს, იქ რა ღმერთი გაუწყრება?!.

...და როცა ლუკა სოფელში გაბრუნდა, თან წაიღო ერთი ელექტრო შუშა.



— ყველაზე უფრო უკეთესი, ქალო, აი ეს „ლამპოჩკა" არის... როგორც კი დაღამდება.მაშინვე აენთება, ნუ გეშინია არ უნდა ნავთი და „სპიჩკა"...

და როცა იმავე ღამეს დიდხანს უყურეს, ელოდენ სასწაულს—ელექტრო შუშის განათებას, მაგრამ მთელს სახლში მაინც ბნელოდა. ამ დასკვნამდი მივიდა ლუკას ცოლი:

— გადაირიე ბერა?! ხეირიანს რამეს გამოგატანდა ჩვენი რძალი?!

— ქალო, რომ მოვდიოდი, იმ ღამეს კი ანათებდა აი „ლაპოჩკა" და ახლა რა ღმერთი გაუწყრა?

— წაახდენდა, წაახდენდა, არ გემის?—

— მართლაც რომ ასე იქნება...

**პინჟარი.**

# სკოლაში



მასწავლებელი (მოწაფეს): ვაჭარმა იყიდა ხუთი მეტრო ლურჯი შალი და მისცა 27 მან. 50 კაპ. როგორ უყიდია ვაჭარს ერთი მეტრო შალი?... აბა, შენ მითხარი არონ ბუზიაშვილო.

მოწაფე: თუ ტრი ტისჰიტრეტი იყო კონდრაბანდი, ბატონო უჩიტელო, ხუთმეტ მანეთს მისცემდა მეტროში; ასე ყიდულობდა მამა ჩემიც ვადაი!..

# ნატანები

შენი ჭირიმე, ტარტაროზ,
ჩვენსკენ იბრუნე პირია.
ხომ იცი შენი ჩანგალი
ნატანებს როგორ სჭირია.

იცოდე შენთვის მზად არის
ფეშქეში საჩუქარია..
მატარებლიდან ჩამოხტები,
ზემოთკენ ჰქენი მხარია.

ხელთ მოიმარჯვე ჩანგლი,
ვერმანეს იახელია...
დახლში ზის—ფულებს უცქერის.
მაგრამ წაავლე ხელია.

უთხარ: ეს რაა? რად გიწყია—
ნარდი და კამათელია-
შენებრი ჩარჩი ვაჭარი
მე ბევრი მომითელია...

დამალვას შეეცდებიან:
რაჟდენ, ანტონ და კოლია.
გრიგოლ—გიორგი გაჰყვებათ...
(ესენიც მათი ტოლია);

მოინდომებენ გაქცევას,
(იციან თოხარიკია),
მაგრამ იმათსაც აუწყე
ჩანგლისგან კუდის რიკია.

ტარტაროზის მოციქული.

# ?!?

## ბზერადფა კონსტრუქცია, ანუ ახალი მიმართულება ლიტერატურაში.

(ზოგადი პაროდია).

ტიტიკომ ტიტინით ტვინი ტინს უტია,
ტაატით ტირიფის-ტების პირად დასტოვა...
ეს კატა იმ კატის ტანსუსტი კნუტია,
ტმასვნით და კრუტუნით ტუტკო რომ აწოვა.

დათვნის ქვეშ დერეფნით დუდიან დედლებით,
დაფრინდა დუნდუხი, დეზანა მამალი,
დააფრთხო, დააცხო, დასტკეპნა ტერფებით
და დიდი დაჭბადა დაშლა, და დამალვა...

წავიდა წივილით ჭაწია წიწილა,
წითლო წუხილი, წვა-დაგვა, წამება...
წითელი წიწაკა, წვერთ აქვს წინწილა,
წუთხვა ეს წვენი, მწვავს, არ მიამება.

გადადგმით გოდორი, გიდლით და გიტარით,
გაისი გაიქცა ჯიგანტურ გრძელებით...
გალიმა, გოგილო, გორს გადმა გიცანით,
გფარავდათ გომბურ და გვიმრის ფოთლები.

ახლა კი ახია ამ ახმახ მახაზე,
ახალი ხალათით ახალობს რომ ხეხავს,
ეხიოს ბრიოტინით პირმახვილ მახათზე,
ხალხი ხელს არ ახლებს, ხელობს, ხეს მოხეთქავს!...

რა არის ართვინის არქაულს არეში,
არიფთა ამქარის აფთრული ლოწინი?
არა თუ არა მსურს არსად ეს თარეში,
არამედ არ მინდა არც არლის წიწინი!!

იმ!..

# შორაპანი

(ხალხურ კილოზე).

სამშაბათ დილა თენდება, საყუდში სიცხე დგებაო;
ტიპ ქელეხსაშვილი ხაჩქაროდ გამოჩნდებაო;
„ვალიფიანი" შარვალით „პოლკოვნიკს" ემსგავსებაო;
შემოუყვირებს ზეინკლებს, ფანჯრის მინები ტყდებაო.

თქვენ არ მუშაობთ, ზარმაცობთ, მე „მშრომელს" გული მწყდებაო,
ორთაქლმავალს როცა გარეცხენ, მას ლუქი დაშვენდებაო,
მუშებმა უთხრეს:—უფროსო, ეს თქვენ არ გეკადრებაო,
თუ ფული თქვენ არ მოგვეცი, ცოლშვილი დაგვიწყდებაო...

ამაზე ქელეხსაშვილი ცეცხლივით აინთებაო,
მე რასაც ვიტყვი, ასრულდეს,—ეს არის ჩემი ნებაო.

სალოკ თითსა და შუა თითსა წამს ცერი გაერევაო,—
სამ თითის კომბინაცია, მუშების ცხვირწინ ჩნდებაო.
ამაზე ჩვენი მუშები ზღვასავით აღელდებაო,
წამს ადგილკომში გაჩნდება საერთო განცხადებაო;
კინტო, ჯიბგირი უფროსი თუ ჩვენ არ მოგვშორდებაო,—
მაშინ თვით წავალთ ჩვენა და საყუდი შას დარჩებაო.
ახლა შენ იცი, ადგილკომ, ამ ჯაფას რა მოუნდებაო;
წელში ჩანგალს ჩაარჭობ, პროფკავშირიც იამებაო.

წყეული.



# მურმანი აგარაკზე



ამაღამდელო ღამეო,
ნუ გათენდები მალეო;
შაბათ-კვირა მოახლოვდა—
ქმრები ამოვლენ ხვალეო.

# სიტყვა და საქმე

(კირცხი ზუგდიდის მაზრა)

ერთხელ მხოლოდ, ისიც ცხადად
ჩვენი დრამ-წრის ვნახე კრება;
გეფიცებით მათი ნახვა
ერთხელ კიდევ მენატრება.
ტახტზე იჯდა გამგეობა,
სწავლულების მთელი წყება.
კლუბის (ყოფილ ეკლესიის)
სადაც ხდებოდა მირონ-ცხება.
ტროსტები და ცილინდრები,
სარტჩკები ამშვენებდა...
თავმჯდომარე სჭექდა სიტყვით,
სულ კედლები ზანზარებდა.
„ყველამ... ყველამ გაიგონეთ,
რომ კულტურა ფეხზე დგება.
ძველ და ახალ ცხოვრებისა
საოჯედ კლუბი შეიქმნება“.
ცილინდრები ირხეოდნენ
და დარბაზი ლაღლაღებდა,
რომ ძველსა და ახალს შორის
უკვე საზღვარს გაადებდა.
გამიკვირდა... გამიხარდა...
და დავლოცე დაბადება...
ო, ეს რა დროს მოვესწარი:—
ეს სოფელი განათლდება.
სტირის სცენა... აფრქვევს ცრემლებს,
უპატრონოდ სული ძვრება...
სად არის წრის გამგეობა?!
(ფარნით ძებნა დასჭირდება)-
შიგ ფრინავენ ღამურები,
ფროთოსნებისა დაჭქრის დრამ-წრე.
თაგვნი, რწყილნი და მწერები
ტაშს უკრავენ მათი დამსწრე.

ცხვანტი



# ესიკას მოხსენება

ამფხანაკებო:

თქვენ რომ ამირჩიეთ თვარა, ვსცვითე აქედან თავი ძაღლის იალონზე ლანჩხუთის სტანციაზე; მოვახტი ექსტერნი პოეზდს ქეჩოზე და მეორე დილას ფხუკა მუადინე ტფილის ქალაქს.

ჩემი ბატონი შენ ხარ, მარა გავშტერდი კაცი. ქონებიათ იმ კაცებს ქარვასკლები, მარა რა ქონებიათ! აგერ ირევა წყალი და ღვინოსავით ქალი და კაცი; აგერ მოჯირითობს ტრამვაი; განიდან ცოფიან ძაღლივით გამოშპა ავტომობილი; აქეთ ბრივი-ბრივი, იქით ხრივი-ხრივი და რა ვიცი... მარა ამ ამბავს მე ვერ გავათავებ წითელ პარასკევამდი,—და მივედი საცხა მისავალი ვიყავით...

კაი დაგმართოს, კაი პურ-ღვინის ხალხი ყოფილან აი ბოლშევიკები; ესიკავ მობრძანდი, ესიკავ დაბრძანდი, ესიკავ მიირთვი და მე რა ვიცი, რა გინდა სულო და გულო...

მეორე დღეს წაგვიყვანეს გამოფენაზე... მარა ჩემი ბატონი შენ ხარ, ნუღარ მკითხავ რაც იქინე ვნახე... აი დუნიამელექეთის ხალხი აქანია ყველა. მეუტანიენ, მარა რა მეუტანიენ!!! რას ნახავს კაცის თვალი... აქანე ჩვენ ზაქარიეს ასალოს გამოტლაჟილმა თოხმა რომ ჩამოგვიგდო კიმკიმაი, უნდა შევიდეს ჩვენს თავში რაცხა... მთავრობაც დაგვეხმარება და ერთი იმისანა ტრაქტორი უნდა შევიძინოთ.

შხანკოლა.



## მინა... ჩიჩიკოვი

გოგოლის ერთი გმირი—ჩიჩიკოვი მიცვალებულის სულებს ყიდულობდა. მის შემდეგ ეს ხელობა და ფეხზე ვაჭრობა არავის დაუწყია... ხოლო ეხლა საჯავახოში გამოჩენილა ჩიჩიკოვის მემკვიდრე. ეს გახლავთ მინა. რა საჭიროა მისი გვარის დასახელება, როცა ყველამ ვიცით, რომ იგი საბჭოს წევრია... ჰო-და ეს მინა, თურმე, ოხტომისპირელის სიტყვით:

**ამას წინედ მიცვალებულს**
**(მომკვდარიყო ვინმე ჯაში)**
**თვის ეზოში დასამარხად**
**იარაღით დახვდა გზაში...**

ეს კიდევ რა არის. დეკრეტი გამოუცია და ყველას უკრძალავს მის ნებადაურთველად სიკვდილს. ხოლო ნებართვას მაშინ მისცემს, თუ კი სასიკვდილო პიროვნება წინდაწინვე მიჰყიდის სულს, რომელიც მოთავსდება მის ეზოში.

## პური ჩემი არსებისა

ერთი წითელი არმიელი მე-6-ე ლეგიონიდან ასეთ ცნობას გვაწვდის:

**წითელარმიელმა შ... პური მოიპარა, (უკაცრავად, მალულად აიღო) და ბურთში დამალა შკაფს ქვეშ. ღამით ადგა, ფეხზე პირსახოცი დაიხვია, რომ ხმაურობა არ ექნა და გამოაგორა ბურთი, (ასეთი შემთხვევა ხშირი იყო), მაგრამ ბურთი გაგორდა მორიგეს შეუგორდა ფეხებში... ყველამ გაიგო...** და სხვა.

როცა ამ წერილს ვკითხულობდი, ლევარსი როხროხაძე რედაქციაში იყო და ამ წერილის შესახებ ასე სთქვა:

**—სულელი ყოფილა... რაღა ბურთში დამალა?! მუცელში დაემალა.**

## დაუპატიჟებელი სტუმარი თათარზე უარესია, *)

ასე ამბობს თქმულება.

ჰო-და ასე მომხდარა სოფ. სვან-სუბანში:

**იელისეს დღეობას—გვწერს ჯუმათური კვიცი—დიდი ამბით ხვდებოდენ უწინ მცხვრებლები... მაგრამ წრეულს არ გაუმართავთ ის დღეობა... დაჩვეული **) სტუმრები მაინც ესტუმრენ სავან-სუვანელებს. მიადგენ ეკლესიის გალავანს, მაგრამ უკაცრავად: გამოკეტილი დუხვდათ. რა ექნათ, შიოდათ და ისევ სახლისკენ გაიქციენ ***) თვითონაც ამბობდენ გაქცეული სტუმრები:—რა მიგვარბენინებდათ, როცა არ გვაპტიჟობდენ... ახია ჩვენზეო... ****)**

---

*) საკვირველია: რატომ თათარი და არა სხვა ვინმე! დღევანდელ ცხოვრებას, რომ შეუფარდოთ ეს თქმულება, ასე იქნება

**დაუპატიჟებელი სტუმარი ფრანგზე, ესპანელზე, ინგლისელზე, იაპონელზე და სხვეზე უარესია... და ეს იმიტომ, რომ ესენი დაუპატიჟებლად ესტუმრენ ახალშენებს.. და მასპინძელი გარედ გამოაგდეს.**

**) მგონი სჯობდა, რომ ამ წერილისათვის ასეთი სათაური მიგვეცა: **ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია.**

***) მგონი ყველას სჯობდა, რომ ამ წერილისათვის ასეთი სათაური მიგვეცა: **როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო.**

****) რაც მართალია-მართალია: ამ წერილს ყველაზე უფრო შეეფერება სათაური: **რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.**

## ჭიქა ღვინო... თუმანი

არავის ეგონოს, თითქოს ვინმე ამერიკელმა მილიარდერმა მისცა თუმანი ჭიქა ღვინოში; ანდა ეს ღვინო უკვდავების ღვინო იყო; ანდა ეს ამბავი ფუნიკულიორზე მოხდა... ასე რომ იყოს, მაშინ აქ საკვირველი არაფერი იქნებოდა... მაგრამ ასე არ არის.

ეს მოხდა სოფ. გლდანში. (ტფილისის მაზრა).

თემაღმასკომის თავმჯდომარემ გიორგობიანმა უბრალო საქმეზე ღარიბ გლეხს თუმანი ჯარიმა გადაახდევინა... და ამ თუმანმა ბლომად ჩამოდგა სავსე კვარტები... ხოლო ამ კვარტებიდან მაისურაძეს ერთი ჭიქა ღვინო ახვედრა გიორგობიანმა... ყოჩაღ მას,—სინდისი უხმარია; ჭეშმარიტად ნამუსი კაი საქონელია.

# განცხადებები

---

**რუსთველის პროსპექტზე ლაღიძის წყლის პირდაპირ-წინ დაარსდა ბიურო**

## ცოცხალი პრეის-კურანტი

**არტელში შედის მრავალი მუქთა-ხორები, უსაქმონი და მოხეტიალენი, რომლებიც დღეში ოცდაოთხჯერ აათვალიერებენ-ჩაათვალიერებენ რუსთველის პროსპექტზე ყველა ვიტრინებს და ზეპირად იციან:**

**სად რა საქონელი რა ფასში იყიდება.**

**ბიუროს აქვს თავისი მთავარი განყოფილებები „ბორჯომის წყლის“ სავაჭროსთან და მუშკოოპის პასაჟთან.**

---

**გამოცდილი გამფლანგველი,** რომელიც ახლახან დაბრუნდა ციხიდან შეღავათიან ფასებში ასწავლის გაფლანგვის ხერხს და სისტემას ახალ ყაიდაზე. ვინაიდან მსურველები ბევრია, ამიტომ განსაზღვრულია მისაღებთა რიცხვი. ჩაწერა კიდევ გრძელდება.

---

**ავტომობილთა მიმოსვლა** აგარაკებსა და საიქიოს შორის მოაწყვეს შეზარხოშებულმა შოფერებმა. გასვლა ყოველ შაბათ-კვირაობით და სხვა დღეებშიც.

---

**ამ დღეებში სავაჭროები მიიღებენ მიტკალს** რომელიც დაურიგდება გამგეებს და ნოქრებს.

---

**როიალი და პიანინო** მინდა ვიყიდო, მაგრამ ფული არ მაქვს. ვისაც სურვილი გაქვთ მაჩუქოთ ან მიყიდოთ მომიტანეთ ბინაზე.

---

**ბინა** ვისაც უნდა უფასოდ, მიმართოს პირველ გამსახლს.

---

**ვეძებ ამხანაგს** რომელსაც ექნება დიდი სავაჭრო და მონაწილედ შემიყვანს; საქმე მომგებიანი და უარს არ ვიტყვი.

---

**კბილის ექიმი** ვაძრობ კბილებს მომჭირნეობის დასაცავად და ხარჯების შესამცირებლად.

# მიმართვა

## ეხანკოლას უსტარი ჩვენი სოფლიდან წასულ გავშებს

ჩვენო საყვარელო და სანახავად სანატრელო სოფლის მეწუნიებო და ქალაქის მოტრფიალენო, ბიძებო და ბაბუებო და კიდევ ზოგნი ძამიებო,—იყავით კოჩხლად და გამოკერკეცებული.

სხვა, ანიჩქას ეთქვა ოლიჩქაიაზა, რომე: აი ჩვენი ბიჭიზები იმისანა შეიქნენ, იმისანაი რომე: პრიამო პრელესო (აი სიტყვები ვერ მივხვდი, მარა რაცხა კაი უნდა იყოს). ლხინში იცეკვებენ, დროზე იმღერებენ. უყვართ ნარდი, კარტიო, ნინა, ვერა, ფასტიო, დამებს ხალს გვიყრიანო, ფულებს ოხრად ყრიანო...

ისე თქვენ გახარდით, რავაც მე გამახარა თქვენმა კამ ამბავმა... მარა ერთი კაი [illegible] არ იყოს: ტყულათა გვექებით და არაფერს გვერგებით... დეიხოცეთ კარზე ფეხი და უკან აღარ იხედებით; აღარ კითხულობთ,—მოვრჩით თუ მოვკვდით... დევიჯერო, რომე სულ არ მოგენატრებათ ტყემალი და ჰიჭლაყაი? თქვენ და თქვენი სინდისი. რა დიდი ზორია.—თქვენს ოჯახს თითო გაზეთი გამოუწეროთ, თითო წიგნი გამოუგზავნოთ ჩვენს გამოხინკილებულ სამკითხველოს.... მაქანე ყველას უთხრათ, რომე აი ჩინთი და მჭადი ორი კაცის დაფასებაზე გადაგქინაცლონ. ერთი იმისანა დოხტური გამოგვიწერე, რომე თავის წამალს ფეხზე არ გვადებდეს და ლევერველს არ გვიზაპუნიბდეს თავზე ბარამიძე დოხტურისავით და დანელია უჩიტელისავით...

ჰო-და პაწაი გაგვიხსენეთ, თვარა ქალაქი გიზამს ვინცხას ქალაქურს. მინუთში მოგისპობს ქადა-პურს... ბევრჯერ თვალით უნახავს თქვენს შხანკოლას ბერიას.—ქალაქში ტყავგამშპარი აკითხავდა კერიას.



არა [illegible] და ძოსაწონიც. ყველა ამის შემდეგ, რომ თქვენი წერილი უფსკერო გოდორში წავიდეს, ეს თქვენ არ გაიოცოთ.

სალი-კლდეს (სა[illegible]იასერი) ნუ გეშინიათ! ჩვენ შევინახეთ როგორც თქვენი ვინაობა, ისე თქვენი წერილი „საიდუმლოთ"; ასე, რომ ვერავინ ნახავს და წაიკითხავს.

ისკიდაგრას (დ. საჩხერე) იცი რა გითხრათ! „ვარიები... გოჭი... ღვინო" სამ ძმებს კოოპერატორებს კი არა.—ტარტაროზსაც არ აწყენს... და ამიტომაც ვერავითარ საყვედურებს ვერ ვეტყვით სამ ძმებს, რომლებშიც (თურმე) იგულისხმება: გიორგი გაფრინდაშვილი, სპირიდონ და აბელ ზაბახიძეები... ხოლო თქვენ მართალი ხართ, როცა ეჭვი შეგსდისთ:

> ქეიფობას ვინ დაუშლის
> საკუთარი თუ აქვს ფული...
> მაგრამ ბოლოს არ გამოჩნდეს
> ხალხის ფული გაფლანგული...

ჩვენ გვგონია, რომ თქვენი ეჭვი გამართლდება... და კარგი იქნებოდა ეხლავე მიეღებიეთ ზომებს რომ იგი არ გამართლდეს.

ზაქროს თქვენთან ერთად, რომ თქვენი წერილიც გადამხტარიყო, კარგი იქნებოდა; თუმცა ახლაც არაუშავს: გადაუხტა... გოდორში.

მზისუმზირას (დიდი-ჯიხაიში) არ გამოგვადგა.

მეზობელს (ხონი) როგორც თქვენი წერილიდან სჩანს, თქვენ წარმატებით დაგისრულებიათ მანუა ბახტაძის ქორიკანობის კურსი... ეხლა კი გამოსულხართ და მასწავლებელს აძაგებთ.

ა. ტიტანს (ჩიბათი) ახირებული ბრალდება არის, რომ

> ისაკი წულის კერია
> დამპალ წულებსა ჰკერავსო...

. . . . . . . . . .

რაც შეეხება იმას, რომ წაღებს დამპალ ტყავისაგან ჰკერავს,—ეს მისი დანაშაულება არ არის, რადგან ტყავს იგი ტყავტრესტიდან იძენს და არა საკუთარ ტყავიდან ამზადებს წაღებს... ხოლო მეორე ბრალდება. რომ

> ასე ატყვილებს გლეხებსა...
> არც ჰყვარებია ნისია.

ვასმახს (სურამი) შე კაი კაცო, დიაკვნებს რომ ურჩევ

> თავი ანებონ
> უსაფუძვლო ღლაბუცებს,—

თავის თავს ურჩიე.

ვერ მივხვდით, გაუგებარია თქვენი გამოთქმა ქალებზე:

> პუდრი, ფერი, კრასკები
> მოკლე კაბა „უიმოდ"

ეს „უიმოდ" რა ოხრობა არის...

და ბოლოს თქვენი წერილი თავდება სამგლოვიარო ცნობით, თითქოს გადაცვლილიყოს კედლის გაზეთი: „სურამის ხმა"... და ჩვენც ვაცხადებთ, რომ თქვენი წერილი გადაიცვალა და დასაფლავებულ იქნა უფსკერო გოდორში.

პურის მჭამელს (სად. მარელისი) კაცო, ახალ გამოგონებისათვის ხალხს მადლობას უძღვნიან და ასაჩუქრებენ. შენ კი უსაყვედურებ მოქ. ჭუმბურიძეს, რომელმაც გამოიგონა

### ახალი გამოგონება,

რაც გამოიხატება იმაში, რომ დიდი ბრიზენტით რომელიც სადგურს ეკუთვნის, მოქ. ჭუმბურიძე იჭერს თევზებს. მთელი დღის განმავლობაში წყალში უგდია ბრიზენტი და თევზებსაც ბლომად იჭერს.

ჰო-და შენ თევზებს კი არ იბრალებ, თევზები კი არ გეცოდება, არამედ ბრიზენტი, იმიტომ რომ იგი ლპება...

ჩვენ კი, პირიქით: თევზები ბრიზენტზე უფრო გვეცოდება, თუმცალა შესაცოდები კი არ არიან, რადგან სულელები ყოფილან, რომ ბრიზენტი იჭერს.

კორიანტელს (ჭიათურა) ვერ ვათავსებთ თქვენს წერილს იმიტომ, რომ იგი სიმულიაციის წისქვილზე ასხამს წყალს.

ვ. გ-ს თქვენი: „მისაბაძი ტრაბახი" არ დაიბეჭდება. თემა კარგია, ხოლო ვერ არის კარგად დაწერილი.

# შიშის ქვეშ



— ვიცი, მაგრამ ეგებ გამფლანგველს დაეძებს, არ არის ჩემი ქმარი!
— გამოდი, ნუღარ იმალები ლოგინის ქვეშ! ეს ვიღაცაა!!!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი ორი შაური

# ტარტაროზი

№ 62 | კვირა, 22 აგვისტო, 1926 წ. | № 62

## ბიუროკრატიძე



სამსახურში და მოხსენებაზე

# კომპენსაცია

— ამხანაგო, საკითხს ჯანსაღი ყურადღებით უნდა მივუდგეთ—ეუბნებოდა ყბედაძე საკომფ. შემფასებელ კომისიის სხდომაზე თავმჯდომარეს.

— ეხლა, რომ შვებულებაში წავიდე, ყველაფერი აირ-დაირევა, საქმეები გაფუჭდება, ფულები გაიფლანგება, ბოროტმოქმედები სოკოსავით გამრავლდება, ეკონომიური კრიზისი გაძლიერდება, კერძო ვაჭრები განებიერდებიან, კოოპერაცია წააგებს, ოპოზიცია გაძლიერდება და შესაძლებელიცაა კონტრ-რევოლიუციამ გაიმარჯოს. ეს მოხდება სულ რაღაც ორასი მანეთის დაზოგვისათვის, მერმე კი ვინანებთ, მაგრამ რაღას ვუშველით—ასე დააბოლავა თავისი სიტყვა ყბედაძემ და მის შვებულებას დაუკავშირა ყველაფერი.

საკომფ. კომისიამ იხელმძღვანელა რა რევოლიუციის ინტერესების მიხედვით, მიიღო რა მხედველობაში, რომ დათიკოს წასვლით საფრთხე მოელოდა ქვეყნიერებას, დაადგინა: **მიეცეს შვებულების ნაცვლად კომპენსაცია.**

—

მიიღო დათიკომ ორასი მანეთი, რომელსაც თავისი ჯამაგირი—ორასი მიუმატა და ოთხასი გახდა.

— აგარაკზე როდის წავიდეთ?—შეეკითხა საღამოს ცოლი, როცა მიუტანა დათამ აღებული ჯამაგირი.

— ცოტა მოიცადე; ერთი ორასი მანეთი კიდევ უნდა მოვახერხო და მერმე წავიდეთ—უთხრა დათიკომ და შეუდგა ახალი გეგმის განხორციელებას.

—

დილით დათიკო ამბულატორიის კარებს საკუთარი (დაწესებულების) ეტლით მიადგა და ექიმთან ურიგოდ შევიდა.

— მობრძანდით, მობრძანდით,—მორიდებით მიიღო ექიმმა და სკამი მიართვა.

— ძლიერ სუსტად ვარ ექიმო,—დაიწყო დათიკომ,—აგერ სამი წელიწადია საპასუხისმგებლო ადგილზე ვარ, თქვენ კარგად იცით: სამი წლის უკან როგორ აწეწილ-დაწეწილი იყო მდგომარეობა. სურსათის ნაკლებობა, შინაური ომი, მენშევიკების გამოსვლა... ვინ იცის რამდენი ვაი-ვაგლახი არ იყო; გადავყვევი, გადაველიე და მთელი ძალღონე შევალიე. ეხლა ისე დავსუტდი, რომ თუ არ დავისვენე, ჩემი მუშაობა ყოვლად შეუძლებელია—

— დიახ, დიახ... აბა მიჩვენეთ მაჯა... აბა ენა გამოჰყევით: აბა, ხალათი აიწით.—ატრიალებდა ექიმი, მაგრამ ავადმყოფობის ნიშანწყალი არ აჩნდა:

ჩავარდა ექიმი საგონებელში. არ იცოდა რა ავადმყოობა მოეგონებია, მაგრამ რისი ექიმია, თუ გაჭირვებულს არ უშველა.

ჩვეულებრივი დიაგნოზი, ქრონიკული მალარია,—და წარუდგინა საკანტროლო საექიმო კომისიას, რომლის უმადური ნაკლებად თუა რომელიმე გამგე; უბრალო ხალხი კი ბევრს საყვედურობს, მაგრამ, ეს ხომ შეუგნებლობას უნდა მივაწეროთ.

— გამგეს სრულიად არ ეკადრება გასინჯვა. ტყვილს ხომ არ იტყვის? როგორ შეიძლება ტყვილის თქმა! ტყვილი რომ უყვარდეს ხომ ამოაგდებდა მთელ სახელმწიფოს? იმდენი საქმე აბარია და ტყვილს იტყვის?!—ასეთია შეხედულება და, რასაკვირველია, სამართლიანიც. ამ მოსაზრებით დათიკომაც ეახლა საკანტროლო საექიმო კომისიას და ერთი თვის დასვენება მიიღო.

მეორე დღეს ერთი თვის ხელფასი დამზღვევ სალარომ მიაწოდა და ერთი თვეში ამხ. დათიკომ ექვსასი მანეთი ჩაიჯიბა.

როცა დათიკო აგარაკისაკენ მიემგზავრებოდა, გამცილებელ საქმეთამმართველს უბარებდა:

— ლეო, ხომ იცი მომჭირნეობის რეჟიმია. ყველაფერში მომჭირნეობა დაიკავე, შვებულებაში ერთი თვით არავინ წავიდეს; არც ფიზიკურ მომუშავეებს ეკუთვნის ეხლა ერთი თვის შვებულება.

— ამხანაგო, დათიკო, ვინმემ რომ შვებულების ნაცვლად კომპენსაცია ითხოვოს, როგორ მოვექცეთ?!—შეეკითხა მოადგილე.

— ამხანაგო ზაქრო, მიკვირს რატომ არ ადევნებ თვალყურს პრესას! კარგი, პრესას თუ არ ეტანები, ამ კანონებს მაინც რად არ კითხულობ? ხომ იცი ცირკულიარები ცირკულიარებზე მოდის: **შვებულების ნაცვლად კომპენსაცია უკიდურეს შემთხვევაში მიეცემა დაქირავებულს და ისიც იმ შემთხვევაში თუ წლის ბოლომდე ვერ ისარგებლა შვებულებით**, ისე იგი: დეკემბერში შეიძლება მხოლოდ კომპენსაციის მიღება, მაგრამ ჩვენ მაშინაც ნურავის მივცემთ და „ნატურით“ გავისტუმროთ.

დათიკოს კანონი ვერაფრად ეპიტნავა მის მოადგილეს, რომელიც თვითონაც ფიქრობდა რაღაცას, მაგრამ!.. გამოემშვიდობა და წავიდა.

—

ორი კვირის უკან აგარაკზე ვიყავი სატარტაროზო ხალხის მდგომარეობის გამოსარკვევად და ვნახე ჩვენი დათიკო თავის ცოლთან და სხვისთანაც.

ბათომში, რომ ჩავედი, გაზეთები წავიკითხე, ოპოზიციის შესახებაც წერილს წავაწყდი, ფრანკის დაცემის და ჩინეთის არეულობის ამბავი გავიგე და მაშინ დავრწმუნდი, რომ დათიკო დიდი რამ ყოფილა ქვეყნისათვის.

— ის რომ იმ წყეულ „ქრონიკულ მალარიას“ არ მოეცილებია ჩვენთვის, ასე ხომ არ აირეოდა ყველაფერი! —ვთქვი და კინაღამ ქვითინი დავიწყე, მაგრამ ტარტაროზმა მომეშველა და მითხრა:

— ბიჭო, რა გატირებს?! განა დათიკოსთანა ცოტანი გვყვანან ჩვენ?—

ცოტა ამით დამშვიდდი და ბოლოს კიდევაც დავრწმუნდი, რომ ტარტაროზი არ ცდებოდა.

**პ. ობოლი.**



# ავტო-ბიოგრაფია



ბრწყინავდა როგორც სარკე
და მნახველს სჭრიდა თვალებს...
უყვარდა ავტო გამგეს
და მის მეგობრებ ქალებს.




შიგ ჩაჯდებოდენ ბლომად,
გაიჭრებოდენ ტყეში.

მოჰქროდა ავტო ყველგან
უგზო-უკვლოდ... და ღრეში.







ველარ გაუძლო ამდენ
გარეშეს და მისიანს...
მიმართა საექიმოდ
ექიმთა კომისიას.

მიადგა დამზღსალაროს:
„კვდები... მომეცით ფული,—
და იქნებ დავიბრუნო
მე ჯანი დაკარგული".




ველარ უშველა ფულმა...
ავტო აქ განისვენებს...

გამგე ხომ აწი მაინც
დაცხრება, მოისვენებს?!?

# შუადღეზე... აშკარად...*)

მიასვენებდენ.

მუსიკა უკრავდა შოპენის მარშს.

სამგლოვიარო პროცესია დაღვრემილი მიჰყვებოდა კუბოს, რომელიც ყვავილებით იყო მორთული... და მიჰქონდა მხრებზე ექვს კაცს.

მუსიკის და კუბოს შორის ახალგაზრდობას მიჰქონდათ გვირგვინები, რომლებსაც ამშვენებდა ლენტები წარწერებით: **სამარადისო ხსოვნა... ამხანაგებისაგან**". „**ჩვენს გულში შენ მარად იქნები**" და სხვა.

სამმართველოდან აივანზე გადმოდგენ მილიციელნი და ზოგმა ქუდის მოხდით, ზოგმაც ხელის აღებით პატივი სცეს მიცვალებულს.

ამ ამბის სამი დღით წინ ორი ქურდი გასაღების მორგებით შეპარულიყო სავაჭროში. გამოსვლისას საგუშაგოზე მდგომ მილიციელს შეენიშნა და ესროლა მათთვის. ერთმა თავს უშველა, ხოლო მეორე მძიმედ დაიჭრა... და გარდაიცვალა. აი, მას ასაფლავებდენ და მის კუბოს თავში ედგა გადარჩენილი ამხანაგი.




პროცესია თანდათან იზრდებოდა, მატულობდა. ბავშები სახლიდან გამორბოდენ, საქმელს სტოვებდენ და სდგებოდენ პროცესიის რიგებში.

— საწყალი... აცხონოს ღმერთმა... ნეტა ვინ არის?— ეკითხებოდენ ერთმანეთს ქალები, რომლებსაც თვალებზე ცრემლი მოსდგომოდათ

საპარიკმახეროდან სანახევროდ წვერმოუპარსავი, ზეწარმოსხმული და გასაპნილი ცმობისმოყვარე კარებთა დამდგარიყო და პარიკმახერს ეუბნებოდა:

— უბედური... ეტყობა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ყოფილა. ჯეელი ამხანაგები მიასვენებენ... რა არის ჩვენი ცხოვრება... ჩვენც ეს დღე მოგველის. ნეტა ვინ არის? ვიღაც დიდი კაცია, რომ ასეთი ამბით ასაფლავებენ...

არავინ იცოდა, ვინ იყო მიცვალებული.

როცა პროცესია გაუსწორდა სამილიციო უბნის შენობას, კუბო დაასვენეს, პროცესია შესდგა, გაქანდაკდა... ამ დროს მუსიკამ დაუკრა: „შენ მსხვერპლი გახდი". უბნის ამავე ამხანაგმა, როცა მიცვალებული ამოთხრილი საფლავთან დაასვენეს და დადგა სამუდამოთ გამოთხოვების ჟამი, ასეთი სიტყვით მიმართა მიცვალებულს:

— იძინე ტკბილად, ძვირფასო ამხანაგო! შენ მოკვდი, მაგრამ შენი საქმე ცოცხალია... და ჩვენ მტკიცე და შეკავშირებული რიგებით განვაგრძობთ მას და ბოლომდი მივიყვანთ...

როგორ გგონიათ: ვერ შეასრულებენ? შეასრულებენ, ჯერჯერობით ხომ ამართლებენ დაპირებას.

ი.

---

*) ეს ამბავი გადმოქართულებულია თავისუფალი თარგმანით და შემოკლებით ა. **ხორიჩის** ფელეტონიდან. მოქმედების ადგილად ავტორს დასახელებული აქვს ქალაქი **ტვერი**. ჩვენ იმიტომ გადმოვთარგმნეთ, რომ. ვფიქრობთ, ასეთ ამბებში ტფილისი არ ჩამორჩება ტვერს.

**ი.**






(„კროკოდილი"-დან)

# ოსკარ შმერლინგი

— „ყველას გონია—მე ვიქნები მუნჯი და გულქვა, ბოლოს, დუმილში ჩაქსოვილა სული მკვნესარე"!

მართალია ეს სიტყვები ლერმონტოვს ოსკარ ივანესძე შმერლინგზე არ უთქვამს, მაგრამ შეეძლო კი ეთქვა.

ბევრსა ჰგონია, რომ ის, ვინც ჰიუმორს ემსახურება, მუდამ პირმღიმარეა.

იშვიათად ნახავთ ოსკარის შუბლის ნაოჭებს გახსნილს და იცით რატომ?

— იმიტომ, რმო ის ჰიუმორისტია!

როდესაც მგოსანი ამბობდა:

— „ცრემლში მილესავს ნაღველიო". ის არ სცდებოდა, არც უგულწრფელო იყო, რადგან მართლაც შეუძლებელია ლაღი მხიარულებით შეეხო საკითხს, რომელიც ყოველთვის „სატირალია, რომ სასაცილო არ იყოს"!

ადამიანთა, გავლენათა უარყოფითი სახე—ჰიუმორისტს არ ხიბლავს და ვერ მოხიბლავს, მაგრამ რავქნათ თუ ჰიუმორისტს მაინც და მაინც ჭორფლიანი სახის ხატვა უხდება?

ის სწუხს, მას სწყინს, რომ ადამიანები ჭორფლით იბადებიან—მაგრამ ის ამ ჭორფლს არ მალავს და გამოაქვს სააშკაროზე, და როგორ, რა სახით?

— ჰიუმორიული საკმაზით შეზავებული!

არის სახეც, რომლის უდიდესი სამკაული—ცხვირი სიფილისს მოუგლეჯია!

ასეთ სახეს უკვე დამცინავი ირონიით, სარკაზმით უმასპინძლდება ჰიუმორისტი, თუ იცის, რომ ეს ცხვირი შეუგნებლობამ კი არა, ბუნებრივმა გარყვნილებამ დააკარგვია მის ყოფილ პატრონს.

მაგრამ არც პირველსა და არც მეორე შემთხვევაში ჰიუმორისტი არ იცინის გულში, არ უღიმის კმაყოფილებით თვალები და პირიქით, „ცრემლში ნალესი ნაღველით" ხაზამს ამა თუ იმ სახის სიმახინჯეს.

ასეა ოსკარ შმერლინგიც.

მას პირადათ ჭიანჭველის შეურაცხყოფაც არ შეუძლია, უაღრესად სათუთია მისი გული და უაღრესად კეთილშობილია მისი გრძნობა.

იგი არავის არ აწყენინებს თავის პირად ცხოვრებაში არასოდეს, მაგრამ:

— თუ სიფილისი გადამდებია? თუ ჭორფლი დამამახინჯებელია ადამიანთა სახის? ოსკარმა აქ უნდა მკვეთარი ჰიუმორი წაუცხოს კლმის წვერს და ისე მოხაზოს სახე. მე ვიცი, რომ ოსკარის ბევრს, პირადათ მის უცნობას, ერიდება, ეშინია კიდეც და რატომ? იმიტომ, რომ ოსკარი შავი ფერადებით ხაზავს ყოველგვარ სიმახინჯეს ცალკე პიროვნებათ შეეხება იგი, თუ მთლიანად ცხოვრებას.

მაგრამ კერძო ცხოვრებაში, როგორც კაცი, როგორც ადამიანი. იგი გულკეთილია მას სურს ცხოვრება მთლიან, მომხიბვლელ ჰარმონიას იძლეოდეს და ამ სულითა და გულით მრთელ ადამიანს ვერ მოუნელებია ოდნავი დისონანსიც კი.

ეშინიანთ მისი, ვისთანაც ყოველთვის ნაზი ალერსით შეიძლება მისვლა და რატომ?

იმიტომ, რომ ოსკარი მხატვარი, ოსკარი ჰიუმორისტი—საალერსოთ არ გახდის იმას, რაც ცხოვრების სახეს ტლანქათ ამახინჯებს!

ბავშური მოკრძალების მქონე თავის პირად ცხოვრებაში, ოსკარი ვაჟკაცურ დაურიდებლობას იჩენს ყველა იმისადმი, რაც შეურაცხყოფს ადამიანთა ადამიანურ რაობას.

სწორედ ამიტომ ვაფასებთ მას, ამიტომ გვიყვარს იგი და ამიტომ გვინდა, რომ:

— 25 წლის განმავლობაში ნაჭირნახულევი ძვირფასი ოსკარი, კვლავ ორჯერ ოცდახუთი წელი ემსახუროს თავის საყვარელ საქმეს!

„ტარტაროზი"

# ჩვენი შლინგი

1901 წელი იმით არის შესანიშნავი, რომ ამ წელს არსებული წყობილებით უკმაყოფილო მშრომელი ხალხი აშკარად გამოვიდა ქუჩაში და თვითმპყრობელობა გამოიწვია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

საიდუმლო კრებებზე და მიტინგებზე გათვითცნობიერებულმა და რევოლიუციონური ცეცხლით ანთებულმა მშრომელმა ხალხმა მაშინდელ ლეგალურ პრესას წამოუყენა ახალი მოთხოვნილება: ხალხისა და განმანთავისუფლებელი მოძრაობის სამსახური.

ადვილი არ იყო ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება; მაგრამ პრესას სხვა გზა არ ჰქონდა: ან უნდა დამორჩილებოდა ხალხის სურვილს და ფეხდაფეხ გაჰყოლოდა მას უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში, ან უნდა გამქრალიყოს სავსებით: რეაქციონური სულის კვეთებით გაჟღენთილი მკითხველი ძლიერ ცოტა ჰყავდა ქართულ გამოცემებს.

ამიტომ, ქართულ პრესამაც, დიდი ყოყმანისა და აწონდაწონის შემდეგ აიღო ოპოზიციონური მიმართულება.

საჭირო საგზალი ამ გზაზე და ამ მიმართულებით, ღვთის მადლით, თავ ყრილი იყო; საჭირო იყო მხოლოდ მისი ისე გამოყენება, რომ თვით მგზავრი, თვით პრესა, არ გადაყოლოდა მუცელს, რადგან თვითმპყრობელობის შხამით მოწამლული იყო თვით ჰაერიც კი; საჭირო იყო ყოველგვარი საზოგადოებრივი და პოლიტიკური საკით-

ხისადმი ფრთხილად, ოსტატურად მიდგომა და მათი ისეთ ნაირათ გაშუქება, რომ თვითმპყრობილობის დათვიც მშვიდად ყოფილიყო და რევოლიუციონური მამალიც კმაყოფილი.

ასეთ პირობებში ქართულ პრესას მოევლინა უცნობი და უცნაური ხელოვანი; ის იყო ოსკარ შმერლინგი.

მან დინჯათ, მოკრძალებით ჩამოკრა „ცნობის ფურცლის“ რედაქციის ზარებს დიდი ვანქის ქუჩაზე და ძტკიცეთ განაცხადა, რომ სურს ემსახუროს ოპოზიციონურად განწყობილ პრესას მთელი თავისი ძალღონით.

მაშინ არავის არ სჯეროდა, თუ ეს ახირებული შეხედულებისა და მეფისტოფელური გამომეტყველების კაცი ასე ზედმიწევნით გაამართლებდა თავის აღთქმას და ამდენ ნაყოფს გამოიღებდა მისი იუმორისტული ნაბიჯი.

მაგრამ ოსკარი, როგორც იტყვიან „სიტყვის კაცი“ აღმოჩნდა და ის 25 წლის განმავლობაში ურყევად სდგას თავის მაღალი მოწოდების სიმაღლეზე.

ოსკარ შმერლინგის გამოსვლას და მის კარიკატურებს ჰქონდა დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ხალხისთვის; ის ერთგვარი გამართლება იყო იმ ბრძოლის, რომელიც მშრომელმა ხალმა დაიწყო არსებული მართვა-გამგეობის წინააღმდეგ.

ამიტომ იყო, რომ გაზეთის ტირაჟმა იმ დროში თვალსაჩინოდ იმატა და გაზეთი გადაიქცა მუშისა და გლეხის პირველ მოთხოვნილების საგნად.

დიდ ხანს ანთხია ო. შმერლინგმა თვისი იუმორისტული შხამი და გესლი მშრომელი ოპოზიციონური პრესის ფურცლებზე; დიდხანს ღრღნა მან თვითმპყრობელობის ფესვები ჩვენს ცხოვრებაში.

მე არ ვიცი, რა პოლიტიკური მიმართულების მალიარებელია ოსკარ შმერლინგი; ერთხელაც არ მქონია მასთან ამის შესახებ საუბარი; ვიცი მხოლოდ, რომ მას მუდამ ახარებდა განმანთავისუფლებელი მოძრაობის წარმატება და გულს უკლავდა ამ მოძრაობის ყოველივე მარცხი; ვისაც ეჭვი ეპარება ამ შეფასებაში, შეუძლია გადაათვალიეროს ოსკარის ძველი და ახალი კარიკატურები.

როდესაც რუსეთის პროლეტარიატის ძლიერმა მარჯვენამ დაამხო თვითმპყრობელობის საზიზღარი ტახტი, ჩვენი ოსკარი სხვაბთან ერთად ზეიმობდა რევოლიუციის გამარჯვებას.

არც ამის შემდეგ ჩამორჩენილა ის პროლეტარული რევოლიუციის ძლევა-მოსილ მსვლელობას და თავის პატარა, მაგრამ ძლიერი იარაღით—კალმის წვერითა და სახაზავით—ებრძვის მშრომელი ხალხის მტრებს, ებრძვის რეაქციონურ ძალებს.

ოსკარი ჩვენთან არის ჭირშიაც და ლხინშიაც; ოსკარი მხიარულობს მუშათა კლასის გამარჯვებით, ოსკარი სწუხს, როდესაც ჩვენს წინაშე დადგება რაიმე მნიშვნელოვანი საფრთხე.

ოსკარი ხალხისათვისაა, ო. შლინგი მუშათა კლასის მხარეზეა.

— სანამდის?

—სანამდის მის მკერდში ჰფეთქს ამაყი და კეთილი გული.

ვუსურვო ჩვენს საამაყო ოსკარს, იუმორისტ ოსკარს, ქართული კარიკატურის მამამთავარ ოსკარს, კიდევ დიდი ხნის სიცოცხლე და მუშური პრესის თავდადებული მსახური.

ნ. ტ.



# ᲝᲡᲙᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲝᲡᲙᲐᲮᲐ

(ოსკარ ივანეს ძე შმერლინგის 25 წლის მოღვაწეობის აღნიშვნის გამო).

— ჩვენი ოსკარა? ვა, როგორ არ ვიცნოფ,—მაგისგნით ერთი ქუტკი პრიკლუჩენიაც გადამხდომია ჩემს ჯეჰელობაში. ძაან უხიაკი კაცია, შენ ეგრე კი ნუ უყურეფ იმერულ ჩურჩხელასავით რომ ჩამამხმარა, ისეთი ასტრაუმნი რამეები შვრება, რომ სიცილისაგან სულ საბაჩი ვალსი გატანცავებს მაშ... ხანდისხან ჩეროშჩურ. იავნათ იცის ხოლმე კაცის გაბიაბრუება, ჰამა ამობენ, თუ ამას გულღრძუობით არ შვრება, ეს იუმორცკის ჰარიქატურებიაო. დგანან და ყველის ვაჭრებივით იღრიჭებიან... მაგრამ ვინც იმისგნით ჩაგდებულია, ის კი ჭიპზე სქდება და სულ ნოეს კიდობანს უკურთხებს ამ ჰარიქა-ტურებს თუ ჰარიქა-მელების მამგონსა.

ვა, ახმახ, აქ საღრეჭი და სასაცილო რა არის, პაჩოტნი კაცსა ისე დამანჭამს და დაამახინჯებს, რომა, ეშმაკებიც კი არ აირჩევენ თამადათა. ასობენათ ამ ჩვენი ჰამქრის ხალხს ჩააცივდა და ზოგიერთი ისე გააპამპულა, რომა ცირკის ცხენების საფრთხობელათ გახადა. მოდი შენ და იცინე...

ვა ეგ ბემურაზი ნევიდიმკა პრივიდენიას რომ იტყვიან, სწორეთ ის არის. ჩუმათ რომ ისე ემე არა ქნა, ვისმესთან რამანიჩესკი სვიაზი გააჩაღო რაღა, ისიც გაუგებარი არ დარჩება და მეორე დღეს ან „ტარტაროზში“ ჩაგაგდებს, ან სხვა რამე დოზანაში და ამ დარბაისელ კაცსა პირდაპირ სალაყბოზე გამოჭაქენებს, აბიდას გაჭმევს რაღა საქვეყნოთა.

ჰუზურში მე ჩემ თავზე გამოვცადე მაგისი ასტრაუმია და კინაღამ ტრაღიჩესკი უნიჩტაჟენია არ მიყო ფედკა აკალოშნიკმა. ბაჰყალხანაში ერთი რიჟა აკალოშნიკი ფედკა უტკინი არ იყო, აი ლოთობისაგან ცხვირი წიწაკას რო უგავდა რაღა, ძაან სტროგი ვინმე იყო. ჰო და იმან, მაგ ოსკარას ჰარიკატურით გაიგო, რომა მე იმის ცოლთა-



ნა რამანჩესკი ატნაშენიები მქონდა რაღა და კინაღამ საბოზბაშესავით ხმლით არ ამკეპა—სლუჩაინათ გადავრჩი...

პადრობნათ მოგიყვე?—პაჟალუსტა! დასამალი რა არი, ეს ძველი რეჟიმის ამბავია და ჯეჰელობაც დიდი ხანია წავიდა... ჰო, იმას გებნებოდი: მაშინ ბაჰყალხანაში მქონდა დუქანი და იქვე მწვანილის პერეულკაში ხალასტოვათ ვცხოვრობდი. ეს ჩვენი ფედკა აკალოშნიკიც იმავე ეზოში ცხოვრობდა თავისი ცოლითა.

იმისი ცოლი მატრონა ძაან მადიანი რამე იყო რაღა და გულში ჩამივარდა!.. ახარ, მეც ჩემი ჰუნარები სულ

ერთათ გამოვიჩინე: ხან პადარკები, ხან ტკბილი სიტყვა, ხან კამპლიმენტები და ბოლოს შავატყე, რომა ისიც რავნადუშნათ აღარ მიყურებს! ერთხელ, როცა ეს ფედკა თავის უჩასკაში აკალოტკის ნადზორისთვის წავიდა, მე ჩემ თავს ძალა დავატანე და პირდაპირ აკოშკიდან გადავხტი ამ მატრონასთან. მუხლებზე დავეცი და ვებნები:—პაჟალეი ბედნი ოსკან, ტვოი სიფათ ბუდუ მალიცა მეთქი... ვა, დიდი ევანგელიები და კარაბადინები კი არ დასჭირდა ეხლანდელი ქალებივითა. მებნება, თუ:—სკორეი კანჩაი სვაი დელა, ატო მუჟ ვერნიოცაო.



ამ ბემურაზ ოსკარას საიდანღაც დაუნახია და მეორე დღეს ერთ იუმორცკის ჟურნალში არ დაუხატავართ!... კვირა დღეა, დუქანში შამოვარდა ჩვენი ჩილინდარ ასატურას ბიჭი კაკულა,—ხელში რაღაც ნახატებიანი უჭირავს და ღრეჭით მებნება, თუ:—ძია ოსკან, შენი კარტიქკა გაზეთში ჩაუგდიათო. ვებნები: ლაწირაკ, რომელი ოპერნი პევიცა მე მნახეს, რომ გაზეთში ჩამაგდონ, რას შიედებ-მოედები მეთქი. თუო: ნახე რაღა, სწორეთ ისეთ ყაიდაზე ხარ დახატული, როგორც ოპერნი თრიატებში მღერიანო. გამოვართვი, ვხედამ ნამდვილათ მე და მატრონა ვართ დახატული... ვა, ბრაზისაგან კოლოტივით გავიბერე და ვღრიალეფ: ეს ვისი ჰარამზადობაა, ერთი მაჩვენა, რომ სულ ჰოპოპები დაუფრთხო მეთქი. თუო: რა ძნელი საქმეა მაგის გაგება, აი ზედ აწერია დამხატავიო. ვხედამ, ამ კარტიჭკის ძირში ზედ კოხტა პოჩერკით მიუწერია—„ოსკარ შ—ლინგ“, გეგონება—კუპეჩესკი ბანკის ვექსილზე მილოვს მოუწერია ხელიო.—ეს რა ოსკარაა, ამას აქაური ფირი არ უჩანს მეთქი. თუო—ლემენცია, ჰამა სულ ქართული ჰარიქა-ტურები აკეთებსო. ეს ხუმრობაა, რა გაბრაზებსო. ვა, რა მაზალოა და, შენი ტაინი ლუბოვნი რამეები ქვეყანას აგებრძებს, და ეს კი აქ მებნება, თუ ხუმრობააო,—რის ხუმრობა, რის ფლანი, რის ფსტანი, შენ ხომ არ გიქრიან,—ხუმრობა სხვაგან უნდა, აქ რა მეხუმრება მეთქი.

მე იმისი ჯავრი მქონდა, ამ ფედკამ არ გაიგოს და სახაშლამეთ არ დამკუწოს მეთქი. იმ საღამოს სახლში რო მიველი, ეს მატრონა აკოშკაში გადმოდგა და საყვედურით მებნება, თუ:—კაკ ტებე ნი სტიდნა, ოსკან ბუღდანიჩ, ჟდატ ზასტავლიაიშ, სერცე ბიოცაო!.. ახარ, იმასაც გაუტკბი რაღა, ველარ ითმენდა უჩემობასა!.. ვფრთხილობდი ჰამა, მაინც ველარ მოვითმინე და აკოშკაში გადაუხტი. ერთიც ვნახოთ, ამ ალერსის დროს უცბათ რეტიანი კამეჩივით არ შამოვარდა ჩვენი ფედკა აკალოშნიკი!... ვა, გული ჩოფურას დოლივით ამიბრაგუნგუნდა რაღა შიშისაგანა. ხელში იმასაც ჩვენი კარტიჭკიანი ჟურნალი უჭრავს და ღრიალებს,—ზადერჯალ, სუქინსი, ნამესტა პრესტუპლენია, სიჩას კაკ საბაკუ, რუბიტ ბუდუო. მე ისევ მუხლებზე დაჩოქილი ვიდექი, ან რა ამაყენებდა, საცვლები სუფთა აღარ იყო... ვღრიალეფ:—პაჟალუსტა, ფედკაჯან, უზიარებლათ მარც ნუ მამკლამ, ტერტერას დაუძახეთ მეთქი... ვა, ალბათ ზიარებისა და ტერტერის ხსენებაზე ღმერთმა გადმამხედა და ფედკას სახლში პრისტავი და იმისი ცოლი შამოვიდნენ; ამ ფედკა აკალოშნიკს თითონ შეეშინდა პრისტავისა, სარჩაყლაპულივით გეექიმა და რაღაც ლუღლუღი დაწყო. ერთ ვისკუპე ამ აკოშკიდან, ერთი მოუსვი, რომა უკან აღარ მიმიხედნია.



მთელი ორი თვე ვიმალებოდი და დუქანიც დაკეტილი მქონდა. მერე გავიგე, რომა ეს ფედკა აკალოშნიკი ქრთამში დაუჭერიათ და მთელ თვეს კუტუზკაში მჯდარა. მერე კი ნახიჩევანში გადაეყვანათ ჩემ ბედზედა. ეს იყო და ეს, მე აპასნი რამანებზე ხელი ავიღე, თორემ ახში სადმე დამკლამდნენ ამალლების ბატკანივითა...

ეგ სულ მაგ ოსკარას სიკეთეა, ჩემა მზემ; მართალია, ბევრი ემდურის ჩვენ ჰამქარში, ჰამა ახში, თავისი ჰარიქა-ტურებითა მაგას დიდი სიკეთე უქნია ჩვენი ხალხისთვისა...

ეხლა გავიგე, თურმე იუბელია უშვრებით, ხვალ „ტარტაროზში“ მოვალ და უარს ნუ მეტყვით,—ერთი ლაზათიანათ უნდა ჩავპროშტო იმ კიტრისნაფცქვენივით დაჭმუჭნულ სიფათში!

**ფარსადან.**



# ადამიანი, რომელიც 25 წელიწადი დას



ოსკარ ი. შმერლინგი

# პინის უკუღმართობასა და გოროტებას




## ტარტაროზი და შმერლინგი

### მე

38 წლის განმავლობაში სამსახური „სიცილი-სადმი“ და, კერძოთ 25 წლის „სიცილი“ ჩემთვის ძვირფას საქართველოში—ამოცანაა ზოგჯერ არც თუ ძალიან სამხიარულო და მსუბუქი.

შემხვედრია მეცინა მრავალგვარად მრავალ რამეზე, მაგრამ სიცილი იყო სხვადასხვანაირი: კეთილი გულით, არა შეურაცმყოფელი სიცილი, რომ არ გაიცინო ბოროტად და მწარეთ; იყო სიცილი—იმპერიალიზმის უმძიმეს ხანაში, ფრთხილი,—სიცილი მორიდებული,—გაიცინო ისე, რომ ყველას ესმოდეს რაზედ იცინი, ვის ეცინი, მაგრამ „მთავრობამ“ ვერ გაიგოს, ვერ მიხვდეს და „თავი შეურაცხყოფილად არ იცნოს“! ეს იყო სიცილი—ცრემლნარევი მონათქცეული ხალხის მხრით.

როგორც იქნა თავი დავახწიეთ მონურ მდგომარეობას და ცენზურის ბრჭყალებს, რომელშიაც მუდამ იმყოფებოდა სატირა, ეხლა უკვე სიცილი გარდაიქმნა, აღფრთოვანდა, მალე ფრთები გაშალა და იგი უკვე დღევანდელ საქართველოში თავისუფლებით სარგებლობს.

დაე, ალარასოდეს ჩაჩუმდეს სიცილი, დაე ქართველი ერის ცხოვრება მუდამ იქნეს მხიარული, ბედნიერი და დაე, ყოველმა ქართველმა იცინოს იმაზე, რაც სასაცილოა.

ვიყოთ მხიარული და ვიცინოთ!

19—VIII—26 წ

ო. შმერლინგი.

Schmerling

# „ქეიფი" ფუნიკულიორზე




## წერილი აგარაკიდან

ისევ ცხელა, თავში მიტიალებს თონე.
აღარა მაქვს გული, აღარა მაქვს ღონე.
ვამბობ:—აგარაკზე რაც უნდა ქნას ცოლმა.
და ტილოში ვბრუნავ ვით კომბოსტოს ტოლმა.
ამ დროს ფოსტა მოაქვთ, მაწოდებენ ბარათს.
ცოლის წერილსა ვხსნი გულის გასახარად,—
და ვკითხულობ: ჩემო საყვარელო ქმარო.
ვიცი ეხლა გცხელა, მოწყუნილი ხარო.
ნუ იდარდებ ჩემზე, ნუ აჰყვები იჭვებს...
მეც მარტო ვარ ტყეში, არ ვშორდები ფიჭვებს.
ან კი აგარაკზე—სასეირნო რა მაქვს!
ტყეში ვწევარ მუდამ შეჩვეული გამაკს...
მართლა, იმ დღეს შემხვდა შენი დირექტორი.
(იმისთანა დუშკა არ იქნება ორი).
მითხრა, რომ ჯამაგირს მოგიმატებს მალე.
და დამპირდა კიდევ შემოივლის ხვალე.
იქნება შენც გახდე საყვრელო „ზავ"-ად.
ვთხოვ როდესაც მოვა კვლავ ჩემს სანახავად.
არ იდარდო, ჩემო, არ შესწუხდე ფულზე...
მართლა, მეყოლება შვილი გაზაფხულზე.
კარგათა ვარ, დღეში თხუთმეტ კვერცხსა ვწოწნი...
იყავ კარგად, ჩემო, გკოცნი.. გკოცნი.. გკოცნი.."
გული აღარ მიძლებს სამიწე და საქვე
(ოხ! აქ იყოს ნეტავ, გავათავო აქვე).
ამ წერილის აზრი ეხლა მესმის კარგად..
ფოსტალიოოონ!..—ვკივი ახ, სად დიკარგა.
ამის მოტანისათვის დავამტვრევდი კბილებს..
დარდს გაუძლო. წერილს, ბალინჯოს თუ რწყილებს
ბოლმა, სიცხე, იჭვი.. ეს რა მიყო ცოლმა...
და ზეწარში ვბრუნავ ვით კომბოსტოს ტოლმა..

**ნიახური.**

# სხვადასხვა კორები



ლობკორი



კედლკორი



ილკორი



მკერდკორი



ტარტაროზკორი

# ჩვენი სალარო




**მოლარე** (მოსამსახურეებს). რა მოგცეთ, როცა სალარო დაკეტილია... ფული არ არის შიგ.

**ერთი მოსამსახურე**: აი სწორედ,—ფულიც იმიტომ არ არის, რომ ყოველთვის დაკეტილია... დაკეტილ სალაროში ფული როგორ შევა! გააღეთ და იქნებ ფეხი შეუცდეს შიგ.

# ქალთა საკითხი

როდესაც კაცი იუმორისტული ჟურნალისათვის წერილს სწერ, უნდა გახსოვდეს, რომ სერიოზულად თქმულსაც ზოგჯერ ხუმრობად მიიღებენ. მიუხედავად ამისა მე მაინც მინდა შევეხო ქალთა საკითხს ჩვენ ჟურნალში და იმედია ამას ხუმრობად არავინ ჩამომართმევს. მე 6 ცოლი გამოვიცვალე, ეხლა მეშვიდეზე ვარ შეჩერებული და არ ვიცი, ვინ ვის გამოვიცვლით. ამავე დროს, შეთავსების ძალით, მერვესთანაც კავშირი მაქვს: პასუხისმგებელი სპეცი გახლავართ და, თუ კი ჩვეულებრივი თანამდებობის შეთავსება დასაშვებია, რატომ არ უნდა შეიძლებოდეს ორი ქმრის თანამდებობის შეთავსებაც? მართალია, ოსმალებმა ჩვენ წაგვბაძეს და ერთცოლიანობა შემოიღეს აგერ ორი წელიწადია, მაგრამ რატომ ჩვენ არ უნდა წავბაძოთ ოსმალებს და არ გადმოვიღოთ მათგან რაც კარგია, მაგ. ორ და საზოგადოდ მრავალცოლიანობა?

რასაკვირველია, ჩვენ წინაალმდეგი ვართ იმპერიალისტური „გადმოღების“, როცა, მაგალითად, ძლიერი სახელმწიფო რაიმე სახეიროს შენიშნავს სუსტ ქვეყანას და მაშინვე „გადმოიღებს“. ჩვენ, საბჭოთა მოქალაქენი, სასტიკ ომს ვუცხადებთ ასეთ იმპერიალისტურ გადმოღებას და მომხრენი ვართ სულ სხვანაირი გადმოღების, როცა არც ერთი მხარე არ დაზარალდება. აი, მაგ. ოსმალეთში მოსპეს მრავალცოლიანობა; ჩვენ კი შემოვიღეთ. ამით ოსმალეთს არაფერი დაჰკლებია და ჩვენ კი შეგვემატა ცოლები. ასე ვრცელდება კულტურა.

ქალთა საკითხი თუმცა ქალთა საკითხია, მაგრამ ის მამაკაცებს უფრო აწუხებს, ვიდრე ქალებს. ამიტომ ბოლო დროს ისეთი აზრი გავრცელდა მეცნიერებაში, თითქოს ქალთა საკითხი მამაკაცების მოგონილი იყოს, როგორც ერთი საშუალებათაგანი მშვენიერთა ყურადღების მისაქცევად.

ბევრსა ჰგონია ქალთა საკითხი ეს პუდრისა და ფერუმარილის საკითხი იყოს, მაგრამ ასეთი თეორია უსათუოდ შემცდარია.

ზოგმა ჩვენებურმა სუფრაჟისტკებმა ქალთა საკითხის გადაჭრა ლოტოს საშუალებით სცადეს, მაგრამ არც აქედან გამოვიდა რამ.

ქალთა საკითხი არც ქალთა შორის მუშაობის „გაღრმავებით“ ამოიწურება, როგორც სჩანს: ამის დასამტკიცებლად ისიც კმარა, თუ გნებავთ, რომ ამ სფეროში წამოჭრილ საკითხებს სახალხო სასამართლოში არჩევენ. აშკარაა, აქ სასამართლოს საკითხთან გვაქვს საქმე და არა ქალთა საკითხთან.

ქალთა საკითხი მაშინ გაჩნდა, როცა ქალი ჯერ კიდევ არ იყო გაჩენილი ქვეყანაზე და მარტო ადამი დასეირნობდა სამოთხეში. აი სწორედ მაშინ გაჩნდა ქალთა საკითხი და ადამს შემოაწვა მძიმე სევდად.

შეებრალა ღმერთს თავისი უხეირო ქმნილება და ჰკითხა:

— რა გაწუხებს, ამხანაგო ადამ, რა გინდაო?

ადამმა ვერაფერი ვერ უპასუხა. მაგრამ გულთამხილველმა ყველაფერი იცის და ქალი გაუჩნდა. გამრავლდითო,—უთხრა ღმერთმა ადამსა და ევას,—გაავსეთ ეს ბაღი და სხვის ბაღში ხილი არ მოსწყვიტოთო.

მაგრამ მაშინ შრომის სკოლებში კომპლექსური სისტემა არ იყო შემოღებული და ადამ და ევას გამრავლება საიდან ეცოდინებოდათ?..

მაშინ არც გრიშაშვილი იყო ჯერ და არც ყანწელების პოზიცია. ამიტომ პირველმა ადამიანებმა არ იცოდენ, რა იყო სიყვარული.

ერთმა ფუტურისტმა გადაიცვა, თურმე, ჭრელი ახალუხი და მიეპარა ევას, როცა ის ხის ძირში მისულა რალაც მიზნით, მაგრამ გამოუცდელ ქალს ჭრელი ფუტურისტი გველი ჰგონებია და თავი გაუქექყია მისთვის. მოხერხებულმა ფუტურისტმა მაინც მოასწრო თურმე დაძახება: „მიყვარხარო“ და ამი შემდგე გაჩნდა ქალთა საკითხი, რომელსაც ვერავითარი საშუალებით ვერ აშორებენ სიყვარულს.

მართალია ეს ჩემი წერილი ვერაა ისე სრულყოფილი და დალაგებული, როგორც ამას მოითხოვდა მომენტის სირთულე და საკითხის სიმწვავე, მაგრამ სიტყვას ვიძლევი აწი ასეთ ძნელ საკითხებს აღარ შევეხო სახუმარო ფელეტონებში.

**ოთხთვალა.**



— ო, ჩემო საყვარელო კვარტებო! თქვენ დამათვრეთ და თქვენ უნდა შემიდგეთ მხრებში და სახლში წამიყვანოთ...

# სამტრედია

ტფილისმა აღარ მაჭამა
მუდამ დაფლი და შაქარი—
და მეც დავშორდი დროებით,
დღეს ჩემი ბინა აქ არი.
(ისევ მარტო ვარ ობოლი,
არ ჩანს: ძმა-ბიჭი, და—ქალი).

—

ნუ გეწყინება, ტარტაროზ,
თუ ვერ მოგიძღვნა ვარდები!
დღის შუქი, მზისა სხივები
ბევრს სურს დაჰფაროს ფარდებით—
(დავჯექი. წერა დავიწყე,
კაცი აღარ ვარ დარდებით).

—

ჯანმრთელობაზე ფიქრებმა
სულ აგვიარა დავთარი!
ველარა შევძლო ავწერო
რომ მოგახსენო მართალი.

—

ბურჯანაძიდან დავიწყოთ
ექიმი თურმე კარგია !
მართლაც რომ მეტი ბარგია.
მაგრამ ის დაზღვეულთათვის,
(თუ რამეს მისცემ შენია,
თუ არა,—აღარ გარგია).

—

ეს ქაჯაია რას ჩადის,
(კაცად ქაჯია მგონია)
ციება სოფელს მოედო,
გამოელია ღონეა:
(ისეა, თითქოს ყვედრება
არავისგან გაუგონია).

—

„სტოროჟი" ნემსებს აკეთებს,—
თვითონ კი მიდის სხვა მხარეს!
სეირნობითა თავის გულს
და ფულით ცოლშვილს ახარებს.
(ავადმყოფები კვნესიან,
ექიმი სადღაც ხარხარებს).

—

აქ მინდა ავამუშავო
ჩემი თავი და კალამი.
რომ ვინახულო ქარხანა
და გაბუნია ვარლამი,
რომელსაც მუდამ აბრაზებს
მუშის საწყალი სალამი.

—

ნეტავ. რად ყვირის ყოველ ჟამს?
რა უნდა, ან რა სწადია?!
თუ არ მონახავს კალაპოტს
იცოდეს (და ეს ცხადია)
საბედისწერო გახდება,
მისთვის ეს წელიწადია...

ჰაგნელი ბზიკა.

# ქმარი ტფილისში

პასუხად ნიახურ-ს.

ნიახურო რას აშბობ,
ეგ რა მოგიჩმახია.
შენი ცოლი „დაჩაზე"
თუ არ შიყობს ახია.
ნეტავ დიდხანს გასტანოს
ანთებულმა ივლისმა.
ღამე გასეირნება,
შემაყვარა ტფილისმა...
ქალი ვნება აშლილი,
სიყვარულის თილისმა....
და არტოდან—ედემში
თენებამდი ღვინის სმა...
ის ქალები, ცოლი რომ
აქ ცქერასაც მიშლიდა...
თანა მდევდა, მზვერავდა,
მარტო ჩემთვის იცლიდა.
ეხლა გვედზე მისხედან
ვისარგებლო ბარემა,—
უნდა მთელი ტფილისი
დავიხადო „გარემად"...
ცოლსაც ჯანი გავარდეს,
გატიალდეს ცემიცა...
გაწყდნენ ყველა ცოლები,
მათ გადაჰყვეს ჩემიცა...
ცუგრუმელა გოგონებს
მითხარ ვინ შეედრება...
რა კარგია ლამაზის
ალერსი და ვედრება...
ნეტავ დიდხანს გასტანოს
ამ ოხერმა დაჩამა.
და სხვის ბაღში ყურძენი
მუდამ ასე მაჭამა...
სიყვარულიც იქ არი,
მეგობარიცა, ტოლიცა...
არც ჩხუბი და სცენები,
არც ბუზღუნი ცოლისა...
ცოლი სხვასთან, მეც სხვასთან—
მიხარიან აი რა...
დაჩაც ამასა ჰქვიან,
ჩიმ-ჩაი-რა-ჩაირა.

ტარხუნა.

# „მანდატი“



„კეთილშობილის“ „კეთილშობილი“ ძაღლი (მეორე ძაღლს) აქ ბაღში რომ დასეირნობ, ასეთი მანდატი გაქვს თუ არა ალმასკომიდან?! შენ არალეგალური პიროვნება ხარ და ნება არ გაქვს ბაღში და ქუჩაში გავლისა.

# ნობათი ტარტაროზს

ტარტაროზო, მილიცია
დაგავიწყდა ულმთლად განა!
გავიგეთ რომ თქვენ ჩანგალით
დაბრძანდებით ყოველგანა,

ჰო-და ჩვენ რა დავაშავეთ
რომ დაგვტოვეთ მტრის ამარა ?!
აქაც გვყავთ რაინდები
მოთავხედო წარამარა.

ერთს თავადის გვარი აქვს და
„დიდი კაციც“ არის მარა,—
მარტო ქრთამი და ნისია
იმან ბოლოს არ იკმარა.

ეხლა შეჰქნა ჰარამხანა,
შიგ ჰყავს: ტასო, ნურა, ლილი,
მთელი ღამე იქ ქეიფობს,
ღლისით ახრჩობს ბედკრულს ძილი.

სამსახური?! საქმე არ გაქვს
დღეში ერთხელ არ ნახულობს;
უპატრონოდ არის „მრევლიც“...
ანდა მაზედ ვინ კითხულობს,

კომისარიც გახლავს ძველი,
საქმეც გააქვს მუდამ ხერხით,
მუდამ ავტოთ დასეირნობს.
არ კადრულობს ის სვლას ფეხით.

კასტიუმებს და ფერად ჩოხებს
დღეში ორჯერ ისხამს ტანზე,
უბრალო ქუდს რათ იკადრებს
კარაკული ხურავს თავზე.

მისმა „მტკიცე“ ყოფაქცევამ
ლამის ლაფში ამოგვსვაროს,—
მაგრამ კაცი არ გამოჩნდა
რაც ქნა მაინც, რომ აკმაროს.

და იმედი დარჩა შენზედ
რომ აჰყარო მას ფარხმალი,
და გვერდებში ერთხელ მწვავედ
დაჰკრა შენი მას ჩნეული.

თუარ დაცხრება მაშინ მკითხე
თუ რას ჩადის კარით კართა,
ყველაფერი მოგახსენო
მისი მოქმედების კარტა.

კუკუ.



ახალ თაყას. ვასრულებ თქვენ თხოვნას;

ამხ რედაქტორო!

გთხოვთ თუ ეს წერილი არ დაიბეჭდოს, მაშინ მაცნობეთ „ცნობათა მიღება“-ში მოკლედ; წერილის შინაარს ნუ მოიყვანთ და ნურც დაუწერთ ფსევდონიმს გვერდზე მისამართს (სოფელს); თუ რატომ გთხოვთ ამას, კი მიხვდებით. (ამხანაგები გაიგებენ და დამცინებენ); აბა თქვენ იცით!!.

ჩვენ რომ სავსებით დაგვებეჭდა თქვენი ლექსი, აი მაშინ უნდა გენახათ, თუ როგორ დაიწყებენ სიცილს, როგორც თქვენი ამხანაგი, ისე ყველა მკითხველები. მართალია: ჩვენი ჟურნალი სიცილის და მხიარულობის ჟურნალია. მაგრამ

ჩვენ რად გვინდა კულტსექცია,
ალმასკომი თუ გლეხკომი;
თუ მოგვშივდა ბლომადა გვაქვს
ქათამი და ცხელი ღომი.

ჰო-და თუ ასეა საქმე, ასეთ ლექსების წერას „ქათამი და ცხელი ღომი“ სჯობია და თქვენც დაეთხოვოთ ტარტარაზ კორობას.

„ალიაქოთს“ (ს. ჭილოვანი. შორაპნის მაზრა) არ დაიბეჭდება... იმიტომ, რომ არ ვარგა.

უვიირილის პირელს რაღა ჩვენ ვსთხოვოთ ცეკავშირს, რომ შოროპანში ისევ გახსნას „ეპო“, რომელიც „შეუჭამიათ“ და ეხლა კი დაულუქავთ?! თქვენ სთხოვეთ. სახელი და გვარი არ კმარა მარტო, თორემ თქვენ უდიდესი მგოსანი იქნებოდით.

რონისპირელს (ვაზის-უბანი. საჯავახო). „ტარტაროზში“ (№ 59) უკვე იყო ამის შესახებ ცნობა. არ დაიბეჭდება.

ჭიტა! (ბათომი). გურული სცენა არ დაიბეჭდება.

გურულს. თქვენ ზემოდ ჩვენი პასუხი ჭიტასადმი თქვენც გეხებათ.

„აფხაზს“ თქვენ კი ორივეს პასუხი (ე. ი. ჭიტა-სი და გურული-სა).

ხასანას. მართალია: თქვენი ვირი „ძლიერია“, მაგრამ ლექსი სუსტია და არ გირჩევთ ასეთი ლექსი მიუძღვნათ თქვენ პატივცემულ ვირს.

აუწკუდინიძეს (ქორეთი. შორაპნის მაზრა) მართლაც:

ვაუკაცაძე კარგი ბიჭია
მდივანი ჩვენი თემისა.
ხანდახან როცა დათვრება
ხოში მოუდის ცემისა.
დიდი სახელი გაითქვა
„რაინდმა“ კიდევ სხვა რამით:
ჩვენს თემის სამკითხველოში
ცხენი დააბა მან ღამით.

ალბათ იმიტომ, რომ ცხენს ჟურნალ-გაზეთები (თუ კი ასეთი არის თქვენს ამკითხველოში) წაეკითხა... თქვენც რომ მიჰბაძავდეთ გრიშას და მას დააბამდეთ გამსახლოში, იგიც ისწავლიდა... ჭკუას.

მი-რანს. (ხაშური) მართალი ხართ:

ვირს გოდორი უხდება,
ლამაზ ცხენს კი ფაფარი.

და თქვენც ნუ გაგიკვირდებათ, თუ თქვენს წერილს გოდორი მოუხდება..

წყლის პირელს. (ოზურგეთი) ხელმოუწერელი წერილი არ ადიბეჭდება; თუმცალა თქვენი წერილი ხელმოწერილი რომც ყოფილიყო, მაინც არ დავბეჭდავდით ... წაიკითხეთ ეს სტრიონები თქვენს ლექსიდან

პლანტაციების მძარცველნი
სიმონ, სტეპკო და მელენტ,
ბალი გახადეს ძვალ-ტყავა,
დაუდგათ ცუდი მომენტი...

განა ამაში არის რამე სახეირო!!

მიშა ჩიბათელი. კარტ-ნარდის თამაშში თუ გომახურს პირველი ადგილი უჭირავს მთელს გურიაში,—ესეც კარგია და საკვირველიც არ არის, თუ:

ჩხუბი რომ არ მოხდეს აქ
არ იქნება წამია...
თამაშს ჩხუბი მოჰყვება,
მერმე თავში სკამია...

სკამები შეიცოდეთ და არა მოთამაშეთა თავები, რომლებზედაც ზიანდებიან სკამები.

გვპირდებით: ეს დაბეჭდეთ და შემდეგისათვის კარგს მასალას მოგაწვდითო.

ჰმ! ჰმ! ჰმ! ვიცით...

სიკოს (ტყიბული) ნუ სწუხდებით... არ გააგრძელოთ.



# ძვირფასი სტუმრები




ბედნიერია გამგე,—
ესტუმრა ცოლ-შვილ-დედა..,
სდგას შიკრიკი და გამგეს
მან თქმა ვერ გაუბედა,

რომ საქმისათვის უნდათ
ნახონ საჩქაროდ იგი...
კარებთან გაჭიმულა
მნახველთა გრძელი რიგი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრ. კომიტ. სტამბა, კამოს ქ. 68.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი ორი შაური

# ტარტაროზი

№ 63 | კვირა, 29 აგვისტო, 1926 წ. | № 63

## ქართული ანდაზა



ერთი — ყველასათვის

ყველა — ერთისათვის

# მოკლე პოემა „დიდ ბელადებზე“

ამბობენ:—იუპიტერი.
როცა კაცს დასჯის ვისმეო
მას, თუნდა ჭკუის ნატამალს,
არ მისცემს არ აღირსებსო.
თუმცაღა, ჩვენს მენშევიკებს
დასჯა არც სხვისაგან კლებიათ
და უბედობა თავისი
დღემდე არ დავიწყებიათ;
ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ
სულ სხვას გაეცვნენ ძალასა:
—თავისით გადადიოდენ
ოთურმა-ყირამალასა,
მაგრამ, ხომ იცით—თუ ზოგჯერ
რაა ბავშური ხალისი:
—სხვის ნაკვერჩხალს,რომ ხელს უყოფს
ვაშლი გონია თავისი,
ეთამაშება, ეცინის,
თავის ჟინს თვითონ ახელებს,
სანამ... „თამამი რაინდი“
არ დაითუთქავს აქ ხელებს!
მზგვსი რამ ბევრჯერ მომხდარა,
ვინძლო მოხდება შემდეგაც,
მაგრამ—ჩვენ ვნახოთ თუ ამ გზით
სად რა „ხუხულა“ შენდება!

I

სულ ორიოდე წლის წინათ
ჩვენ კუთხეს შორით მოესმა,
შეიქნა ორომ-ტრიალი,
შეიძრა ბარად ყოველი:
—ვინ გსურდათ—მათ არ ელოდა,
რა და რა ჯიშის ცხოველი?
თავადი-ნათავადარი,
მოაბლაკატო ვექილი,
უმრევლო ეპისკოპოსი,
ვაჭარი გამოქლექილი,
„სტანისლავების“ კავალერთ
პირს ნერწყვი გადმოსდენოდათ,
მათ მოსვლას—ბევრი კნეინაც
„გულის ფანცქალით“ ელოდა.
ფიქრობდენ:—აჰა, დაგვიდგა
დღეები სასურველიო,
სხვა ხმაზე აჭიკჭიკდება
„სამშობლოს“ მთა და ველიო,
თავადებს—მიწებს მისცემენ,
სულ სხვა დადგება ხანაო
და ეღირსებათ კნეინებს
„გოგოსგან“ ფეხის ფხანაო.
ასე ფიქრობდა ეს ხალხი,
ასე მსჯელობდა ეს ხროვა,
და სურდათ, რომ გამარჯვება
„უფლისთვის“ გამოეთხოვათ!

II

ამბობენ:—როცა ნოე ბჭობს,
მაშინ იცინის ვიღაცა,
არ გაუმართლდა ზრახვები
„ქალარა ბელადს“ ნოესა
და ნაცვლად მძლავრი ყიჟინის
მწარე წაწკანი მოესმათ.
თურმე კიდობანს ცხოველთა
ზღვა ისე არა სძირავდა—
სანამ მუშათა შემოკვრით
სულაც არ გადაყირავდა.
სალი გამოდგა ჩვენი კლდე,
ფოლადის იყო მარჯვენა:
—მან მენშევიკთა ფინიებს
შავი ზღვის ძირი აჩვენა.
არ გაუმართლდა მენშევიკთ
მიზანი უახლოესი
და დაუნდობლად ჩაყლაპა
ზღვამ—კიდობანი ნოესი!..

III

ორი ნოე ერთ ქუჩაზე
ოთხი ხელით მათხოვრობენ,
უმრევლობას განიცდიდენ,
უფულობას უფრო გრძნობენ.



როს „ლაჭრათ“ მოსვლა ნდომია
შორი გზით ორ „დიდ ნოესა“.



(თუნდ ნოეს ეხმარებოდეს
ამსტერდამი და ლიგაცა!)



ხალი, ჯვარი—სეითაკლდათ,
დარჩათ—„მადლი“ გელათისა
და „სახელი“—მიტოვებულ
აწ უჯარო ბელადისა.
ვის არა სთხოვს მოწყალებას
ორი ნოე ერთი კრებით,
მაგრამ... პარიზს უამათოთ
არ კლებია მათხოვრები!..

ჟჩარდია.

# კარგი დამოკიდებულება

**გადმოჩვეენებურებული.**

ჩვენმა ადგილკომმა მიიღო სამპროფბიუროსაგან მოწერილობა № 132,746:

—„რადგან ჩვენ მოწერილობაზე № 131,835 დღემდე პასუხი არ მიგვიღია, განმეორებით გაძლევთ წინადადებას შემოიტანოთ სამპროფბიუროში სამი თვის საწევრო ანარიცხები, რომელიც თქვენზე ითვლება. თუ ორ დღეში არ შეასრულებთ ყოველივეს, სამპროფბიურო მიიღებს ზომებს“...

— გაჩერდი,—გავაწყვეტიე კითხვა მდივანს,—შეისვენე ცოტა... არა შე მამაძაღლის შვილო, რატომ არ გაგიცია პასუხი პირველ მოწერილობაზე?“.

მდივანმა თვალები გამოქაჩა:

— კი, მაგრამ როგორ მეპასუხებია? ფული ხომ შემულია? მერე, რა?

— რა და ბრაა ფული,—მიპასუხა მდივანმა. მარტო მე ხომ არ შემიჭამია, შენც ჩემთან იყავი... მაშ, რა უნდა ვუპასუხო?

— სასამართლოში რაღას უპასუხებ? ო, შენც გოგრა გაქვს რაღა? წადი, მომიყვანე მემანქანე, პროფდისციპლინის სახელით მოსთხოვე ეხლავე მოვიდეს!

მდივანმა მოიყვანა მემანქანე.

მივმართე:

— ამხანაგო მემანქანე, პროფდისციპლინის ძალით დაბეჭდე:—„სამპროფბიუროს. სწრაფად. საიდუმლოთ“ დაბეჭდე?

დაიწყე ხელახალი სტრიქონით: „პასუხად თქვენი მომართვისა № 132,746 ადგილკომი გაუწყებთ, რომ ჩვენზე



— ამ ოხერს რა უშნო წვივები აქვს!
— სამაგიეროდ ისეთი მიმზიდველია, რომ ჩეკაზე უფრო „იპერს“... გამფლანგველს.

დარჩენილი ფული ესტი, ბრესტი, ნესტი რეზინოტრესტი“...

— როგორ, როგორ? რა?—განცვიფრებით დააღო პირი მემანქანემ.

— ესტი ბრესტი ნესტი რეზინოტრესტი! მგონია გასაგებათ გიკარნახებთ?

— კი, მაგრამ რას ნიშნავს ყველაფერი ეგ?

— ეს თქვენ არ შეგეხებათ. თქვენ პროფდისციპლინის ძალით გთხოვენ, თქვენც დაბეჭდეთ, ხოლო საპროფკავშირო საიდუმლო ქაღალდების შინაარსი თქვენ არ გეხებათ. ხომ დაბეჭდეთ „ნესტი რეზინოტრესტი“? დაუსვით მძიმე და განაგრძეთ:

—„შედეგათ ამისა ყლაპუსი ნამუსი ქაფუსი ოცდაორი“.

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ რას ეხება ეს ოცდაორი?—კრძალვით მკითხა მემანქანემ.

— ყლაპუსი ნამუსი ქაფუსი—დასწერეთ? მაშ ქვეშ მიაწერეთ „თავჯდომარე“ და ბრჩხილებში ჩემი გვარი, „მდივანი“ და ბრჩხილებში მისი გვარი. გაათავეთ? მადლობელი ვარ. შეგიძლიანთ დაუბრუნდეთ თქვენს ძირითად სამუშევარს, რომ შრომის ნაყოფიერება არ დაეცეს...

— მააშ ასე!..—წარმოსთქვა მდივანმა, როცა პასუხის შინაარსს გაეცნო. კი, მაგრამ რას ნიშნავს ესტი, ბრესტი, ნესტი და რეზინოტრესტი? ხომ არ შეშლილხარ? არის რაიმე აზრი ამ სიტყვებში?

— აზრი ის გახლავთ,—მკაცრად წარმოვსთქვი მე,—რომ მე და შენ აზრად არ გვაქვს ამჟამად გაფლანგეისათვის სატუსაღოში ვიჯდეთ.

— კი, მაგრამ „ყლაპუსი, ნამუსი, ქაფუსი და ოცდაორი“! აქედან რა გამოვა?

— რა გამოვა შე უტვინოვ დო... როგორ ფიქრობ ამ ქაღალდს, რომ მიიღებს რას იზავს სამპროფბიურო?

— რას და ექიმებს შეამოწმებინებს ჩვენ თავს. საგიჟეთში მოგვათავსებენ და ნუ თუ იქ ჯდომა სჯობია სატუსაღოს?

— არასოდეს არ ჩავჯდებით,—დამარწმუნებელი კილოთი უთხრა მდივანს. აბა, მიხვდი შე ჩერჩეტო: რა ქნა სამპროფბიურომ? გამოგზავნა ოფიციალური მომართვა თარიღის აღნიშვნით და ელის ჩვენგან ოფიციალურ პასუხს. ჩვენ რაღა ვქენით? ჩვენც გავუგზავნეთ მომართვაზე ოფიციალური პასუხი თარიღის აღნიშვნით. რასაკვირველია, ჩვენი პასუხი გაუგებარია. სწორედ ამიტომ, როგორ მოიქცევა სამპროფბიურო? ჩვენ პასუხზე ამა და ამ ნომრით, კვლავ გამოგზავნის მომართვას ამა და ამ ნომრით იმის შესახებ თუ რას ნიშნავდა ჩვენს პასუხში გაუგებარი სიტყვები და აქ ხომ შეცდომა არაა რამე და სხ. და ჩვენც მაშინ...

—...გამოვტყდებით მფლანგველობაში!—ხეპრეთ წამოიძახა მდივანმა.

— თფუ! კი არ გამოვტყდებით, შე ჩერჩეტო შენა, არამედ კვლავ ახალ პასუხს გაუგზავნით, რომ, თქვენი მომართვის პასუხათ ამა და ამ ნომრით, გაცნობებთ, რომ ამა და ამ ნომრით ჩვენ პასუხში მემანქანის წყალობით დაშვებულია შეცდომა, რომელსაც...“ და ამ ახალ პასუხშიც ბლომად ჩავურთავთ გაუგებარ სიტყვებს. მაშინ სამპროფბიურო ამ ჩვენს პასუხს საქმეში ჩააკერებს, ხოლო ჩვენ კი ახალი მომართვით მოგვმართავს, თუ რას ნიშნავს ჩვენი ახალი პასუხის გაუგებარი სიტყვები“ და მაშინ...

— მოითმინე...—გამაწყვეტია სიტყვა განცვიფრებულმა მდივანმა:—ასე ხომ ორ თვესაც გაგრძელდება მიწერ-მოწერა და კითხვა-პასუხი!

— ოთხ თვესაც, ჩემო კარგო! მიხვდი ეხლა?

დივანს სახე გაუბრწყინდა, პირდაღებული ჩამოჯდა და მუხლებზე დაირტყა ხელი. შემდეგ აღფრთოვანებით წამოიღუღლუღა:

— ოჰო! რა კაი მოფიქრებულია! მართლაც, რომ გენიოსის გოგრა გაქვს!

— აქ არაფერია არაჩვეულებრივი,—დამშვიდებული მიუგე მე. ეს ყველაფერი ძველი ხერხია, რომელსაც „ბიუროკრატიზმი“ ეწოდება: იდი ჩვენით არ დაწყებულა და არც სამპროფბიუროთი დათავდება!



— რა ხდება იქ, რა ამბავია? რატო სდგას ამდენი ავტომობილები?
— იქ თათბირია,—მომჭირნოების გატარების შესახებ!

(„ნიანგი“)

# სიმართლე

ბორჯომიდან წალვერში მიმავალ მატ. № 3-ში ზის ებრაელი თავის ცოლშვილით.

რძიანი ბოთლი, რომელიც ებრაელს ზევით ჰქონდა შემოდებული, გადმოვარდა. დაეცა მგზავრს კალთაში, კალთიდან რონოდის იატაკზე და ბოთლი დაიმსხვრა.

**რევიზორი:**—ვისი იყო ბოთლი?

**ებრაელი ბავში:**—პაპა! ჩვენი ბოთლი დაიმტვრა!

**ებრაელი:**—რა ბოთლი, რომელი ბოთლი?

**რევიზორი:**—რომელი და აი რძიანი ბოთლი, ხალხი რომ დასვარა!

**ებრაელი:**—მე სხვა ბოთლი მეგონა. სარძევეთა მაქვს საქმე??. ჰლექიანი კი არა ვარ!

**ბავშვი:**—პაპა! ჩვენი რძიანი ბოთლი გადმოვარდა.

**ებრაელი:**—(ჩუმად ჩხვლეტს) დადუმდი, შე დასადუმებელო!

**რევიზორი:**—როგორც ირკვევა ბოთლი თქვენი ყოფილა!

**ებრაელი:**—დაიჯერე რომ, ჩემი არ არის!

**ბავში:**—პაპა! ჩვენი ბოთლია, ისე მიცოცხლე!

**ებრაელი:**—(გაბრაზებული ცოლს) დაადუმე დედაკაცო, ეს დასადუმებელი,თორემ ვაგონიდან გადავაგდებ. (თავში სცემს).

**ბავშვი:**—რასა მცემ! (კივის) ვაიმე!... ვაიმე—ვაიმე!

**რევიზორი:**—წესიერების დარღვევისათვის უფრო მეტი გადაგხდება!

**ებრაელი:**—(ცოლს ჩუმად) დააჩუმე, დააჩუმე მაგ პირძაღლი, ძილი ხომ არ აყოლია მაგ არ გასაღვიძებელს. (რევიზორს) ჰკუით ავადმყოფია, ამას უჯერებ?.. კაცნი ვართ, ჩემი დაიჯერე!

**რევიზორი:**—ზედმეტია ლაპარაკი, გადაიხადეთ ჯარიმა!

**ებრაელი:** რატომ, რას მემართლები?

**რევიზორი:** შენმა რძიანმა ბოთლმა დასვარა ხალხი!

**ებრაელი:**—ვინც დაისვარა ის არ მთხოვს ფულს და შენ რაღა ამეკიდე? მარა, მაინც ის ჩემი ბოთლი არ არის, ცოლშვილს გეფიცები სხვისია!

**ბავში:**—პაპა! ზუსტად აიხედე, ის ჩვენი ბოთლი იყო ბორჯომში არ იყიდე?!.

**ებრალი:**—(გაბრაზებული) რა აიჩემე შე სათოკე, რა აიჩემე შე საციმბირე. შე დასამიწებელო. აღარ დაჩუმდები?!. (სცემს) აღარ დაჩუმდები?.. ძაღლივით ჩამოგახრჩობ!..

წალვერის სადგურზე ებრაელი შეიხმეს და რკინიგზის წესდების მიხედვით 3 მან. დააჯარიმეს. ებრაელი გულმტირალი ვაგონში შევიდა.

**ებრ. ცოლი:**—ეს ბავში, რომ შემომაკალი ხელში რა ბნედამ წამოგიარა?

**ებრაელი:**—ბნედა და შავი დღე არ მოგშორდა ორივე დედა და შვილს! ისე გაიხაროს თქვენმა სიყმემ, როგორც ჩემი გული გაიხარებს დღეს. მარამა სულ ამაზე ამოვიყრი ჯავრს სცემს, ბავშვი ცივი ხმით ყვირის).

**ცოლი:**—(ხელში ეცემა) გაგიჟდი, გაგიჟდი შე გასაგიჟებელოო... ბავშ მიკლავ!...

**ბავში:**—სიმართლე, რომ გითხარი იმიტომ მკლავ?..

**ებრაელი:**—შენი სიმართლე სამი მანეთი დამიჯდა, მარამა, სამ დღეს გამარხულებთ, თქვენ ზურგზე ავიღებ!

ჯოხტაიდი.—




– ეს არის კედლის გაზეთი, ეს არი ზღვა. რა მზგავსებაა მათ შორის?
– წყალი ზღვაშიაც ბევრია და გაზეთის მეთაურ წერილშიაც!
— რაღა ვანსხვაევბაა?
— ზღვას მარილი სჭარბობს, ხოლო წერილი მთლად უმარილოა!

# ვის როგორ ესმის!

— ბენტერაძე, აბა ადექ და მიპასუხე: რა არის რეჟიმ-ეკონომია?

— რეჟიმ-ეკონომია სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: მომჭირნეობას, ლაზოგვას, მომარაგებას.

— სადაური სიტყვაა რეჟიმ-ეკონომია?

— უცხო სიტყვაა და ფართო მნიშვნელობით შეიძლება ასე ითარგმნოს: აშენებულის დანგრევა, შეძენილის დაღუპვა, შეგროვილის დანიავება, მოწყობილის დაფურკვა, წყლის-ნაყვა და სხვა და სხვა.

— რეჟიმ-ეკონომიის ცხოვრებაში გატარება ყველასათვის სავალდებულოა?

— სავალდებულოა ყველასათვის, გარდა იმათი, ვინც არ ეთანხმება: არც საღ მოსაზრებას, არც სინამდვილეს!

— აბა, ახლა შენ ჩერჩეტაძე, დამიმტკიცე რომელიმე მაგალითით, რომ რეჟიმ-ეკონომიის ცხოვრებაში გატარებას დიდი სარგებლობა მოაქვს?

— ქალაქის ერთ-ერთ დაწესებულების ტრანსპორტისათვის საჭირო იყო, კიდევ ორი ცხენის მომატება და მომატების მაგიერ ცხენების რიცხვი შემოკლებულ იქნა ორი ცხენით.

— ვფიქრობ, მაგაში რაღაც გაუგებრობაა?

— სრულებითაც არა; ყველაფერია ცხადია და გასაგები: ორის მიმატების მაგიერ ორი იქნა გამოკლებული, არც მეტი და არც ნაკლები:გამოკლება და მიმატება ერთი და იგივე გახლავთ, ვინაიდან მსოფლიოს ამით არც არაფერი აკლდება და არც არაფერი ემატება.

— კი, მაგრამ რანაირი მომჭირნეობა მოჰყვა ცხენების შემოკლებას?

— ორმაგი მომჭირნეობა: ჯერ ერთი ორი ცხენის საკვები ყოველ დღე რჩება, მეორე, შემოკლების შემდგ დარჩენილი ცხენები, რადგან სულ მუშაობაშია არიან (დღისით ჩვეულებრივი მუშაობის, მხოლოდ ღამით სასწრაფო მოთხოვნილებებისა გამო) ამისათვის ქანც-გამოლეულებს არც იშტა აქვთ და არც მოცალება ჭამისათვის, ასე რომ ბაგაში ჩაყრილი საკვები ნახევარზე მეტი პირუხლებელი რჩებათ. ყველა ეს, რომ ვიანგარიშოთ, საკვების მომჭირნეობა დიდი წარმატებით მიმდინარეობს.

— დიდხანს გასტანს ასეთი მომჭირნეობა?

— მეჯინიბე გასან-უსეინ-ოღლის წინასწარმეტყველებით ორს ან სამ თვეს.

— მაშ, სამწუხაროთ, ჩქარა მოისპობა მარაგის დაგროვება?

— პირიქით,ორი-სამი თვის შემდეგ უფრო ფართოთ გადიშლება მომარაგების პრესპექტივები.

— როგორ და რანაირად?

— ისე, რომ ცხენები უეჭველია ფეხებს გაჰფშიკავენ, სამუდამოთ კაპიჭი შეეკვრებათ და მაშინ საკვების მარაგიც 100%-დე გაიზრდება და აბა, ვიანგარიშოთ დღეში თუნდა სამი ფუთი ქერი და ამდენივე თივა, რამდენს მარაგს დააგროვებს ერთი წლის განმავლობაში?..

— ჩამომითვალე მარტო გვარები იმ დაწესებულებების მეთაურებისა, რომელთაც ფართო მნიშვნელობით ესმით ეკონომია—და ასევე თვალსაჩინოთ ჩაატარეს, ან ატარებენ რეჟიმ-ეკონომიას?

— მომპარია, ჩაჯიბაია, გაიძვერაია, აშმორდია, აფრაკიძე, თავთხელაძე, ვირეშმაკაშვილი, ხლუსტიან, აფერისტიან, აზარტიან, დარდაკიან, რიფმაშენკო, გრიშმონ, ხულგან-პრეობრაჟენსკი, კაბაკუ-უსპენსკი, გრიზუნოვ-მირსკი, ჩორტოსვიატსკი....

— კმარა, კმარა,

ჩვენც გვეყოფა, დავჩუმდეთ, სიტყვა „ხაზაისტვენიკებს“ დაუთმოთ!

—————იანიჩარი

# „ახსნა“



ქალი:—ვერა ხედავ, ჩვენი გამგე რა მშვენიერი ტენორით მღერის? ბანი მაინც დააწიე:
**სარევიზიო კომისიის** წევრი:—ბანი დავაწიო, რა—აქაც ხომ საზოგადო კრება არაა?

# ღამე მუშტაიდში

## პოემა-რომანი

მოვიდა საღამო
ცისფერი, წყნარი...
სიჩუმის ნისლია
და არ ქრის ქარი!

მტკვრიდან ცისფერი
ლანდები მოდიან.
(ო! შენი შეხვედრა
ვიგრძენი მე გვიან!)

ლურჯია საღამო,
სად წავალ არ ვიცი!
(იქ ვიღაც პოეტი
ტკივილებს განიცდის.)

—

მუშტაიდს ვესტუმრე
ფარული ლანდივით;
რომ დავჯდე არ არის
არც ერთი ადგილი.

დიდძალი ხალხია...
თვითეულ ხის ძირას;
ორია; ერთმანეთს
კოცნიან ხშირ-ხშირად!

აშკარად, ფარულად
ისე ვით ხერხდება.
(ამით ხომ რაიმე
აროდეს ფერხთდება!)

—

„ფარულ ტკივილებით ბაღი დაბურული
მწვანე მუშტაიდი უსათუოდ არი!
ზოგი უმიზეზოთ კარგავს შეყვარებულს
ზოგმა სულ ადვილათ შეიძინა „ქმარი“!
მესმის გრძნობით სავსე ხმათა მღელვარება:“
„მიყვარხარ ნუგეშო, მინდა შენ დაგზდევდე
აქ ქალი ადგება და იტყვის მწუხარეთ:
„მშვიდობით, შვიდობით ამაოდ დაგენდე!“

თანდათან ბნელდება შრიალებს ფოთლები
თავდება წარმოდგენა და ისმის ტაში.
ცაზე ბრწყინავენ ჩუმი ვარსკვლავები
და შეყვარებულებს აყროლებს ტანში.

საათმა თორმეტი დარეკა,
დეშვა შუა ღამე, უკუნი...
ხეებზე ყვავები შეირხენ
და ისმის ორთქმავლის გუგუნი.

აქა-იქ ელექტრო ციალებს,
აქა-იქ მოსჩანან თავები;
ზოგს ხელში ხელი აქვს გაყრილი— — —
ზოგს კიდევ თვალებში თვალები!— — —

...და როცა ისინი ერთმანეთს ეკვროდენ;
დარაჯმა თვალები უსწორა ლარივით.
იშიშვლა „სვისტოკი", ღონივრად ჩაბერა
მისი ხმა გარემოს მოედო ქარივით.

წამოდგენ... დარცხვენით დანებდენ ბრძანებას
კრძალვით დაიძრენ, მორცხვათ და მორიდვით;
და როგორც წესია კანონის დამრღვევთა
გამსახლში უჩვენეს მათ ბინა ორი თვით!.. იანო.




— სად მიიჩქარი?
— მზის ვანების მისაღებათ!
— მაგისთვის ზედმეტ ხარჯს რად ეწევი:—მილიციონერად შედი და არც მზის ვანები მოგაკლდება და არც ტალახის!

# სადღეისო სიმღერები

**(ოზურგეთისათვის)**

ოდელია ჩარი რამა,
დავისწავლეთ შნოზე ჰამა:
ქორწილია თუ ალაპი,
ყველამ ვიცით—ყლუპი-ყლაპი,
თითქოს ვიყოთ რომის პაპი
ვიტენებით როგორც ხაპი!
გვიყვარს გოჭი, ინდაური,
მასთან ბეჭი, ღომი, პური,
ღვინო გვინდა თითო ქური;
გვაღლიტოს ვინმემ ყური
მართლაც ჩვენზე არის ახი—
თითო ჯოხი და მათრახი.

ოდელია დელასაო,
შევესწარი ბელასაო:
ქადირია ორი ძმაი,
მიემატა იმას დაი,
ყველა „ოტკით" გალეშილი
რამდენია კიდევ სხვაი—
ზოგი მდგმური, ზოგი კურო,
ხელში დაიჭირეს ქვაი
დაუშინეს ერთმანეთსა,
იძახოდენ: ვაი-ვაი.
შეიღებეს თავი წითლად
(ამგვარებს ხომ ასე უნდა)
შემდეგ გამოფხიზლებული
ყველა სახლში წაბლაცუნდა.

ოდელია რამაშაი,
აგრე უნდა თამაშაი:
მოხელეა ის თუ ჩარჩი,
ვაჭარი თუ ნახუცარი,
ყველა ჩამწვარია ნარდში
იძახიან—„დავბაჩარი!..
თავს იყრიან ერთად ყველა
თამაშია „ოჩერედით",
როცა ორი ქვას აგორებს,
სხვები მიჯდომიან გვერდით!

**ხათაბალელი**

# ქელეხი

**(დიდი-ჯიხაიში)**

ქელეხი ჩვენში შეიქმნა,
ქორწილის შემადარია.
ყველას ადარდებს პურ-ღვინო
და არა ვილაც მკვდარია.
თუ რომელიმე ქუჩაში,
ვინმემ ადინა ბრაგვანი,
იმავე წუთში გაჩნდება
იქ მღვდელი და დიაკვანი.
გახდება ბჭობა ბაასი,
როგორ დაიცვან წესია.
და გადაწყდება: ტირილზე,
რომ ღვინო უკეთესია!
თვრებიან, ილეშებიან,
და სვამენ სადღეგრძელოსა,
რომ მიცვალებულს იმ ქვეყნად,
უფალმან განუსვენოსა!

**ბაბაიკა**

# საპროფკავშირო



— „მომარაგება“



— „დატვირთვა“

# ა რ ა კ ე ბ ი

(გადმო ქართულებული)

## გედი, კალმახი და კიბო.

— „გედმა, კალმახმა და კიბომ
შეკრეს პირობა მისთანა,
რომ ერთი ტვირთი სამივეს
ზიარათ გადაეტანა.
გულმოდგინებით გაებენ
სამივე ერთად მარხილში,—

მაგრამ, სხდომებზე, რომელიც ამ საკითხის გამო იყო მოწვეული, ვერ შეთანხმდენ, ხმები გაიყო და, საკითხი, შესათანხმებლად კომისიას გადაეცა!.

## მაიმუნი და სარკე

— „მაიმუნმა თავის თავი
სარკეში, რომ დაინახა,
დაპრანჭული, დაჯღანული,
დათვს ჯლიქვი მკრა, მიაძახა:
„მოდი, ერთი ჩაიხედე!
რა გიჩვენო დათუნაო?“

— კმარა,—უთხრა დათვმა,—ჩვენ ამოვსჭრით კედლის გაზეთიდან მაგ ადგილს, ხოლო სარედაქციო კოლეგიეს კი—კისერს ვატეხინებთ!

## ლომი და მგელი

— „ერთმა ლომმა საბრალო კრავს
დაუყენა ცუდი დილა,
გაგლიჯა და წინ დაიდვა,
მადიანათ ისადილა.
იმავე დროს წუწკი ლეკვიც
მიეპარა ნასუფრალზე,
ლომმა არრად შეიმჩნია!..
სჩანს შეხედა კაი თვალზე.
გაიფიქრა: „ჯერ ლეკვია,
ბრიყვია და უმეცარი!..
და მე როგორ მეკადრება
დავატეხო მას თავზარი?“
იქვე იდგა სულ წასული
პირდაღებით დიდი მგელი
და იმასაც მოენატრა
კარგი ლუკმა გემრიელი,
სთქვა:

— ეეხ! პატარა ძაღლი დაბერებამდე ლეკვია, თორემ შეეხედა ერთი ლომს, თუ ამ ფინიამ რამხელა ლუკმა ირგო კოოპერატივიდანო!.

## მელა და ვირი.

მელია შეხვდა დიდ-ყურას
და უთხრა: „ნათლი-ჯალაბო,
რა კაი გუნებაზე ხარ!..
საიდან მოჩანჩალობო?“
ვირმა მიუგო: „ნათლიავ!
ლომთან ვიყავი ვნახეო!“

— ხოოო!..—უთხრა მელამ.—დიდათ, დიდათ მოხარულ ვარ თქვენთან შეხვედრას, ამხ. ვირო... ნება მიბოძეთ, ეგ თქვენი ფუთა მე წამოვიღო:თქვენ თვითონ რატო იწუხებთ თავს?..

## არწივი და ფუტკარი

— „ერთხელ არწივმა, რომ შეხედა ყვავილზე ფუტკარს,
დამამცირები ფუტკირასდმი აიღო კილო:
— ო, უბედურო! ვით მებრალვი, რომ მუშაობა
დღეს შენი არის ცამღალავი და სათაკილო!
ერთ პაწა სკაში ათასობით ხართ თავმოყრილი,
მუშაობთ უხმოდ, მაგრამ კაცმა შენ უნდა გკითხოს:
— შემდეგ ვის ძალუძს, შენი შრომა დღეს თავ-წარგული,
სხვათა შრომისგან გაარჩიოს, განახარისხოს?!

— ამის შემდეგ ფუტკარი თავის საბეჭდი მანქანით მივიდა არწივთან სახლში—და მალე განარჩიეს იგი ერთი სატარიფო განაკვეთის მიმატებით!..

## ტრიშკას ხალათი.

— „ტრიშკასა იდაყვზე გაეჭრა ბლუზა,
მაგრამ იდარდოს ტრიშკამ ამაზე?
ბლუზას სახელო ჩამოსჭრა ცოტა
და მიაკერა იდაყვი წამზე.
დააკერა ბლუზი, მხოლოდ სავსებით
ტიტველი დარჩა ორივე მკლავი,
მაგრამ, რა ვუყოთ, მიბრძანეთ ერთი:
— რა ქონდა ტრიშკას აქ გულსაკლავი?

— ვამაგრებთ წარმოებას! მომჭირნეობის რეჟიმი გატარებულია ყველა ასი პროცენტით,—აუწყა ტრიშკამ ტრესტის გამგეობას!.

მორიელი.

# „ტერმინოლოგია"



—„ზედმეტი სამუშაო ხელფასი"



—„ზედმეტი სამუშაო საათები"

# გაკატვება

— ეხ, მახლაზ, ეს რა ფათერაკიანი ზაფხული მოეიდა ჩემთვის წელსა და!.. არა რამტოლი ნეჩაინი პრიკლუჩენია მამივიდა, რამტოლი აბიდა ვქამე და ბაიაზლივი პერეჟივანიები გამოვცადე ქრისტიანო, ჟამანაკები ამერია და პირდაპირ პარკსერცა მამდის რაღა. ჰუზურში თქვენ მეტყვით რომა ესეც სუევერია არისო ჰამა, მე მაინც წერასა და ფათერაკს ვაბრალეფ: როცა ყისმათის სასწორიდან აბრა გადავარდება, ადამიანების საქმეებიც კურაპატკინივით სულ უკან-უკან იწევს და უკანიდან ბევრი ტალკაიტიც რო უყო წინ ველარ წაიყვან! რას იცინი, მართალს გებნები ჩემი სიყმის მზემა.

არა, ჩემი ბრალიც კი იყო, სულ-ქვეშ რო ვთქოთ ახია ჩემზე: რას ავყევი ამ ჰაკარაკ ფეფელოსა რაღა დროს ჩვენი გაკატავება იყო ამ კოჯრისაკენა და... მაგრამ შენც ხო იცი, ძაან სვაენრავნი დედაკაცია და თუ ერთი რამე წამააყრანტალა, მერე ჯორცხენასავით გაჯიუტდება და სანამ თავის საქნელს არა ჰქნამს, აღარ მოგეშვება. ეხლაც ასე იყო რაღა:

შაფათ საღამოს ფინაჩ ღაღუას ცოლმა პიკნიკი ქნა და ჩვენც დაგვეპატიჟა. ეს ფეფელა ვიტრინის თოჯასავით მაირთო და მებნება თუ—გეოჯან, მე ეხლა წავალო და შენც ჩაის დროს მოდი რომა პრავაჟიტი მიყო, ხომ იცი, მარტო ვერ წამოვალ, ზატივანიებს გამიკეთებენო! ფეფელო რო წავიდა, მე კარებ ჩავკეტე და წამოვწექი— ხომ იცი, ნიკრისის ქარები მაქვს და გაციებისა მეშინიან. ჩამძინებოდა და დრო გასულიყო. კაშმარნი სიზმარი ენახე, რაღა, მაჯლაჯუნა დამაწვა და იმან გამაღვიძა თორემ კიდევ დავიგვიანებდი და ფეფელო ყალმაყალს ამიტეხდა. როცა მიველ და ღალოანთ აკოშკაში შევიხედე, მეგონა ფითოევის ტრიატია, ან გარაცკოვი კრუჟოკი მეთქი: გძელ სტოლზე ჩამწკრივებულან და გახურებულ ლოტოსა თამაშობენ. ამ ფეფელოს ძალიან ნერვენი ვირაჟენია ჰქონდა და გული გამისქდა, ვაი თუ წაავგო მეთქი, ჰამა მერე ენახე, რომ საქმე კარგად წაუყვანია და ფული მოუგია. შაველ თუ არა, მაშინვე ის მამძახა;—კაი ფეხზე მოვსულვარ გეოჯან, მთელი ამ ხალხის ვიგრიშები სულ მე შამამდისო!.. პასლედნი თალია პაკრიშკა იყო და ისიც ფეფელომ მაიგო. ჰუზურში ამ საღამოს კაი ათი ჩერეონცი ჭაკეთა.

საათის თორმეტი იყო, როცა ვახშამი დაიწყო და ცხენების დოხტური ალალუაანთ ვართანა თავისი ცოლით აჩქარდნენ:—ჩვენ ხვალ კოჯორში საკატაოთ მიედივართ და ღამის გატეხვა არ შაგვიძლიანო. ამ ბემურაზმა ფეფელომ ყური არ მოჰკრა!.. აიტეხა,—გიდა თუ არა ჩვენც უნდა წავიდეთო, ხო ჰხედავ, განათლებული ხალხი სულ ასე ექვსკურსიაზე დაკატაობენ და ჩვენ კი მეშჩანცკურათ სახლში ვსხედვართ, ან პიკნიკებზე და არიფანებზე დავდივართო.

ვებნები—ადამიანო, რის კატაობა, რის ძაღლაობა,— ახარ პოპოპები საბუდრიდან ნუ წამოშალე და! რას ასცუნცრუკდი ამ სიბერის დროს, სხვებს რას ასდევ, იმ ფუნიკულორის ამბავი აღარ გახსომს, მთელი ერთი კვირა სულ თელეთის კურატივითა ბოდამდი მეთქი?

საქმეში ხარ? არ გამიგონა, თქვა, მორჩა: პირში მუთაქაც რო ჩასჩარო სიტყვას უკან აღარ წაიღებს:—ეს ჟარკი ზაფხული აქ გამიტარებია, ერთხელ მაინც გავიგულავებო,—შენ თუ არ გინდა, მე კაველრს ვიშოვი და მარტო წავალო, ფული მამიგია, ერთი გაკატავება მაინც შამრჩება, ინტელიგეცია ხალხში ავტამობილით გავერევიო. რას ვიზამდი, წავყე, ვახშამს აღარ დაუცადეთ...

შეორე დღეს დილა ადრიან ამ თამამშოვის ქარვასლის წინ ატოცის გლახასავით ავიტუზეთ და ბილეთს უცდით. მთელი მილეთის ხალხი მიდიოდა და ჩვენი ოჩერედი ძლივს მოვიდა. ვიშოვეთ ერთი ჯაბახანა ავტამობილი და რახრახით შევუდევით ამ კოჯრის აღმართას. ვაჲ ჩემა მზემ მართლაც რო ცხოვრების შნო ჰქონია ამ ინტლიგეცია ხალხსა რაღა, ისე მივქრივართ გეგონება, გალიცინი მოდისო, ვინც კი გეხვდებოდა სულ ჩვენ შამოგვნატროდა.

ფეფელა მებნება:

— გიამება გეოჯან?—ეს ლონა პრიროდა არის, განათლებულ ხალხში ძალიან მიღებული რამეა და ასეთ რამეებს ესტენცკი ნასლაჟდენიებს ეძახიანო.

ასე ჰუკჰუკით რო მიედიოდით, ერთიც ვნახოთ, წინა ავტამობილები სრაზუმ არ გაჩერდა! ატყდა წივილ-კივილი და აქეთ-იქით გაქცუნ-გამოქცუნება... გული გაგვისქდა, ვკითხულობთ—რა ამბავია?

თუო—წინა ავტომაბილზე ჰავარია ქნესო, ნესჩასტია მოხდა და ერთი ჯეჰელი ქალი მოკვდაო. თურმე ეს ჰავარია იტლიგენციის ენაზე ავტამობილის დამსხვრევა ყოფილ· ჲა ხალხი დახოცილა.



ვა, შიშისაგან დასატამალივით ჭიწურებით. ამ ეშმაკის მაშინაში რამ ჩაგვსხა, ეხლანდელი ავტამობილით სჰგულაოთ კი არა, საიქიოს უბაშფორთოთ მიჰყავთ ხალხი მეთქი.

ფეფელო შოფერს უყვირის: არ გაქცუნდეს, ჩქარა ასტანავიტი ქენი უნდა ჩამოვიდეთო. რას იზამ, ჩამოვედით და კოჯორი ვილას აგონდება, შოშიას გზით უკანვე დავბრუნდით ქალაქისაკენა. ამ ბატანიწკი ბალის გადასწვრივ, ოქროყანის მინდორს ეტყვიან, იქიდან ქალაქი გამოჩნდა. გულები საგულეში ჩავარდა რალა და ჩვენც დავსხედით დასასვენებლათა. იქვე გვერდით ყანა იყო. შაველი. გავიარ-გამოვიარე და თან ფეფელოს ვებნები:

— ახარ ფეფელოჯან, რისგნით უნდა შაგვეშინდეს, ვაჟკაცი გვერდზე არა გყევარ? ისეთი ნეუსტრაშიმი გულადი ვარ, რომა ჩემ ჯეჰელობაში კონკის ქვეშ ჩავვარდი და ცოცხალი გადავრჩი მაშ!.. ვთოქ, ახლა აპასნი ადგილზე ვართ, ვაბრაჟიტი ვქნათ, რომა ეს ყანა გერმანწკის კავალერიაა, მეკი დრაგუნცკის პოლკონიკი და მარტო ატაკაზე მივდივარ ხმალ-ამოღებული ვყვირი— „სპრავა რუბი, სლევა კოლი“ მეთქი და თან ჯოხით თავთავებს ვამტვრევ. ფეფელოსაც უხარიან, რომ ასეთი ხრაბრი ქმარი ვყევარ. ერთიც ვნახოთ, ამ შუა ყანიდან ზლოი დუხუვით პირდაპირ ერთი ახმახი ტეტია არ ამოძვრა! თვალები დამიბრიალა და დამიყვირა.

— შენ ეი, საკალბასე ქოფაკო. ამ ყანას რაზე მიოხრეფ, ხომ არ გინდა აქვე გაგათაოო!

ვა, პირდაპირ სტალბნიაკი მამივიდა რალა—ერთი ახმახი ვინმეა, ტელეგრამის სტოლბა გეგონება, იმსიგძე ის ემე ჰკიდია—ხანჯალი, რომა სპილოს დაარტყა—შუაზე გასჰრის! მოვიდა კისერში ხელი დამავლო და ისე გადმამისროლა როგორც კიტრის ნაფცქვენი:

— ეხლავე სირბილით წადი, უკან აღარ მაიხედო,



შენ ცოლთან ტაინი საიდუმლო მაქვსო!.. ეს ფეფელა ცალკე ტირის, მეც აქედან ვეხვეწები გაგვიშვას, ჰამა ის თავისას გაიძახის. უცბათ ხანჯალზე წაივლო ხელი და მებნება—ეხლავე შენგან ქუფთას გავაკეთეფ და სოფლის ძაღლებს დავაძღოფო... ვებნები:

— ძმაოჯან, ხანჯალი რათ გინდა რომ იღეფ, ერთი მუშტი დამარტყი რალა, აქვე სული გამძვრება მეთქი...

— ჰაი შე ქოფაკო, შენ მახსარათ მაკეთეფო? და ამაიღო ხანჯალი! მე აღარ მახსომს როგორ გამოვჰენდი, გონზე მაშინ მოველ, როცა სოლოკის გორაზე გადმოვდექ; აქაც ის ახმახი მელანდებოდა და ვყვიროდი:—გამაქცუნეთ, მარტყამს მეთქი!..

ფეფელო იქ დარჩა... საღამოთ მეზავრებს ჩამაეარნათ და აი ვერელი ფალადა როა, ტარტაროზის ბულანტერი—ჯეჰელი ბიჭია, იმან მაიყვანა სახლში და მებნება თუ ფუნიკულორის გზაზე ობმოროკიანი ეგდოვო. კაბა სულ შამოხეული ჰქონდა—ყანებმა დამახიესო.

ეს ორი კვირაა ფეფელოს რაღაც ნევრენი პრიპადკები დასჩემდა და ამოფს თუ იმ დღეს აქეთ გულის რაშირენია მამივიდაო.

— ვებნები ადამიანო, რა[illegible]ოგივიდოდა, მაშ რა ღმერთი გაგიწყრებოდა, იმ[illegible]კალამომდის ყოფნითა მეთქი.

ეხლა მირჩევენ, თელეთში წაიყვანე, სამლვთო ქენი და მორჩებაო. ღმერთმა ქნას ასე იყოს, ამასაც ვიზამ... აი, ასეთი დღე დამაყენა ამ კოჯრისკენ ავტამობილით გაკატავებამა... აბა ერთი მითხარ მაშ ეს ყისმათი არ არის?..

კარსადან.

# „მებადური“

(სცენა მეტეხის ციხის ახლოს. მებადური ზის კედლის ნაპრალზე, ღიღინებს, ანკესით „თევზებს“ იჭერს).

**მებადური.** მეთევზე ვარ და ვცხოვრობ პატიოსან შრომით,—

ნურვის გაუკვირდება თუ მე ვარ დურუჯ ხალათში;
ამ ტბაში თევზებს ვიჭერ, თუმც მებმებიან ომით,
მაგრამ მე ყველას ვამწყვდევ აი იმ დიდ კალათში.
(ციხეზე ანიშნებს)
ყველა უვნებელ თევზებს მე ვაფარებ ხელსა,—
დე, იხარონ, გამრავლდენ, იციცხლონ ამ არეში;
მაგრამ ონავრებს კი თავს ვასხავ წყალს ცხელსა,

ფუპ!.. რა ყარს ამ [illegible]რევში? აბა ვნახოთ... (ანკესით ამოათრევს თავადს—ყან[illegible] ხელში) პა-პა-პა... ოჰო, ორაგული! ნუ ფართხალებ, მაინც ვერაფერს გახდები... ჰმ... აქ რა გინდოდა? რად აყროლე ტბა?..

**თავადი.** მმმეეე?..

**მებადური,** ჰო, რაც მე დავსახლდი აქ, რას აკეთებდი?

**თავადი.** დაკარგულსახელს ვეძებდი,
ვერ ვნახე, დაკარგულიყო;
ღვინის სარდაფში ჩავედი,
კვარტებში მიმალულიყო...

—

დავლია, ჩავირაკრაკე,—
ჩემს ძველს დროებას ვტიროდი,
როცა გლეხებზე, მათრახით
ვთარეშობდი და ვყვიროდი...

**მებადური.** ვნახოთ კიდევ... (ესვრის. ამათრევს ბურჟუას)
ოჰო, ლოქო?!. რა გინდოდა ტბაში?

## გაკირული ხალხი.

გურია მოწინავე კუთხეა, მაგრამ აქაც მოიძებნება მივიწყებული კუნჭულები. ერთ ასეთ მივიწყებულ სოფელზე შემდეგს გვწერენ:




— „ოზურგეთის მაზრის სოფელ გაკირულ ხიდში იყო „ემოს" განყოფილება და ქოხ-სამკითხველო. ამჟამად ერთიც მიკეტებულა მეორეც.

მრავალჯერ ითხოვეს გლეხებმა ამ სამკითხველოს გახსნა, მაგრამ ვერავინ დააკმაყოფილა!"

სამწუხაროა, რომ სოფელ გაკირულ ხიდში ადგილობრივ ხელისუფლებას ისე ქონია ენა გაკირული, რომ გლეხების თხოვნას პასუხს არ აძლევს.

რა ვუყოთ, ყველაფერი მოსალოდნელია:

— არა 'თუ ენა, ბევრგან ტვინიც გაკირული აქვს ხალხს და ამიტომაა, რომ იქ არც სასოფლო საქმიანობა მოძრაობს!.

## „ალმშენებლობა“

სოფლად, რომ ალმშენებლობის საქმე წარმატებით მიდის, ამას შორაპნის მაზრის, ამაშუკეთის თემ-ალმასკომის თავმჯდომარის მოქმედებაც ადასტურებს, რომელმაც:

— „სხვათაშორის, თავის ეზოში მოაწყო მოძრავი „ფეხისადგილი", რომელსაც არც გოგრები უნდა და არც ორთქლი სჭირდება. თითონ გადადის ადგილიდან ადგილზე.

ამ ბოლო დროს „ფეხისადგილი", გადავიდა ერთ ფართო ღელეზე, საიდანაც ღელის წყალი ეზიდება სიბინძურეს ქვემოდ მეზობლის მარანთან.

მეზობელი ხმას ვერ იღებს, რადგან ხუმრობა საქმე ხომ არაა თავმჯდომარის „გადაკიდება!"

ტყუილა უფიქროთ მეზობელს, რომ ხალხისათვის უსიამოვნო თავმჯდომარის „გადაკიდება" სახუმარო საქმე იყოს.

აი, არც ჩვენ ვხუმრობთ და სრულიად სერიოზულად ვამტკიცებთ, რომ;

— ასეთი თავმჯდომარის „გადაკიდებაც" იოლია და გადაგდებაც!.



„...პქის"—შენს ლექსს ნამეტანი ...იმიდობით ზთავებს

„რა ვქნა რა ეწყობა,
რა ვქნა რა ეწყობა,
ამ ცუდ დროს რა ვიცი
რა გაეწყობა!"

„ამ ცუდ დროს" კიდევ გაეწყობა რამე, მაგრამ შენს ლექს ვერაფერი მოვუხერხეთ და, რა გაეწყობა—ისევ სანაგვე გოდორში მოვაწყეთ.

**მიხა მარიხელს** (ბათომში):—„ვინა, სთქვა ბადრიჯანზედა—

მისი სახელი ტყდებაო,
ბათომში აჯაფსანდალის
დღესასწაული დგებაო:
სადაც გაივლი, სუყველგან"
ეს ბადრიჯანი გვხდებაო!...

ნუ თუ ასეთი მარხულობაა თქვენ ბათომში, რომ იქ ბადრიჯან-აჯაპსანდალისა და... უშინაარსო ლექსების მეტი არაფერი კეთდება? სამწუხაროა.

**ჩან-ხელს:**—სატრფოს მიმართავ შემდეგი ლექსით:

„შენთან შეყრას მოველოდი
ვით ალდგომის გათენებას,
...ი გოძიობით გახახელი
ვერ ითმენდა დაყოვნებას"...

თუ ალდგომის მოლოდინთანაა დაკავშირებული შენი სატრფოს ნახვა, ტყვილია ნულარ აჩქარდებით, რადგან „მართმადიდებელთა" კალენდარით, ალდგომა წრეულს ალარ გათენდება.

**ნემსის წვერს:**—მართლაც „მხატვრულათაა" თქვენს ლექსში აწერილი ეწერ-ბაშის ყმაწვილების ქეიფი. თუ არ წაგიკითხავთ, ეხლა წაიკითხეთ:

„ყმაწვილბაშები ქეიფობენ
წმინდა გიორგზედა,
არლანი ხომ მათი არის.
ოპოპია ზედა!

ეს „ოპოპია", რომ არ ყოფილიყო ლექსი სანაგვე გოდრისათვისაც კი გამოუსადეგარი იქნებოდა.

**წითელ ძეძვს:**—თქვენ გვწერთ:

„ფული ჰქონდა—მისი არ იყო,
არტოში შევიდა შუაზე გაყო,
რევიზიის დროს—ალარც ის იყო
მან „კუტუსკაში" თავი ამოყო".

მოუნახავს თავის ადგილი და რალას ერჩი? იყოს თავისთვის „კუტუსკაში", სანამ არ მოეწყინოს.

# როგორ კვებავს პუანკარე




ფრანკს შავი პურით.


გამოიწერეთ

ნოემბრისათვის გაზეთი




ჟურნალი

თვეში ორჯერ

თოთხმეტი შაური

ტარტაროზი


საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კამოს ქ. 68.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი ორი შაური

# ტარტაროზი

№ 64 | კვირა, 5 სექტემბერი, 1926 წ. | № 64




ტარტაროზი:—აი, თაიგული, რომელსაც არც ერთი შეყვარებული ხელს არ ჰკიდებს გარდა... პროკურატურისა!

# კანონმაც მიღალატა

ეხლა, როცა სოფელში ვზივარ და კრუხს ფეხებს ვბან, კარგად მაგონდება ჩემი ცოლის საყვედურები:

— კაძახო, შენ არ იცი, რა ტანჯვა-წვალებაა სოფელში ცხოვრება, რომ გამოცდი, მაშინ ყველაფერს მიხვდები.

სოფელში ცხოვრება კარგა ხანია არ მიცდია, პატარაობიდანვე ქალაქის ადგილას დავდიოდი და სოფელი მივიწყებული მქონდა.

ბოლოს შემიჯდა ეშმაკი თავში და მაქნევინა სოფლისაკენ პირი. სოფელში დამინახეს თუ არა დედაბრებმა, ერთმანეთს დაუწყეს ცილობა მაჭანკლობაში. ვინ იცის, რამდენ რამეებს არ მპირდებიან:

— მზითი, ფული, ლამაზი ფუნთრუშა გოგო, კარგი მოყვრები და რავიცი!

მოუტყუებელი ღმერთიც არაა, და მეც შემაცდინეს. ეფროსინე, რომელიც მე მომათხოვეს, არ იყო ურიგო ქალი—მაღალი, წერწეტა და ამასთან ერთად კარში ნავალი, გამოცდილი, განვითარებული და თითქმის გაქალაქებული იყო.

— შეგაბეროს, შვილო, ღმერთმა ერთმანეთს მზე და მთვარესავით!—დაგვლოცა ჩემმა შუამავალმა დესპინემ,—მაგისთანა არც ქალი გათხოვილა ჩვენში და არც ვაჟი დაქორწინებულა!

მომყვა ქებას და, სანამ ათმანეთიანი არ იჯიბა, არ მოგვცილებია.

— შვილო, ქალი სახში უნდა დატიო, ოჯახობა უნდა ქნას! შენ კი შეგიძლია წახვიდე და ფულები გამოგვიგზავნო,—მარიგებდა დედაჩემი და ცოლის სახლში დატოვებას მპირუბდა.

— ნუ სულელობ, დედაჩემო! ცოლი რის ცოლია, თუ ჩემთან არ იქნება? ჩემი პირი და ლხინი, მაგისაც უნდა იყოს,—ვეუბნებოდი დედაჩემს.

— მე სოფლის კაცს არც გავყვებოდი,—დინჯად გამოურევდა ხიტყვას ჩემი ეფროსინე,—ქალაქის კაცმა ქალაქში უნდა მაცხოვროს სწორედ!

ვის დავუჯერებდით: ავკარი ჩემი ბარგი და ტფილისს გვსტუმრე.

მოვაწყვეთ ერთი ოთახი და მოვთავსდდით შიგ. ქალაქის ცხოვრება ძლიერ შეუყვარდა ჩემს ცოლს და ვერა დროს სოფელზე ვერ აფიქრებინებდი.

— კაძახო, რა მოგდის, რომ ერთი შენი აწევა არ მოხერხდა, რაც ნიკოლოზის დროს იყავი ის დარჩი მენშევიკების დროსაც, არც ამ კომუნისტების დროს გეშველა! ეს რავალი გამოსაწყვეტი გვარი გქონია?—დამიწყო ერთ დღეს საყვედური.

— ქალო, რავა—მე ხომ არ დავნიშნავ თავის-თავს გამგეთ და, აბა ხომ ხედავ, ჩვენში „საზავო“, „საზამზავო“ და სხვა კანდიდატები ბევრია. ვიყო საფრანგეთში, ნახავდი, რა მალე მიმელო მინისტრის პორთფელი!—ვიმართლე თავი.

— შე დალუპულო, საქართველოში ვერ გამომდგარხარ და საფრანგეთში ივარგებდი? იქინე შენისთანებს არც გაატარებენ!

— ისე გგონია შენ. ამ გაზეთებს ხომ კითხულობ? „მთავრობის კრიზისია, სამინისტრო ხალხს ეძებენ, პუანკარე უარს ამბობს პორთფელზე. დუმერგი ეხვეწება ხალხს—მთავრობა შეადგინეთო“. იქ ასე კი არაა, ჩემო ეფროსინე, იქინე უარს ამბობენ მინისტრობაზე, აქანე კი ერთმანეთს ეცილებიან. ვიყო, ნახავდი როგორი, მინისტრი ვიქნებოდა და ახლა რა უნდა ვსთქვა!—შევიქე თავი.

რაც დრო მიდიოდა, ჩემი ცხოვრება ქალაქად ძნელდებოდა, სოფლისაკენ პირის ქნა მინდოდა, მაგრამ ეფროსინეს რას გავუბედავდი.

— საშინელი გვარია ეს უჯმაჯურიძე,—დაიწყო ერთ დღეს ცოლმა.—რაფერ უჭკუო ვიყავი მაშინ, რომ შენ გვარზე დავეწერე. ეხლა უნდა გამოვიცვალო და ისევ ჩემი გვარი ჩავიწერო!

— მერე მაგის კანონი სადაა, ქალო?—გავიკვირვე მე.

— მე კარგად ვიცი, საცაა! შენ თუ გიყურე, არაფერი არ გამოვა. ასეთი საშინელი გვარის ტარება აღარ შემიძლიან მეტი!

— ნუ ჯავრობ, გენაცვალე, აგერ სოფელში წავიდეთ და იქ ყველაფერი გვექნება: საკუთარი სახლი, ეზო, მიდამო, ბაღი და ყველაფერი!

— რაო?! „სოფელშიო“? სოფელში ნაკლებად წამოვსულვარ! მე სოფელში ყოფნა მდომებოდა, აღარც გავთხოვდებოდი!

— მაშ, როგორ მოვიქცეთ, როცა ქალაქში საცხოვრებელი არაფერი გვაქვს?

— შენ წაბრძანდი სოფელში, მე კი აქ დავრჩები!

— რავა, შენ „რაზვოდს“ მთხოვ თუ?

— რაო, რის „რაზვოდია“? რა მაქვს „სარაზვოდო“? ცოლად წაგყევი და კიდევაც უნდა მარჩინო!

— უნდა გარჩინო, მარა უნდა წამოხვიდე კიდევაც ჩემთან!

— უკაცრავად, მე შემიძლიან აქ დავრჩე, შენ შეგიძლია მიბრძანდე და ფულები მიგზავნო იქიდან.

— ეს სადაური კანონია, ქალო?

— სადაური და აქაური!

— მაგისთანა კანონი შეუძლებელია!

— თუ შეუძლებელია, იკითხე და ნახავ!

რაღა გზა მქონდა. დავწერე და შევიტანე შეკითხვა „კომუნისტი“-ს რედაქციაში. ავწერე ჩემი მდგომარეობა და ვთხოვე ეპასუხნათ.

ჩემი ცოლი ცალკე ყიდულობდა გაზეთს და მე ცალკე. რავა მოველოდი ამას, რომ კანონი „უზაქსოთ“ გაგვთიშავდა.

— ეხლა დარწმუნდი?—მომახალა ერთ დღეს ეფროსინემ და გაზეთი „კომუნისტი“ № 189 მომაჩეჩა ხელში.

„თქვენი ცოლის მოთხოვნილება კანონიერია. დეკრეტი № 28 მუხლით მას უფლება აქვს თავისი გვარი ატაროს. იმავე დეკრეტის 98 მუხლისა, უფლება აქვს ქალაქში იცხოვროს“-ო. მეცა ელდა, მაგრამ რაღას ვიზამდი: კანონის წინააღმდეგ რას გავაწყობდი? ისევ დავთანხმდი.

— მაშ, შენ ხვალ აღარ მიდიხარ?—შევეკითხე ეფროსინეს.

— არა, ჩემო კარგო!—უფრო ტკბილად მიპასუხა მან.

— მაშ, რას დამაბარებ სოფელში?

— არაფერს. ჭკუით იყავი, საქონელი თუ გაუშვა—კარგათ მოუარე, თვეში ერთხელ ჩამოდი და ჩამომიტანე რამეები, რა გიზავს!

ხუმრობა ხომ არაა კანონიერი ცოლის ასე ტკბილად დაცილება, და მეც ცრემლი მომადგა.

— ნუ გეშინიან, ხანდისხან მეც მოვალ სოფელში. მართლა, როცა ჩამოხვიდე, აქ არ მოხვიდე, ამ ოთახს მე ვცლი და გადავდივარ. მოდი პლეხანოვის პროსპექტზე, № 187 და მოიკითხე ბეგობიშვილი.

— შენი წინანდელი გვარი ხომ დამაჭკაშვილია.

— არა, მე არც ის გვარი მომწონს! მე აწი ბეგობიშვილად უნდა ჩავიწერო.

ეს გვარი მე სადღაც გამეგონა და ჩავფიქრდი.

— იქნებ იმ კაცს ეწყინოს მის გვარზე რომ ეწერები?

— არა. მე და კოტე შევთანხმდით, კარგი ვაჟია, ისიც იმავე სახლებში ცხოვრობს.—მიპასუხა მან და ბარგს დაუწყო მზადება.

რაღას ვიზამდი, დავემშვიდობე, უსურვე ახალ გვარზე ბედნიერება და წამოვედი სოფელში.

— რა ქალი გამოგიშუამავლე, რა ქალი და ერთი თუმნის მეტი არ გეიმეტე!—შეხვედრისთანავე მითხრა დესპინემ და დიდი ამბით გადამკოცნა.

— ღმერთმა შენს გვარს ნუ გამოულიოს უკეთესი!—ვუპასუხე მე და მოვუყევი ჩემი თავგადასავალი.

— ქე გეუბნებოდი, შვილო, კარში ნავალი ქალია, სოფელში არ გამოდგება მეთქი!—დამიწყო დამშვიდება დესპინემ.

მას შემდეგ ერთ თვეზე მეტია და ჩემი მეუღლის არაფერი ვიცი, ახალმა გვარმა როგორ იმოქმედა მასზე, არც ის ვიცი, მაგრამ სოფელმა რომ ვერაფერი ხეირი დამაყარა,—ამას კი ვხედავ.

რა ვქნა, კანონმაც რომ მიღალატა!

პ. ღბოლი.



# „მ უ შ ა კ ი“

„მუშათა კლუბებიდან ხშირად იპარავენ სხვა და სხვა წვრილმან ნივთებს“.

**მუშკორის შენიშვნებიდან.**



— კლუბში საღამოს დაესწარი?
— დავესწარი!
— რა შთაბეჭდილება წამოიღე?
— წამოღებით ერთი ლამპოჩკისა და ორიოდე წიგნის მეტი არაფერი წამომილია!

---

# მილიციელის საყვედური

„მე თქვენ გიამბობთ ჩემს ტრაღედიას
და როგორც ბავშვი-დავიწყებ ტირილს.“
ქუჩაში ვდგევარ, როგორც ფანოსი
სულში ქარები არხევენ ტირიფს.

მე ხშირად ვფიქრობ ჩემს ბავშობაზე,
ხშირად ვიგონებ სოფელს და მარანს...
მზის აბანო და ქუჩების მტვერი
ჩემს სხეულს ახმობს როგორაც ტარანს.

მოქალაქენო! თქვენ მშვიდათ ცხოვრობს,
მე როგორც ვიყავ—ისე ვარ დღესა;
ზამთრობით ჩქარი, ცივი გრიგალი
ჩემს გამხმარ გვერდებს ყინვებით ლესავს.

ზაფხულობით კი, ვით შეყვარებულს
მეალერსება სიცხე და მტვერი;
თქვენ შორის ბევრი ზიზლით მიცქერის,
თქვენ შორის მე მყავს მრავალი მტერი.

ხშირად ჩამიარს გვერდით ტრამვაი
და მიქრის ავტო—ზღაპრული რაში,
არ ვიცი რაა ბორში, კატლეტი,
მე მანუგეშებს პური და ხაში.

ხშირად ვამშვიდებ მეომარ მდგურებს
როცა ეზოდან მესმის კივილი,
ო, მეეზოვე, ჩემმა მარჯვენამ
იცის ამ ჩემი გულის ტკივილი.

მოქალაქენო! თქვენ მშვიდათ გძინავთ,
მე კი ბალლინჯოს სრესით ვიღლები.
და ჩემს ოთახში განთიადისას
მართავენ ჯირითს დიდი ვირთხები.

ვიცავ ქალაქში სიმშვიდეს, წეს-რიგს,
ო, გვაფასებდეთ ოდნავათ მაინც;
თქვენს ერთგულესს, ასე განწირულს
თქვენს დამცველსა და ქუჩების რაინდს.

მე შემიძლია წითელი კვერთხით
შოფერს და გამვლს დავსცე თავზარი,
მე შემიძლია, რომ შევაჩერო
თუ წეს-რიგს არღვევს ძლიერი ქარი.

მე ვარ რაინდი დაუძლეველი
და მე ვარ ქუჩის დიდი თამადა;
აბა თქვენა სთქვით—თუვინ გაივლის
ქუჩაში ასე, ჩემებრ თამამად!

მე მაინც ვფიქრობ ჩემს ბავშვობაზე,
ხშირად ვიგონებ სოფელს და მარანს;
მზის აბანო და ქუჩების მტვერი
ჩემს სხეულს ახმობს, როგორაც ტარანს.

მწარე [illegible] ქარი მეხვევა
ძლიერად რო[illegible]ა ქუჩებს ანთებენ;
ასეთ ყოფაში სული გაშპება
სანამ ჯამაგირს მომიმატებდენ!..

**იანო.**

# ორი წითელი-არმიელი

— გამარჯობა კოჩი შენი!... რომელი ლეგიონიდან ხარ შენ?..

— გაგიმარჯოს... რა გინდა მერე?., მე მე 4-თე ქართული მსროლელი ლეგიონიდგან ვარ.

ჰოო?.. მე... 6-თე ქართულ მსროლელ ლეგიონიდან ვარ.

— მერე?..

— თუთუნი გექნება, მომაწევიე...

— არ ვარგა ჩემი თუთუნი. მაგარია!

— თუთუნი [illegible] მაგარი უნდა!

— რბილია კაცო ჩემი თუთუნი.

— თუთუნი [illegible] რბილი უნდა.

— მყრალია კაცო ჩემი თუთუნი.

— თუთუნი [illegible] ყველა მყრალია.

— მწარია კაცო ჩემი თუთუნი!

— შენი თუთუნი კი არა „სოვეცკიც“ მწარეა.

— მაწყენარია კაცო ჩემი თუთუნი!..

— თუთუნი [illegible] ყველა მაწყენარია დოხტურებს რომ კითხო, მაგრამ ქვეყანა სწოვს და ჯერ კიდევ ცოცხალი არიან!

— გასაკეთებელი თუთუნი არა მაქვს კაცო. გაკეთებულია.

— გაკეთებული იყოს [illegible]... უკეთესია.

— ააა... ჯანდაბას შენი თავი.

— მობრუნდი [illegible] აქეთ... რას იმადლები..

— რა გინდა?..

— შენ, წითელ არმიელი ხაარ?.

— ვარ... მერე?..

— დედაია... ჰოდა წითელ არმიელებს ერთი გზა გვაქვს... გადაგიხდი... ჩვენ კიდევ შევხდებით ერთი მეორეს!

— შევხვდებით? ვინ იცის, თუმც ერთი პაპიროსისათვის ან სად დაგიწყო ძებნა!

**ტოქსინი.**

# არითმეტიკული



— გამრავლება!



— გაყოფა!

# სასწრაფო დახმარება

(გადმოქართულებული).

ყოფილი მედავითნე წვერცანცარაძე, ზომაზე მეტად მთვრალი, მოულოდნელად მდინარეში ჩავარდა. გაისმა გულისგამგმირავი ბღავილი:

—მიშველეთ, ვიხრჩები! მომეხმარეთ, ვისაც ღმერთი არა გწამთ!

ნაპირზე არავინ იყო. მენავე არ სჩანდა. ხუთი წამი იბღავლა წვერცანცარაძემ, ბოლოს იგი მოწყენილობამ მოიცვა:

— ოი, ჩემო დედა!.. როგორ, ასე უნდა დავიხრჩო ღვთისგაჩენილი ადამიანი სხვის დაუხმარებლად? მე ხომ ძაღლი არა ვარ? როგორც ვატყობ, ისევ მევე უნდა ვუშველო ჩემ თავს...

და მართლაც თავისით გამოვიდა ნაპირზე.

II

ყოფილი მედავითნის გამწარებული ბღავილი დახმარების შესახებ გაიგონეს იქვე მყოფ დაწესებულებაში, რომელიც სამეურნეო საბჭოს ეკუთვნოდა. მემანქანეს ბღავილის გაგონებაზე ტანშიაც გაბურძგლა და მუშაობა შეაჩერა. კანცელარიის გამგემ გაკვირვებით მოღმანჭა სახე. საქმის მწარმოებელი ცხვირაწეულაძე მოულოდნელად წამოვარდა ადგილიდან, ხელები გააქან-გამოაქნია და წარმოსთქვა:

— ეს ხომ ალბათ მედავითნე წვერცანცარაძე იხრჩობა ნაღდათ! აბა, ვის უნდა ჰქონდეს ამხელა ხმა? ჩემის აზრით, მას შველა სჭირია. მართალია, ყოფილი მედავითნეა, მაგრამ ახლა ხომ აღმასკომში მსახურებს... ნება მიბოძეთ, წავიდე და მივეშველო, ამხანაგო გაბერილიძევ?

— კი, მაგრამ რით უშველით, როგორ გადაარჩენთ?— ჰკითხა კანცელარიის გამგემ.

— სულ უბრალო საქმეა. იქვეა მიბმული ნავი, ამის საშუალებით ერთ წამში გადავარჩენ!

კანცელარიის გამგე დაფიქრდა და ბოლოს დასთანხმდა:

— კარგი, კარგი—დაეხმარე! მხოლოდ ყველა ამას ხომ კანონიერი სახე უნდა მიეცეს? მემანქანე წვივტიტველიშვილო, აბა უცბად დაბეჭდე მოწმობა: „ამით ნებართვა ეძლევა ამას და ამას მიიღოს პირადი ზომები სამსახურის დროს წყალში ჩავარდნილ წვერცანცარაძის გადასარჩენათ, რის გამო მას ნება ეძლევა დაიქირაოს ნავი არსებული ნიხრის მიხედვით"... თქვენ კი, ცვირაწეულაძევ, საჩქაროდ მიირბინეთ ბუღალტერიაში და გამოაწერიეთ 75 კაპეიკი! მოითმნე, ბარათს გაგატან...

III

მთავარმა ბუღალტერმა გადახედა გასავლის ორდერს, აიღო კალამი, დაფიქრდა და გადააქნია ხელი:

— ღმერთმანი, უცნაურია ამ ხალხის ამბავი!.. მე თქვენზე არ ვლაპარაკობ, ამხანაგო ცხვირაწეულაძევ: თქვენ რა შუაში ხარ... მაგრამ, რაზე ფიქრობდა ამხანაგი გაბერილაძე? თუ ღმერთი გწამთ, ამიხსენით: რომელი მუხლის ძალით უნდა გავატარო ეს ხარჯი? არა გვაქვს ჩვენ ხარჯთაღრიცხვაში ასეთი კრედიტი და არც შეიძლება იყოს!

— ნუ თუ არ შეიძლება ისევე როგორმე... საქმე სასწრაფოა!—შეევედრა საქმის მწარმოებელი.

მთავარმა ბუღალტერმა ცივათ წარმოსთქვა:

— არ შემიძლია. თუ გსურთ თვით მასთან მიდით, კრედიტებს ის განაგებს და არა მე. თუ გსურს, ერთად წავიდეთ... თუ იგი მიიღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას, მაშინ..

IV

გამგემ ხელები გაშალა:

— დამიჯერეთ, ამხანაგებო... რასაკვირველია, მე მესმის, მაგრამ... საერთოდ ეს საკითხი რთულია: საქმე 75 კაპეიკში კი არაა, არამედ ხარჯში, რომელიც ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული არაა. გარდა ამისა, ადგილკომსაც შეუძლია პროტესტი განაცხადოს, რადგან დამხრჩვალთა წყლიდან გადარჩენა საქმის მწარმოებელთა მოვალეობაში არ შედის. ერთი სიტყვით...

— კი, მაგრამ ხომ დაიხრჩობა წვერცანცარაძე...— კრძალვით წარმოსთქვა ცხვირაწეულაძემ.

— მე მესმის, — სთქვა გამგემ. — რასაკვირველია, პრინციპიალურად მე თანახმა ვარ... დახრჩობის კი არა,

# ოთხი მოქმედება



— გამოკლება!



— მიმატება!

არამედ ზომების მიღების. მაგრამ პირადათ პასუხისმგებლობა მარტო მე არ შემიძლია... საკითხი რთულია. საჭირო იქნება იგი კომისიას გადაეცეს.

და წააწერა:

„...რის გამო შეიქნეს კომისია ამხ. ამხ. გაბერილაძის, მამლაყინწაშვილის (ბუღალტერიიდან) და ადგილკომის წარმომადგენლისაგან“.

შემდეგ დაამატა:

„კომისიამ, ხსენებული შემადგენლობით, სამი დღის განმავლობაში დაათაოს მუშაობა. შედეგები მომახსენონ“.

V

„მოვისმინეთ: ზომების შესახებ მდინარეში ჩავარდნილ მოქ. წვერცანცარაძისა და მის გადასარჩენად 75 კაპეიკის გადადების შესახებ.

დავადგინეთ: ცხვირაწეულაძის მიერ შემუშავებული ღონისძიებანი საერთოდ მოწონებულ იქნეს, მაგრამ იგი უნდა შეთანხმებულ იქნეს საბჭოს საადმინისტრაციო განყოფილებასთან. ნავის დასაქირავებლად გადადებულ იქნას ხარჯთაღრიცხვით „მოულოდნელი და საკანცელარიო ნივთების“ მუხლის ძალით 37 კაპიკნახევარი, რადგან მიღებულია მხედველობაში, რომ დასახრჩობის გადარჩენას ნახევარი საათის მეტი არ მოუნდება.

**შენიშვნა:** კომისიამ აღნიშნულ დროზე ოთხი დღით დააგვიანა მუშაობის დამთავრება, რადგან შეუძლებელი შეიქნა შეკრება ამხანაგ გაბერილაძის მცირეხნით ავადმყოფობის გამო“.

VI

კომისიის დადგენილებას გამგემ წააწერა: „არაფერი მაქვს საწინააღმდეგო“.

საქმის დაჩქარების მიზნით, ღონისძიებანი ადმინისტრატიულ განყოფილებასთან შეათანხმეს არა წერილობით, არამედ ტელეფონის საშუალებით.

ორდერის გამოწერასა და 37 კაპიკნახევრის მიღებაზე რამდენიმე წუთი წავიდა.

მიიღო რა ფული და მოწმობა, საქმის მწარმოებელი ცხვირაწეულაძე გიჟივით გამოვარდა ქუჩაზე, გაიქცა მდინარისაკენ, საჩქაროთ დაიქირავა ნავი და შესცურა შუა მდინარეში.

მაგრამ წყალის ზედაპირზე კვალიც არ სჩანდა.

— ალბათ, დაიხრჩო, არ დაიცადა...—მწუხარეთ წარმოსთქვა ცხვირაწეულაძემ,—წინდაწინვე ვიცოდი, რომ ეს ასე იქნებოდა!...

—ა.

## წერის „მოდა“

„ერთი ორი *)
სამი ოთხი
ხუთი ექვსი
აჰათ ლექსი...
„შვიდი რვა“
ეს კიდევ რაა?—
ეს იცით რა არი?—
მინდა ჰონორარი...
ექსპრესი„ონიზმიც
ეს“ მოდაზე წერა
ფულებს დააფრინდა
როგორც წიწილს ძერა.
„რვას მოჰყვება
ცხრა და ათი“
რათ ვერ ვიგრძენ
მეც ხიფათი.
ალბათ დავრჩი
სულმთლად დათვი...
რომ „ციფრების
მთელი ზღვა“
ჰონარარი
სხვა და სხვა
არ ავკრიფე მეცა!..
მეხი კი დამეცა!..
ჩამორჩენაც სწორეთ
ამისთანა უნდა!—
ვმწყემსავ ისევ ღორებს
და მკიდია გუდა...

ისაჰარ

*) იხილეთ „ბაკადული“ № 9. 1925 წელს.

# მონადირე



გლეხი მონადირეთა კავშირის თავმჯდომარეს:—სოფელს მგლები შემოესია ამხანაგო, გვიშველეთ და-გვეხმარეთ!

კავშირის თავმჯდომარე:—წადი, ცნობა მოიტანე რამდენია მგლები და იმის მიხედვით გამოვგზავნით მონადირეთა რაზმს!

# მენენიკი

შაბათი საღამოა. ჩვეულებრივი მოწყენილობაა. რა გამაჩერებს ამ დროს სახლში? ქუდს ვიხურავ და გავდივარ ქუჩაში, რატომაც არა, „თვალს ვანადირებ, გულს ვახალისებ“, ქალაქში დღეს ქალების რიცხვი სჭარბობს,-- „რქიანმა“ მატარებელმა აგარაკებზე გაზიდა „ურქო“ ქმრები (რქებს იქ დაახვედრებენ ცოლები). ასეთ დღეებში ქალაქში დარჩენილთა „აქციები უფრო მაღლა იწევს“... და ჩემი ცხვირი ნელ-ნელა თელესკოპივით უსწორდება მთვარეს ისე, რომ გვერდზე გამვლელთა დანახვა არც ისე ადვილია.

არა, რა სისულელეა შაბათობით წასვლა? ეს ისეთი დანავსული მატარებელია, რომ . სახელწოდება არ ამცდება და შენს უმანკო მეგობარს კი—ცილისწამება. ამიტომ, არასოდეს მე შაბათობით ცოლთან არ წავალ, ხოლო რახან ორშაბათიდან სამსახურის ვაცდენა არ შემიძლია (რეგისტრატორის მოადგილე ვარ), ამიტომ მე აგარაკზე საზოგადოთ არ მივდივარ.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს თქვენთვის რა საინტერესოა ყველაფერი ეს? თქვენ გინდათ იცოდეთ საქოს ქეიფობის ამბავი. მოგახსენებთ თვით საქოს ნაამბობის „ასლს“. მაგრამ ჯერ პატარა შესავალი:

ეს იყო იმ საღამოს. ფიქრებში გართული ყანჩასავით მივაბოტებდი ქუჩაში და შევჩერდი მხოლოდ მაშინ, როცა „არტო“-ს შესავალ კარებთან მეკარემ გზა გადამიღობა:

— თქვენი ბილეთი!..

— მ...მ...მ... ბილეთი არ მინდა, მე ფარსადანი ვარ...

— ჰოო, მობრძანდით!..

იცოცხლეთ, რაც მე „არტო“-ში ბლომად ვნახე „სატარტაროზო“, მაგრამ საფარსადანო რაღაც არაფერი სჩანდა. ავიარ-ჩავიარეთ (მე და ჩვენი ფინანსკომი ვასუა ვიყავით), ავათვალიერ-ჩავათვალიერეთ ყველა კუთხე: ყველგან სიცოცხლის სიჭარბე, „მეშვიდე ცამდე“ ასული ბედნიერება, მხიარულება, ალერსი, მუსიკა, ხელგაშლილობა, ფული, კარტი, ქეიფი. რა გიხდა სულო და გულო...

ბოლოს ერთ მაგიდაზე მითითებს ჩვენი ვასო და მეუბნება:

— ვა, ფარსადან ხედავ? რა მაზალოა და... საქო თავისი ცოლით ქეიფობს... არა, თავისი ჰამფსონი ხალხიც რო უშოვია... ვა, ქალები, ქალები ნახე... საქო როგორ იხრუკება და შუშანა კი „რევნოსტი“ უშვრება. აბა ჰა, შენ იცი, ფარსადან, ერთი კარგათ ჩაატარტაროზე ეს მამენტიცა.

მართლაც და იქ რომ ფოტოგრაფი ყოფილიყო და მარტო სურათი გადაეღო, ეს სურათიც იკმარებდა „ტარტაროზი“-სათვის.

მაგრამ, რახან არც ფოტოგრაფი, არც ოსკარა და არც დონი თან არ მყავდა და მე კი ვერ მოვახერხე ყველაფერი დაწვრილებით ამეწერა, ამიტომ ისევ საქოს ვაამბობინე ორშაბათ საღამოს. აჰა, ინებეთ:

— ვა, რა ჩიჩმაკები ამირია ამ შაფათის კუტოჟმა და... ეხლაც თავი პტიშვოსავით მიტრიალებს და ჯერ კიდევ საბრაჟენია ვერ მიქნია სწორეთა. ისევ პახმელია ვარ რაღა და ეს მიწაგასახეთქი შუშანა კი ყურს არ მიგდებს, კამფლიკტი მიყო, რევნოსტობის გამოისობითა! ვა, ახარ აქ სარევნოსტო რა არი ყურუმსაღ, წელიწადში ერთხელ ღოლოც აყვავდებაო იტყვიან, და მეც ერთხელ მამივიდა რაღა, ჩრეზმერნათ ხელი მოუცაცუნე იმ ბემურაზ ლუსიკასა! ისიც ტანცაობის დროს რომ არ ყოფილიყო კიდევ ჰა? ერთი, პარუნ ფარსადან, ვნიმატელნათ ყური დამიგდე და შენ გამამტყუნე:

გაიგებდი, შაფათ დღესა შუშანას მენენიკი იყო. აიტეხა, თუ მე სახლში არ შამიძლიან დიდი კუტოჟები ვქნა და ამტოლი ხალხის ჭურჭელი ვრეცხოო, მენენიცა ქალი ვარ და თუ სტოლის თავზე არ დავჯექი, სირცხვილიაო, ბარემ რასხოდი ვშვრებით და მოდი ისევ სადმე ბაღში მიეცი ერთი კაი ვახშმის ზაკაზი თავისი ზაკუსკი-

# „ცოდნა“

„მრავალ ოთხწლედში ბავშვმა იცის ქალალდისაგან ჰაეროპლანის კეთება, მაგრამ არ იცის წერა-კითხვა“.



— თქვენ ცხრაწლედი გაათავეთ?

— გავათავე ამხანაგო პროფესორო!

— მერე რა გამოიტანეთ იქიდან?

— გათავების მოწმობა პროფესორო!

— კი, მაგრამ წერა-კითხვა?

— წერა-კითხვის შეძენას უნივერსიტეტშიაც მოვესწრებ პროფესორო!

---

თაო. ჰამ სერვეზიც არ დაგვემტვრევა და ჰამაც განათლებულ ხალხში ჩვენს ქოს გავახარებთო.

— მაინც სადა ვქნა ზაკაზი მეთქი.

— თუო ნეპრემენათ „არტო“-ს ბალშიო.

ვიფიქრე, ეს არტო ჩვენი ჰამფა კაცი სჩანს და თავის ბალში სკიტკასაც სარისტიანათ მიზამს და პირიანათაც მამექცევა მეთქი. შაველ, ზაკაზი მიველი, დრო დაუნიშნე და საღამოს კვირაძლის გლახებივით კარებში ატუზული უცდით სტუმრებსა. ვა, გაუგიათ შუშანას მენენიკი და დაპატიჟებულ სტუმრების გარდა (სულ ნასწავლი და დარბაისელი ვაჭარი ხალხი დაგვიპატიჟენია თავისი ცოლებითა), მოგვადგნენ ისეთებიცა, ვინც ჩხვინკებით სუფრას აგვირევდნენ: აი ყაზაზ დარჩუა, ტყუან სტეფანაანთ ვახაკა, ჩუნქარა იოვანე, კოჭლ ლალუაანთ ოსანა, ყიყვიანი მიკიჩა, დაბალ ნაზარა და გრძა გიგუა,—აი მეტაჭკე გიგუა რომ არის სირაჩხანაში—შუშანას ნათესაეხათ მოხვდება რალა, თორფი მოუტანა— ანთებულ სანთლებითა.

არ გვესიამოვნა ჰამა, რას ვიზამდით, ზაკაზი მიცემული გვაქვს, ეს თავი სტუმრები გვიცდიან, უნდა წავიდეთ!

„არტო“-ში მართლაც რო კაი პურ-მარილი ვჭამეთ, ეს ბემურაზი ძალათმაცხონე სტუმრები ისეთ უგლაოში დავსხით, რომა ხალხს არ დაენახა. ვიდნი ადგილებზე სულ განათლებული სტუმრები ჩავამწკრივეთ და სტოლის თავშიცა ეს შუშანა კუკნუწივით წამოვასკუპეთ. სულ დამა-კავარლები ვისხედით: მე ცალ გვერდზე ლუსიკა მიჯდა, აი ვანქის ტერტერა ტერ-აბრამას გოგო,—მეორე მხარეს კი—სლედაოტელათ ნამყოფი მაცხონაანთ გიქორა.

ახარ, ცოტა არ დავლიეთ,—ტვინში პაჟარი გაჩნდა, სტაჟებში ჩვენც ავწიეთ რალა,—ისეთ დროებას ვატარებთ, ხონთქარსაც შეშურდებოდა მაშ... ყველა თავის დამას კამფლიმენტი უშვრებოდა და მეც ლუსიკას პერესტრელკა დაუწყე რალა—თვალებითა... დიდი ხანია გუმანში მქონდა იმისი ლასკები და ახლა სულ გამოვიჩინე, რაც ჰუნარები მქონდა: სიმღერა, დარდიმანდობა, რამე... შამპანწკს სულ ბუდირშაპტათა ესომ ამ ლუსიკასთანა! შუშანა შორიდან მიბღვერის, ჰამა არც თითონ აკლებს ხელსა—ამ ბებერ პოლკონიკ ვართანას კევივით ევლისება ზედა.

ერთი სიტყვით, ბოლოს გათანებამ რო მაატანა, ყველამ საბუდრიდან გაუშო ჰოპოპები და გაჩალდა რამანიჩესკი აბესნენიები. ეს ჩვენი სუფრა ყეენობას დაემგვანა, ვისაც რა უნდა—იმასა შვრებიან რალა. ამ გოჯა გიგუასაც სადღაც უშოვია თავისი გულის ბუღლამა, ზედ გალანწკი მამალივით დაკუტკუტებს და ებნება:

— მარუსჯან, შენ გენაცვალონ აი, ეს ყველა ბარიშნები თავისი ბეხრეკი კავარლებითაო. ქარგმა ლუსიკაჯან იყო რალა და მებნება. თუ: მაგ კინტუას აბიდას ნუ აქცევენეფ ჩემთვის, ზაშჩიშჩაიტი მიყავიო. მაგრამ რას გავბედავდი, მკლავისიგრძე ბებუთი ურჭვია—მაშ...

ბოლოს ტანცაობაც გახურდა... აი აქ გაწყრა სუფსარჭისის მადლიცა: ორტოფიანზე რალაცა პესნა დაუკრეს—„მტყუან სტეპი—ტუ-სტეპი“, იტყვიან რალა და ყველამ ტლინკაობა დაიწყო. ზოგი ბალდადურს უვლის, ზოგი უზუნდარას, ზოგი საბაჩი ვალსსა ტანცაობს, შუშანა პოლკონიკმა ლავაშივით აიკრა ზედა და არიან ერთ დოირანში. მეც ვებნები:

— ლუსიკჯან, გულს ნუ შამაკლეფ და ერთი ამატარ-ჩამამატარე მეთქი...

— პაჟალუსტა, გეტანცავები და, თუ არ იცი, ჰამაც გასწავლიო.

ვტანცაობთ. მე ვძუნძულეფ, ლუსიკა ხან მეკრობა, ხან ისე იგრიხება, რომ ვიწვი რალა, ვიწვი! ახარ, მეც ვიჩასპანდე და ავჩქარდი. ნეჩაიანათ ხელი ისე მოუცაცუნე, რომა ლუსიკამ დაიკივლა და სტროგი ვიდი მიიღო.

შუშანამაც იქიდან დამიტატანა და ქვეყანა შეიყარა. ახარ, მეც ორიოდე მკვახე საყვედური მივარტყი- ეს იყო და ეს! ატყდა ისტერიჩესკი ღრიალი, ჭურჭლის მტვრევა, მიწევ-მოწევა და, სანამ მილიციონი არ დაგვადგა თავზე, ველარ დავშოშმინდით.

მოკლეთ გითხრა, ყველა აბიდანაჭამი წავიდა იქიდან და ნეაჟიდანი რასხოდიც სხვა იყო. შუშანა ნამტირალევი მამიყვანია... დღესაც ხმას არა მცემს და სპორობს,— თუ შენ ლუსიკაზე მცვლი, საქვეყნოთ ხელს უცაცუნეფ და მე იზმენიტს მიშვრებიო, ჩემ მენენიკში მაინც არ გექნა ეგაო,—რევნოსტობს რალა. ახარ ფარსადანჯან, ერთი შენ მითხარი, პარუნ ფარსადან, მენენიკი კი არა, თელეთობაც რო ყოფილიყო, შენ კი გაუძლებდი იმ ბემურაზ ლუსიკას თვალებსა?—ისეთი თვალები აქ, რომა გეგონება კაკლის მურაბააო... აბა გასამტყუნარი ვარ, ნასვამმა კაცმა, ტანცაობის დროს სლუჩინათ უადგილო ადგილას მოვარტყი ხელი... ერთი, პაჟალუსტა, შენ ჭკვიანი კაცი ხარ, მოელაპარაკე ამ შუშანასა და შამარიგე. უთხარი, მენენიკის ბრალია, უთხარი, სხვა დროს აღარ ვიზამ, უთხარი...

ფარსადან.



# ამწაპნიო

## ისტორია თავიდან:



— მივიდა!



— შეხედა!



— დაამარცხა!

# ტარტაროზის

## ყვავი და მელა.

„სადღაცა ყვავსა-ყვანჩალას
ეშოვნა ყველის ნაჭერი
ხეზე შემოჯდა, საუზმეს
ემზადებოდა მშიერი.
ამ დროს, სად იყო, სად არა
გაჩნდა მსუნაგი მელია.—“

და უთხრა გამგეობის თავმჯდომარეს—თუ შენ ყველს იპარავ, მე ხელს ვაფარებ და რატომ არ გრცხვენია, რომ არაფერს მიწილადებო, დარცხვენილმა თავმჯდომარემ ძმურად გაუყო ყველი სარევიზიო კომისიის წევრს.

## მუხა და ლერწამი.

—„ერთხელ მუხამ და ლერწამმა
ჩამოაგდეს საუბარი
და ერთმანეთს გულს უხსნიდენ,
როგორც ორი მეგობარი.
მუხამ უთხრა:—მეზობელო!
გიყურებ და მტკივა გული,
რომ უკუღმართ ბედისწერას
მაგრე ყავხარ დაჩაგრული.
მარტო სიო და თელხიც კი
გიბრიყვებენ,—გერევიან...
აქვანივით, რომ გარწევენ,
როგორც უნდათ ისე უხრიან!

— ო,—უთხრა ლერწამმა, ჩემი ჯავრი ნუ გაქვს—მართალია წელში ოთხათ მოვიხრები, მაგრამ სატარიფო განაკვეთებს ორით მაინც მაღლა ასწევენო!

## მაიმუნი და სათვალე.

— მაიმუნმა სთქვა: „დავბერდი“!
თვალში დამიწყო კლებაო,
მაგრამ ამბობენ ამ სენის
შველაც—კი შეიძლებაო.
ადამიანსაც სიბერით
ესევე ემართებაო,
მაგრამ სათვალეს ხმარობს ის
და აღარ ენაღვლებაო!
თუ მეტი არა უნდარა
ეს ხერხი რა ძნელიაო?
სათვალეების შეძენა
ჩემთვისაც ადვილიაო,
წავიდა, ერთის მაგიერ
სადღაც ერთი ცხრა იშოვნა
და მხიარული დაბრუნდა
ახლა მოვრჩიო, ეგონა.
აილო, სინჯვა დაუწყო,
გადადვა აქეთ-იქითა;
ხან კუდზე წამოიცვა და
ხან ყურზედ ჩამოიკიდა.
თავზედ დაიდვა... ზედ დაჯდა...
უსუნა... კიდეც უკბინა,

საკანცელარიო ხარჯებიც შეამცირა 37 კაპეიკით, ერთი „კურიერიც“ დაითხოვა, მაგრამ ბეცი თვალით რეჟიმ-ეკონომია მაინც ვერ დაინახა და ვერ მიაგნო!

## კაცი და მელა

— კაცს უთხრა ერთხელ მელიამ:
„მითხარი, ნუ მიმალამი,
მაგრე, რომ გიყვარს ეგ ცხენი,
რა წაგცხო ნეტა მალამო?
აღარ იშორებ, თან დაგყავს
შინ, გარედ, მთას და ბარშიო!

# არაკები

— სახაზინო ცხენი განგებას საჭენებლათ შეუქმნიაო! —დარბაისლათ უპასუხა მელიას თემალმასკომის თავმჯდომარემ.

## სამცოლა

— ერთმა ვიღაც ცოდვის შვილმ:
ისეთი რამ ჩაიდინა,
რომ გაუშვა ორი ცოლი
და მესამეთ იქორწინა.
ეუცხოვათ ეს ამბავი
ყველას დიდს და პატარასა;
აყაყანდნენ, იძახოდენ
რიგი რას? და რიგი რასა?
— ეს რა მოხდა? რა გაბედა?
რა ყოფილა? რა კაცია?
იმდენი ქნეს, რომ ამ ხმებმა
მეფემდინაც მიაწია.

მეფემაც გულდაწყვეტილად გააქნია ხელები საფლავში და თვალცრემლიანმა წამოიძახა:

— ეჰ, რა ყოვლად უბედური ვიყავი: ჩემ დროს სამი ცოლი უკვირდათ, და ეხლა ათითაც აღარ კმაყოფილდებიანო!

## ბ ა ყ ა ყ ე ბ ი

— ერთხელ ტბაში ბაყაყები
აყიყანდენ, ახტენ-დახტენ:
„ასე თავისუფლად ყოფა
მოგვეწყინა ჩვენ“.—იძახდენ.

ასე, რომსთქვეს, მაღლით რაღაც
წამოვიდა ტრიალითა,
გახდა ტვლეპა უცბად ტბაში
და დასძირა გრიალითა.

აცახცახდენ ბაყაყები,
გადუბრუნდათ შიშით გული,
დაჰყვინთეს და აქეთ იქით
მიიმალენ განაბული.

ეგონათ, თუ მათ სამთავროს
დაანგრევდა მრისხანებით,
მაგრამ, ბოლოს, რომ შეხედეს,
იწვა მხოლოდ მოსვენებით!

— ამხანაგებო, ნურაფრისა გეშინიათ!—წამოიძახა გამგეობის თავმჯდომარემ—ეს ხომ ჩვენი სარევიზიო კომისიის წევრია, სჯობია მოხვიდეთ და სუფრას შემოუჯდეთო!

## ლ ე ლ ე

— წყარომ სთქვა მდინარეზედა:
„ რა საძაგელი არიო!..
მომდურავი ჰყავს თანსწორად
მიდამო, მთა და ბარიო;
აი, დაუდგა სამართალს
ის უსამართლო თვალიო!
მე უნდა მქონდეს, რათ უნდა
იმას იმდენი წყალიო?
მე გეტყვი—ვერ მოვიხმარდი
მე სასარგებლოდ დიდ-წყალსო!

— რანაირად მოიხმარდიო? როცა კითხეს მოტრაბახე წყაროს, მან ამაყად მიუგო:

— კოოპერატივის შაქარს გავადნობდიო!

**მორიელი.**

# მფლანგველუს

ისტორია ბოლოდან:



— დაამარცხა!



— შეხედა!



— მოვიდა!

# საბჭოთა და

## ცრუმორწმუნე...





[illegible] აძა ხელში ცივი [illegible]ით. გასინჯვის დროს ეს იარაღი—უვნებელი წვერის საპარსი აღმოჩნდა... მაგრამ, მით უმეტეს მავნებელია თვითონ მუშა...

— იცი, მე მრწამს ბედის წერა. მეც ხომ გამომძიებლის მოწერილობით ვარ აქ მოთავსებული!

# სპარსული ნოხი, ყალიონი და იალბუზი

(ტარტაროზის ბიბლიოგრაფია)

გამოვიდა „ქართული მწერლობა“ № 2—3.

კაი ნომერია. მე, როგორც ტარტაროზს, ძალიან მომწონს. და ან რატომ არ უნდა მომწონდეს:

— ამდენ სახუმარო მასალას ჩემი ჟურნალიც არ იძლევა!

ამდენი ხანია—ხან ფერდებში ვუყრი მღვდელ დიაკვნებს ჩანგალს, ხან კისერში, ვაწამებ, ვაწვალებ, მაგრამ მათ ქომაგი და ვექილი არ გასჩენია. ეხლა კი პროზაიკულათ კი არა, პოეტურათ იცავს ამ ხალხს ს. აბაშელი:

„მაგრამ დღეს სხვაა ჩვენი ჰაერი,—
დაეცა ლ ო ც ვ ა და პოეზია.
მოკვდა ბრწყინვალე ძველი შაირი
და ახალს ჩრდილი შემოესია“!

ხედავთ:

— „დაეცა ლოცვა და პოეზია“!

გგონიათ აქ უბრალო ხუმრობაა? თქვენც არ მომიკვდეთ:

— ეს უბრალო კი არა, ნამდვილი, იმერული ხუმრობაა!

და მოგეხსენებათ ანდაზა:

— „იმერული ხუმრობა ნახევრათ მართალიაო“!

აბაშელის იმერული ხუმრობა ნახევრად კი არა, ყველა ასი პროცენტით მართალია და ამას, შემდეგი ფაქტებიც მოწმობს:

— განა არაა დაცემული ლოცვა? რასაკვირველია, რადგან ამას აბაშელის თავზე უფრო რეალურად მღვდლების მუცლები გრძნობენ, რომელთაც აღარ შესდისთ „შესაწირი“.

მაშასადამე ლოცვა დაცემულია.

შემდეგ:

— განა არაა დაცემული პოეზიაც? რასაკვირველია, დაცემულია, რადგან პოეზია, რომელიც ლოცვის დაცემას გლოვობს—დაცემულია!

და ამ დაცემული ლოცვის დაცემულ პოეზიაში გონორარი მიცემულია!

აი, რასა, სწუხს ტარტაროზი ამ რეჟიმ-ეკონომიის დროს!

* * *

იმავე ნომერში მოთავსებულია პოეტ გრიგოლ ცეცხლაძის „პოეზიაც“:

— „სპარსული ნოხი, ყალიონი და იალბუზი“!

ეს სათაური სპარსულია, ხოლო იგი, რომ ქართულად ვსთარგმნოთ, გამოვა:

— „ერთი ალთას, მეორე ბალთას“!

და იგივე, რომ რუსულ ენაზე გადავიტანოთ, მივიღებთ:

— „კიევში ბიძაა, ბოსტანში—კომბოსტო“!

ჩემის აზრით პოეტ ცეცხლაძეში რა არის ყველაზე საუკეთესო—ეს მისი გვარი.

ცეცხლაძე!

და თქვენ თვალწინ წარმოსდგება ცეცხლოვანი რაინდი, ცეცხლისმფრქვეველი მთა, რევოლიუციის ცეცხლოვან ქისაწყვეტილი ვაჟკაცი.

ცეცხლაძე!

და... ბოდიშს ვიხდით გრიგოლთან:

— ხდება ხოლმე, რომ ცეცხლისგან ხშირად შარტო ნახშირი რჩება!

თუმცა გრიგოლს ეს რატომ შეეხება:

# უცხოეთის იუმორი

## კითხვა...



— როგორ ატყობ, სახლი დიდი იქნება არა?

— სახლის არ ვიცი და ქრთამები, რომ დიდია გაცემული — ეს ჭეშმარიტებაა!

## რატომ?



— მამიკო, რკინისგზის ლიანდაგზე რატო ყოველ გადასასვლელზე აწერია: „ერიდეთ მატარებელს"?

— აი, როცა შენ ცრუმივლინებისათვის სამსახურიდან გამოგაპანღურებენ, მაშინ გაიგებ!

---

— ნახშირი ბუხარშია, არც არაფერი ფიქრი აწუხებს, ხოლო გრიგოლი კი...

მართლაც გრიგოლი სადღაა?

ჩუ, ახლაც ბუხრიდან მოისმის ხმა:

— „მე სპარსულ ნოხზე ვწევარ და ვფიქრობ:
არ მოდის სახელი და დიდება!"

მართალია ასეთი ფიქრი სპარსულ ნოხზე კი არა, ჩვენებურ ჭილოფზე წამოწოლის დროსაც შეიძლება; მაგრამ მაინც საყურადღებოა, რომ:

„არ მოდის სახელი და დიდება!"

ო, ეს უპატიოსნო ცხოველი, ესა: — რაღა ახლა წამოკრა ქვას ფეხი, რომ გრიგოლთან დღემდე ვერ მიაღწია?

მაგრამ, გგონიათ „ქართლის ბედი" მარტო ამით სწყდება?

თქვენც არ მომიკვდეთ, სამწუხარო გრიგოლისთვის კვლავაც ბევრია. აი, თუნდა ეს:

— „არც ერთი მუტრუკი
მე არ მერიდება
და თავის დაცვა მჭირდება
მუშტი-კრივით!"

ჭეშმარიტად, უკუღმართია ჩვენი დრო:

მუტრუკები ისე გაუზრდელებულან, რომ გრიგოლსაც არ ერიდებიან!

ასწავლე ჭკუა ამ ბრიყვ ცხოველებს ამხანაგო გრიგოლ:

— წერას თუ არა, შენი ლექსების კითხვას მაინც შეისწავლიან!

აქამდე ჩვენ მოვისმინეთ გრიგოლის საჩივარი, მაგრამ ახლა ყური ვუგდოთ მის სურვილსაც:

— „მე მინდა მიცნობდეს ყველა მილიციელი
და იცოდეს, რომ ვარ ბუნებრივი პოეტი
ამოსული როგორც მცენარე!"

მართალია ამ „მცენარეს" არც ერთი მუტრუკი არ ერიდება, მაგრამ მაინც კანონიერია თუ არა გრიგოლის სურვილი:

— რომ მას ყოველი მილიციელი იცნობდეს?

— სძენა, ამხანაგო მილიციონერებო! იცნობდეთ პოეტ ცეცხლაძეს მისი „მუშტ-კრივით!"

თუმცა, გვიკვირს რად აუჩემებია გრიგოლს მაინც და მაინც ყოველი მილიციელი, როდესაც მის ნაცნობთა წრე ფრიად ფართე და მრავალ რიცხოვანია? რა ხეირი უნდა ნახოს გრიგოლმა უბრალო მილიციელთან, როდესაც:

— „საქართველოს პირველ კაცებთან ბურა გაშიტებია
ღვინო და ყავა დამილევია!"

ხედავთ:

— „პირველ კაცებთან ღვინო და ყავა დაულევია"!

ვინ იცის, ეშმაკს თვალი არ უჩანს, იქნებ გრიგოლმა ღვინო და ყავა კი არა, პირველ კაცებთან ლაღიძის ბურახიც დალია, ჰა?

ყოველ შემთხვევაში ეს უფრო იოლი საქმე იქნებოდა, ვიდრე იალბუზზე ასვლა, რომელსაც ასე მოწადინებულია გრიგოლი.

თუმცა ჩვენის აზრით:

— რა საჭიროა იალბუზზე ასვლა, სჯობია თავის სპარსულ ნოხს ნუ მოსცილდება, თავისი ყალიონი სწიოს და იფიქროს თუ:

— რატომ „არ მოდის სახელი და დიდება!"

ბოლოს და ბოლოს იქნებ მართლაც მივიდეს გრიგოლთან — ეს „სახელი და დიდება":

— თუ სალი ფეხებით არა, ორჩაფეხებით მაინც!

უჩარდია.



# რ ჩ ე ვ ა...



— რაზე გარჯილხარ?
— მდგური სახლის ქირას არ მაძლევს და როგორ გავიყვანო!
— შენც აიღე, ფეხის ქირა მიეცი და წავა!

# წერილი სიმულიანტებს*)

ძვირფასო ამხანაგებო!

მოგმართავთ თქვენ, კანონიერი თუ არა კანონიერი გზით დაზღვეულებს!

თქვენ, რომლებიც შეცდომით მოხდვით მუშა-მოსამსახურეთა სიაში და რომელთა ნამდვილი მოწოდება ავანტიურისტობაა მხოლოდ.

იცოდეთ ყველამ:

მთელი ჩვენი ცხოვრება სიმულიაციაა მხოლოდ და მეტი არაფერი. ამ ცოდვილი დედამიწის ზურგზე, (რომელზედაც ჯერ კიდევ არ ჩატარებულა მიწადმოწყობა), ყველა სიმულიანტობს და რაღაცას ჩხირკედელაობს.

მაშასადამე თქვენც. ძვირფასო ჩემთვის და აგრეთვე „ძვირფასო“ დამზღვევ სალაროსათვის (რადგანაც მეტად ძვირი ჯდება თქვენა ყოლა აღრიცხვაზე) სიმულიანტებო) ისიამოვნეთ და ისიმულიანტეთ, სანამ გულზე არ მოგისიანოთ და დამზღვევ კასის ფულის ჭამა არ მოგწყინდეთ.

გეტყვით მხოლოდ: ყოველთვის ფური თქვენთვის გემოზე არ მოიწველის, კაცნი ვართ, ვინ იცის რა მოგველის; თვითეული ჩვენგანი არ არის დაზღვეული. (იგულისხმება უზრუნველყოფილი), რომ ერთ მშვენიერ დღეს მისი სიმულიანტობის ყვავს არ გამოაბრდღალებენ და არ წააბრძანებენ იქ,.. საცა მართალნი განისვენებენ... (იგულისხმება I და II გამსახლი).

თქვენი, სიმულიანტების რიცხვი ამ ბოლო დროს ძალიან შემცირდა, მართალია, ეს თქვენი ბრალი არ არის, თქვენ თქვენით არ შემცირებულხართ, არამედ შეგამცირეს, მაგრამ კიდევ ბევრი გადარჩა; კიდევ ბევრი მოიპოება ისეთი, რომელსაც ცოლი არც კი ჰყავს და სამშობიარო დახმარება სამჯერ მიიღო. ზოგს ჯერ თავიც არ წამოსტკენია, და სანატორიუმში წასვლა მოახერხა, ზოგიც ისე კარგად არიან, რომ რკინას ღეჭავენ, მაგრამ მან მაინც რამდენიმეჯერ „დახოცა“ ოჯახის წევრები და ბარე ხუთჯერ აიღო სამარხი ფული და სხვა და სხვა.

ძვირფასო, ჰოი, ძვირფასო სიმულიანტებო:

მეტყვით, რატომ ვართ ძვირფასიო?

იმიტომ ძვირფასებო, რომ ჩვეულებრივი დაზღვეული დამზღვევ კასას ვთქვათ ათი მანეთი უჯდება, თქვენ კი ასი მანეთი უჯდებით, ამას გარდა ხშირად წარმოებასაც ცდებით და ფულიც სულ ტყუილ-უბრალოთ მიგაქვთ!

ჭამეთ შვილებო! მაგ სიმულიანტობის ნიჭი მოგეცათ და მაგას ნუღარ დაკარგავთ. ოღონდ ისე მოიქეცით, რომ ახლავე მოხვდეთ სასამართლოში, თორემ ზუა ზაფხულში ხომ იცით რა ძნელია ციხეში ყოფნა; თუ რამე გაქვთ სასიმულიანტო, ნუღარ იგვიანებთ; აიღეთ სარძეო დახმარება, სამარხი, საქორწინო, სწერეთ მოწმობები და თვითონვე მოაწერეთ ხელი, მანამ, სანამ თქვენი ხელმოწერილი მოწმობებითურთ არ გიკრავენ თავს დასასვენებელ სახლში„.

სიმულიანტებო, წვრილი ხელობის ავანტიურისტებო, სხვის ლუკმის მჭამლებო! თქვენ, რომლებიც მეტად მუქთა ხორა და არასიმპატიურ ხალხად ითვლებით; ახლა გაქვთ დრო: ამ ზაფხულზე „ავადმყოფობის“ პერიოდი. თქვენ ხომ ზაფხულში გიყვართ უმთავრესად ავადგახდომა?

გახდით ავად, ანუ როგორც იტყვიან თავი მოისიმულიანტ-ძოიავადმყოფეთ: თქვენთვისა მზად არის ორი დიდი დასასვენებელი სახლი: ერთი რიყეზე და მეორე ავლაბარში. იმ სახლებში ალბათ სავსებით გამოაჯანსაღებთ თქვენს სიმულიანტურ-ავანტიურისტულ ფიზიონოგიებს.

მარად თქვენი ავად მახსენებელი ტერსიტი.



*) სიმულიანტი ეწოდება დამზღვევ კასის ისეთ წევრს, რომელიც თავის მოავადმყოფებით ან სხვა ხრიკით ახერხებს ფულადი დახმარების მიღებას დ. კ ა ს ი დ ა ნ.

# შესვლას აპირებს!



**ტესნიკუმ გათავებული**:—მომწიფება კი არა, დალპობა მომელის თუ დროზე არ მომაშორეს ეს ტვირთი და უნივერსიტეტში არ მიმიღეს!

# გაკრეჭილი ეპო

**(წითელქალაქისათვის).**

გორის მაზრაში
არის ალაგი
ეს გახლავთ დაბა
წითელქალაქი;—
(აქ იყო მღვდელი, იყო დალაქიც)—
იყო სხვა რამეც,
აი თუნდ „ეპო“,
ეკრობა ჰქონდა
მას საგანგებო—
ეტანებოდა მუშტარი ბევრი
ბლომადა ჰყავდა ერთგული წევრი,—
მუშებს და გლეხებს
ეხმარებოდა,—
მღვდელი კი...
ქვეშ-ქვეშ იღიმებოდა...
გავიდა ხანი,
მთვარე იცვალა
ამ მღვდელმაც ქერქი
გამოიცვალა,
იხმო დალაქი
წითელქალაქის
და გაიკრიჭა თმები და წვერი,—
გახდა უებრო კავშირის წევრი!
რაღა უნდოდა?
ის, როგორც წებო,
მოხერხებულად
მიეკრა ეპოს.
ეპომაც თუმცა ბევრი იწვალა,
მაგრამ... ეჰ, მაგრამ... გარდაიცვალა
თვის ბედოვლათი პატრონის ჯავრით
და გაკრეჭილ მღვდელს ერგო იჯარით...
ეს ნახუცარი
საქმის კაცია:
მან არც აცხელა,
და არც აცია
და „სასადილო წითელი“ ფერის
შავ სამიკიტნოდ გადააქცია.
დღეს იქ ლოთობა,
აყალ-მაყალი,
ჩხუბი, დამტვრევა
თავზე კაკალის
ხალხისთვის ორმაგ ტყავისა გახდა,
გაკრეჭილ ვასოს ხელობად გახდა!..
ჩვენ რაღა გვეთქმის?
— მღვდლის ნატვრა ახდა—
ნუ თუ იქ საქმე
იმდენად წახდა?..

სარი.

**სწუხს...**



**პუანკარე**:—ეჰ; აგდია ძირს ფრანკი! მაგრამ როგორ წამოვაყენო ისე, რომ არც მე ჩავიდე ქვეით და არც ზემოთ ამოუშვა ვინმე!..

# „სულ ძილი, ძილი“...



— როდესაც თემალმასკომს სძინავს, თემსაბჭო მას ბუზებს უგერებს!

# მესტვირული

**ჩიბათისათვის.**

მოვმართე ჩემი ქამანჩა
გავსწმინდე გუდა ძველია,
მინდა განვაგრძო ლილინი
სიჩუმე ერთობ ძნელია.
მიულილინებ სუყველას
ყელმოღერებულ სტვირითო,
რომ არ დაურჩეს აწი მათ
საცეკვი და საჯირითო.
მიულილინოთ პირველათ
სცენისა მოყვრებს ყველასა,
რომელნიც წელიწადში ერთხელ
თუ დადგმენ წარმოდგენასა.
მას მერმე რაც, რომ დაიწყო
სცენის მოყვარეთ ძილია,
წარმოდგენები ხალხისთვის
შეიქნა უცხო ხილია.

—

აბა ჩვენს სასადილოზე
ცუდი რა საკადრისია,
ამათი გამგეები ხომ
მართლაც „მადლობის“ ღირსია.
ღვინის მიცემა ნორმაზე,
უცხო და მშვენიერია;
რა გვენაღვლება დალიონ
იტეხონ მთლად კისერია.

—

არ შევაჩერებ ჯერ სტვირსა
კიდევ დაუკრავ ერთსაო,
სამკითხველოში შევიარ
არშიყებს ვნახავ ბევრსაო;
დამჯდარან ქალნი და ვაჟნი
აცმაცუნებენ ყბებსაო,
თორემ ვინ დაეძალება
აქ ჟურნალ-გაზეთებსაო.
არაფერსა გთხოვ ტარტაროზ
ერთი მაქვს სათხოვნელია,
ამათი ზურგი მაჩვენე
ჩანგალით ანაკრელია.

**მიშა ჩიბათელი.**

# სამტრედია

კვლავ არ მასვენებს ფიქრები
და ამ ცხოვრების ლოდინი —
დავდივარ ჩუმი ლანდივით,
დარდი მკიდია ლოდივით.
(ნისლია -- ჩემი საბანი,
შავი ღრუბელი — ლოგინი).

—

ვერსად ვერ ვპოვე სიმშვიდე,
მოდის წვიმა და ქარები —
თვალებსა წყალი, რომ ვასვა,
ბალისკენ მივეჩქარები.
(იქ დამხვდებიან ვაჟები
და მოარშიყე ქალები!)

—

**ჩანეიშვილმა** მოძიკლა
ისედაც მკვდარი გულია!
მშობლებზე უფრო მას უყვარს
საწყალი გლეხის ფულია.
(ჭკუაზე მოდი ექიმო,
თუ არ ხარ დაკარგულია!)

—

ვიცი ცხოვრება ხანდახან
ულმობელი და უხდოა! —
რაღაც არ მომწონს სახეში.
ეს **ალექსანდრე დუნდუა.**
(ხმა მაღლა ვეტყვი მოლარეს
იგი იმდენად ყრუ თუა!)

—

ზედმეტი ფულის აღება
არ არის პატიოსნება!
ოდესღაც ჩუმი სიბნელე,
იცოდე გასხივოსნდება.
და შენიც გვარი, სახელი
შავ ლაქით შეიმოსება.

—

ნეტავი რამე მაქცია,
მიკიტნად გადამაქცია!
აქციზის ენა მასწავლა,
აქ რომ გვყავს ერთი კაცია —
**მიქელაძეა** გვარათა,
ხანდახან ფრაკი აცვია.
ჰალარა ვინმე ბრძანდება,
ვერსად ვერ დაემალები!
ქალის კაბისკენ უჭირავს
მას თაფლისფერი თვალები.
იცოცხლე დიდხანს აქციზო,
ქალით, ღვინით და ვალებით!..

**ჰაგნელი ბზიკი.**



# ტყიბულიდგან

გიხილე ტარტაროზ
სიდიდე ჟურნალის
ზოგიერთ „სპეცთა“ და
მყვლეფელთა მკურნალის,
თავს ზარი დაეცა
აქ ყველა ისეთებს
ვინც შენი სიმცირით
დაეყრდნო იმედებს.
ზოგს ფერი ეცვალა
ზოგს თავბრუ დაესხა
აგარაკს მიმართეს
ყლაპავენ ჰაერსა
გელოდით ტყიბულში,
ნუშები, გლეხები,
სჩანს არც მანდ გაკლია
მსუქანი ძეხვები.
გავშალე გუშინწინ
ჟ რნალი კვირისა,
არ მომწონს, რომ „აქებთ“
მარტოკა ტფილისსა
რა გიშავს ერთხელაც
ჩვენც მოგვინახულო
ზოგიერთს გოგრაში
რომ ჩაურახუნო?

ხომ იცნობ ძიაჯან
ისიდორ—პავლესა
ამათ ნუ მოუშლი
შენებურ „ალერსსა“
ორთავე არიან
აქ სასადილოში
გამგე და პატრონი—
შეამჩნევ მირონში.
თუ პავლეს დუქანში
ჩხუბია, სკანდალი
ისიდორეს ამ დარგში
არც კი ყავს ბადალი,
გირვანქა ხორციდან
ოცს კატლეტს აკეთებს
ჩვენ „ეპოს“-ს საქმეს ხომ
მთლად ჟამოაკეთებს! ხვლიკი.





**ზალოს კოლაუს.** საჯაყაპოელის ლექსებს რომ ჰპარავ, იგეც ხომ სახელმწიფო ქონება არაა!

**ტანგოს.** გულდაწყვეტილი იწერებით:

—„ბედი არ მქონია. რვაი წელიწადია ქალი მოვიყვახე, მარა ჯორი შემხვდა, ერთი ბალანეი არ ეყოლა. ბევრიც ვაგინე, მარა ასთე მიჩიოდა:—კაზახო, შენ რო არ ვარგოდე, ჩემი რა ბრალიაო“!

მართალია, არ ვარგებულხართ, თორემ იმდენი რავა ვერ მოიფიქრეთ, რომ ბალნიანი ქალი მოგეყვანა!

**ხათაბალას.** თქვენ იწერებით:

—„წასულ კვირეებში გწერდი
მე ქუთაისის ამბებს,
მაგრამ დაბეჭდვის მაგიერ
პასუხიც კი არ მამეც“!

მართალია, მაგრამ ჩვენს მდგომარეობაშიაც შედით, ხომ გაგიგონიათ:—ზოგიერთ სისულელეზე ჭკვიანსაც გაუჭირდება პასუხის გაცემაო!

**ხლაფორთს.** თქვენი შეყვარებული ასე ლაპარაკობს:

—„კი, ჯენაცვა, მეც მიყვარხარ
როგორც ციცქა ჩვენ „მურასა“,
მაგრამ ნახამ ჩვენ სეირზე
სხვები იძახდეს „ურასა“!

ეს „ურა“ რუსული სიტყვაა და ქართულად ალბად უშინაარსო ლექსს უნდა ნიშნავდეს. სულთათანა, ალსრულებულ არს გოდორსთანა!

**კუმუშელს.** თქვენ გვპირდებით:

—„გიგზავნით ერთ ლექსს, რომელიც სინამდვილეა. ეს ლექსი ჩემს მიერ პირველია, რომლის დაბეჭდვით „ტარტაროზს“ შეეძინება ახალი თანამშრომელი“.

„შეძენაზე“ მადლობას მოგახსენებთ, ხოლო ლექსი, რომ პირველია—ეს არ კმარა, საჭიროა იგი იყოს... უკანასკნელიც!

**ხლართს.** თქვენ გვწერთ:

—„თქვენი ახლოსა გაცნობის
სურვილი მქონდა აქამდის:
მაგრამ რითმების ღალატის
საშიშროება მიქადის“...

ამხანაგო ხლართო დაგიგვიანებიათ, კი არ გიქადით, უკვე კიდეც ულალატებია რითმებს თქვენთვის!

**ლანირელ ჟორას.** თქვენ გვიწვევთ:

—„გადავიდოთ და გავსინჯოთ
მუშაობა კულტსექციის
სად ჟაგვისხლტა აღარ ვიცით,
მგონი ახლაც მიფრინავსო“.

გაფრინდეს ამხანაგო ჟორა, ნუ გეშინიათ თქვენი ლექსის უშინაარსობას მაინც ვერ დაეწევა ხსენებული კულტსექცია!




— მრავალი ბიუროკრატი ასეთი „ნოყიერი საჭმელით“ კვებავს რეჟიმ-ეკონომიას!